იოსებ ჟორდანია

მონაზონი ეფემია
ცერცვაძე-მშვენიერაძისა

იოსებ ჟორდანია

წინაპარი და შთამომავალი

თბილისი
2024 წელი

UDC (უაკ) 618 (479.22) 092
მ – 971

მადლობა
თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში მოღვაწე ღვთისმსახურებს თანადგომისთვის

სპეცრედაქტორი ლალი ფხალაძე

რედაქტორი ლეილა სიხარულიძე

კორექტორი ნინო დავიდოვი

დიზაინერ-დამკაბადონებელი ლევან ლაცაბიძე

ISBN 978-9941-8-6199-4



სარჩევი

წინათქმა	7
იოსებ ჟორდანია წინაპარი და შთამომავალი	9
იოსებ ჟორდანიას მოღვაწეობის დროს ინსტიტუტში შექმნილი ლაბორატორიები და განყოფილებები	95
სამეცნიერო-სამედიცინო ბიბლიოთეკა	98
მოგონებები იოსებ ჟორდანიაზე	119
ბოლოთქმა	149
სიყვარულისთვის უფლისა	151
ჟორდანიას ინსტიტუტი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში	153
ჟორდანიას ინსტიტუტი 1990-2000 წლებში	158
ჟორდანიასა და ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი 2014 წლიდან	174
ჟორდანიასა და ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის კიდევ ერთი აღიარება	180

წინათქმა

მსოფლიოში ცნობილი კორიფეების გვერდით დამსახურებულად დამკვიდრებული იოსებ თევდორეს ძე ჟორდანია, სიცოცხლეშივე შევიდა მსოფლიო საგანძურის ფონდში.

თუ რამ სიკეთე ღმერთს ადამიანებისთვის მიუცია, ყველაფერი გაერთიანებული იყო მასში. უძლიერესი იყო ორივე მხარე მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში – მეცნიერება და კეთილშობილება.

ბუმბერაზი მოღვაწის, იოსებ ჟორდანიას მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებას ვერ გავბედავ, ამიტომ არც შევეჭიდები. დავეყრდნობი მხოლოდ იმ ადამიანთა მოსაზრებებს, რომელთა თანადგომითაც 1958 წელს დაარსდა თბილისში ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ვინც მისი საქმის გამგრძელებელია და კარგად იცნობს მის იდეოლოგიას, ვინც მასთან ერთად მოღვაწეობდა და პატივისცემით იხსენებენ მის მეცნიერულ მიღწევებთან ერთად კეთილშობილების გამომხატველ უამრავ ეპიზოდს.

ამავდროულად, მოგაწვდით იოსებ ჟორდანიას მშობლებისა და მათ შთამომავალთა მოგონებებს, აგრეთვე მოკლე ცნობებს ამ დიდი, სახელოვანი ოჯახის წევრთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ჩემი მიზანია წინ წამოვწიო მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, იოსებ ჟორდანიას დიდებული ოჯახის წევრთა კეთილშობილება, რაც უხვად მოე-

დინება სიყვარულისგან, რაც არის ადამიანთა ამ ქვეყანაზე მოვლინების არსი და გვირგვინი უკვდავებისა.

ქართველი ერის უსაყვარლეს წმინდანს – გაბრიელ აღმსარებელსა და სალოსს ასეთი კითხვა დაუსვეს, რა არის სიყვარული. მან უპასუხა: „თუ მოყვასი ავად არის, წამალი შორიდანაა მოსატანი, ტყე უნდა გაიარო, შეიძლება მგელმა შეგჭამოს, აი, თუ წახვალ მოსატანად, ეს არის სიყვარული“.

აქ არ არის ნაგულისხმევი გარდაუვალი გარდაცვალება ადამიანისა და მაინც დიდი გამოხატულებაა მოყვასის სიყვარულისა.

იოსებ ჟორდანიამ მთელი სიცოცხლე ადამიანების სიყვარულს შეალია და ბოლო წუთს თავისთვის უმცირესი იმედიც კი არ დაიტოვა ოკეანეში მოტივტივე თვითმფრინავში და ისე დაამტკიცა სიყვარული მოყვასისა.

სწორედ ასეთმა ქმედებამ აქცია იგი ლეგენდად, თუმცა იოსებ ჟორდანია ყოველივე ამის გარეშეც მნიშვნელოვან ადგილს ფლობდა და ფლობს მსოფლიო მედიცინის ისტორიაში.

იოსებ ჟორდანია
წინაპარი და შთამომავალი

ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი შემზარავი და გამაოგნებელი წამებია, რომელიც აღემატება მთელი სიცოცხლის მანძილზე თავსდატეხილ უბედურებათა ერთობლიობას. წამები, როდესაც გაისმის ცნობა თვითმფრინავის დაღუპვისა და უკვე ტივტივებ ტალღებზე, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ გადაირჩინო თავი და სხვა აღარაფერი გახსოვს. ამაზე მეტი საშინელება რა უნდა იყოს... თავზარდაცემული და აწიოკებული ყველა მგზავრი ერთბაშად წამოშლილი... იმის წარმოდგენა სრულყოფილად, რაც ხდებოდა შეუძლებელია ისე, როგორც აღწერა იმ უბედურებისა.

რაც არ უნდა მცირე დრო გქონდეს სიცოცხლის ბოლომდე დარჩენილი, მაინც უძნელესია შენი გადამრჩენი ჟილეტი დაუთმო არა საკუთარ შვილს, არამედ სრულიად უცნობ გოგონას, რომელსაც პირველად ხედავ და თვითონ შეეგებო მის მაგივრად სიკვდილს.

მილიონობით ადამიანიდან განსხვავებით, ეს ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ღვთიურად რომ გადალახა, ქართველი ერის საამაყო შვილი, იოსებ თევდორეს ძე ჟორდანია გახლდათ. მისი ყველა სასიცოცხლო უჯრედი ადამიანების, განსაკუთრებით, ბავშვების სიყვარულით საზრდოობდა. ამის დასტურია მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავი მოღვაწეობა ჩანაფიქრის სრულყოფისთვის და ამქვეყნიური ცხოვრებიდან ღვთიური გადანაცვლება უკვდავებაში.

რჩეულთა შორის რჩეული მეცნიერი იოსებ ჟორდანია გაიზარდა უფლის თაყვანისმცემელ, ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული მწერლის ტრადიციულ ოჯახში.

მამა – თევდორე (თედო – 1854-1916) დავითის ძე ჟორდანია უძლიერესი მამულიშვილი იყო, რომლის უმთავრეს საფიქრალს საქართველოს თვითმყოფადობა და ერის ძლიერება წარმოადგენდა.

ელენე ტარსაიძე და თედო ჟორდანია

დედა ელენე – მეცხრამეტე საუკუნეში გონიერებით, კულტურითა და ტრადიციებით ცნობილი ტარსაიძეების დიდი ოჯახის წარმომადგენელი იყო. მამამისს – პოლკოვნიკ დავით ტარსაიძეს, პირველ მსოფლიო ომში მამაცობისთვის მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული.

მისი ძმის, გიორგი (გიგო) ტარსაიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ გვამცნობს სოფელ ბერშუეთის მკვიდრი, გორის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი დავით ბიძინაშვილი და გორის სახელმწიფო არქივში არსებულ მასალას გვაწვდის.

გიორგი (გოგი) ტარსაიძე დაიბადა 1857 წლის 8 ივლისს სოფელ ბერშუეთში. 1879 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

1892 წელს გიორგი ტარსაიძის თაოსნობით თბილისში გაიხსნა თვალის სნეულებათა საქველმოქმედო საავადმყოფო, რომლის დირექტორიც თავად იყო. ამ საავადმყოფოს ბაზაზე ჩამოყალიბდა თვალის დაავადებათა კლინიკა. გიორგი ტარსაიძის სახელს ატარებდა თვალის დაავადებათა რესპუბლიკური საავადმყოფო, რომლის ბაზაზეც შექმნილია ამჟამად მოქმედი კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“.

გიორგი ტარსაიძე დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა მთელ კავკასიაში. მან საფუძველი ჩაუყარა ოფთომოლოგიური სკოლის შემდგომ განვითარებას.

გიორგი ტარსაიძე გარდაიცვალა 1904 წლის 24 დეკემბერს. დაკრძალულია ვერისსასაფლაოზე. საფლავის ქვაზე ლექსად გადმოცემული ეპიტაფია ეკუთვნის აკაკი წერეთელს, რომელიც შეტანილია მგოსნის მრავალტომეულში სათაურით „გ. ტარსაიძის ხსოვნას“.

მისი გარდაცვალება ასე შეაფასა ნიკო ლომოურმა: „ჭეშმარიტად ბედნიერია ისმოღვაწე, რომელიცთავისისიცოცხლით შვება-ლხენასჰფენსტანჯულ-დავრდომილ ხალხს, ხოლო თავისი სიკვდილით მდუღარე ცრემლს აფრქვევენ მას“.

გიორგი ტარსაიძემ ერთ ინგლისელ კაცს, რომელიცვერავინგანკურნა, უანგაროდ უმკურნალა და მხედველობა აღუდგინა. მადლიერმა პაციენტმა 14 ათასი მანეთი ჩაურიცხა ბანკში, რითაც გიორგი ტარსაიძემ დიდებული სახლი აიშენა თბილისში.

სათავეში მოსულმახელისუფლებამთავდადებულიმამულიშვილის შთამომავალნი ამ სახლიდან გამოაძევა და სხვა ოჯახები შეასახლა. მთელ ქვეყანაზე ხდებოდა ასეთი საში-

ნელებები და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც თბილისი იყო.

გიორგი ტარსაიძის ორსართულიანი სახლი თბილისში დღევანდელი ქიაჩელის ქუჩაზე მდებარეობდა, მისივე თვალის კლინიკა კი უკანა ეზოს მეორე მხარეს – ცნობილი პეროვსკაიას ქუჩის №7-ში.

1981 წლის 3 დეკემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა, ექიმების – კონსტანტინე ბახუტაშვილის, გრიგოლ მაღალაშვილის, გრიგოლ გაბაშვილისა და გიორგი ტარსაიძის მიერ შედგენილი საჯარო ლექციების თემები და მათი წარმოდგენის განრიგი მოწონებული იქნა.

2018 წლის 11 ოქტომბერს „ნიუ ჰოსპიტალის“ „ოფთალმოლოგიის ეროვნულ ცენტრში“ გაიხსნა ოფთალმოლოგიის ფუძემდებლის – გიორგი ტარსაიძის ბიუსტი.

ელენე ტარსაიძე მუსიკოსი იყო, კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული ფორტეპიანოს განხრით, ბრწყინვალედ უკრავდა.

დავით ჟორდანია
აღკვეცის შემდეგ ბერი ათანასე

იოსების ბაბუა – დავით ოქროპირის ძე ჟორდანია, ბერი მისიონერი გახლდათ, აღკვეცის შემდეგ ათანასე უწოდეს. მართლმადიდებლობის განმტკიცებისთვის მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა აფხაზ მოსახლეობაში, რის გამოც მაჰმადიანი სამღვდელოება გადაემტერა და მოწამლეს. თედოს ერთადერთი ძმა – იოსები მღვდელი იყო. პაპამისიც ღვთისმსახური გახლდათ, დეკანოზი ოქროპირი.

ბერი ათანასეს კეთილშობილებასთან დაკავშირებით ასეთ ეპიზოდს იხსენებს მონაზონი ელისაბედი (ხელაძე):

„ჩემი დიდი ბებია ელისაბედ ხელაძე ყოფილა თავისი დედ-მამის მეცხრე ქალიშვილი. რვა დაქორწინებული ოჯა-

ხებით სხვაგან ცხოვრობდნენ. ამიტომ უნდოდა მამამისს ელისაბედი ისეთ კაცზე გაეთხოვებინა, რომელიც თანახმა იქნებოდა მათთან ეცხოვრა. ასეთი მოიძებნა, ჯვარი დაიწერეს და ერთხანს ცხოვრობდნენ ერთად, მაგრამ მერე მეუღლეს მოუთხოვია ცოლისთვის, რომ მის ოჯახში გადასულიყვნენ. ამაზე მამამისი გაბრაზებულა და თავისი შვილისთვის უარი უთქვამს. ამის გამო სიძემ მიატოვა ორსული მეუღლე და დაბრუნდა თავის ოჯახში. ბავშვი რომ დაიბადა, ელისაბედის მამამ სანაგვეზე გადააგდო. უყურებდნენ მეზობლები და ვერავინ ბედავდა შველას, რადგან იგი ყოფილა ძალიან მკაცრი კაცი. ეს გაიგო ბერმა ათანასემ, მივიდა იმ ოჯახში და წამოიყვანა ბავშვი დედამისთან ერთად. იმდენად დიდი ავტორიტეტი იყო ბერი ათანასე, რომ ელისაბედის მამამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედა.

ბერმა ათანასემ დიდი ღვაწლი დასდო ბავშვის აღზრდას, ასწავლა და როდესაც დავაჟკაცდა დედამისთან ერთად ერთ ლამაზ ადგილზე დაასახლა.

ამ ამბის შემდეგ ჩემი წინაპრების ოჯახში მუდმივად ილოცება ჟორდანიების გვარი“.

ქართველი ერის ისტორიაში არცთუ ისე იშვიათი იყო ჟამი, როდესაც უგუნურები ცდილობდნენ დაეთრგუნათ ხალხი, რაც გამოიხატებოდა ქართული ენისა თუ ქართული ჰანგების, ტრადიციებისა თუ ცნობილი ადამიანების გაუფასურება-გაუჩინარებაში.

ეს პროცესი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე საკმაოდ იყო გაღვივებული, როდესაც მოსკოვის სასულიერო აკადემიადამთავრებული თედო ჟორდანია დაუბრუნდა სამშობლოს. მან ზედამხედველად დაიწყო მუშაობა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. სამწუხაროდ, ქართული ენა მაშინ ზერელედ ისწავლებოდა. ყველაფერი ქართველი ერის თვითმყოფადობის დროებით დაკარგვას მოჰყვა, რუსეთის იმპერია განაგებდა საქართველოს. ამით

გამოწვეული მრავალმხრივი წინააღმდეგობა რომ შეამჩნიეს მამულიშვილსა და ქართული ენის ქომაგს, ჩამოაქვეითეს ზედამხედველობიდან და ქართული ენის მასწავლებლად დატოვეს. თვითონ ასე აღწერს თავის იმდროინდელ მოღვაწეობას: „როდესაც მე დამნიშნეს მეთვალყურედ გურიასამეგრელოს სკოლებში, საოცარი სისწრაფით მრავლდებოდა რიცხვი სამრევლო სკოლებისა, ხოლო სამინისტრო სკოლები იცლებოდა, რომელთაგან მოქმედი იყო მხოლოდ 12 (დანარჩენი უსახელო, ზოგი მოგონილი). 7 წლის განმავლობაში 64 სამრევლო სკოლა გამრავლდა 232 სკოლამდე. მიზეზი ის იყო, რომ ქართული ენის სწავლება სამრევლო სკოლებში წარჩინებულად მიმდინარეობდა. ხალხმა ეს დაგვიფასა, თავისი შვილები სამინისტრო სკოლებიდან სამრევლოში გადმოსხა“.

თედო ჟორდანიამ აღადგინა 1903 წლიდან გადაგდებული ქართული ენის სწავლება სვანეთში.

როდესაც გონებადაბნეული შინაური და უცხო მტრები მეგრელების ქართველობას სრულიად უარყოფდნენ და მიმდინარეობდა იმაზე დავა, მაშინ საჯაროდ დაუსვეს თედო ჟორდანიას კითხვა, არიან თუ არა მეგრელები ქართველები? მან უპასუხა: „მე გადაჭრით ვაღიარებ, რომ მეგრელები ქართველები არიან“.

უგუნურთ სურდათ ასეთი მიდგომით ქართული ენა ჯერ სამეგრელოს სკოლებიდან განედევნათ, შემდეგ ეკლესიებში აეკრძალათ ქართულად ლოცვა.

მათ წინააღმდეგ კლდესავით მაგარი, უდრეკი, ნამდვილი მამულიშვილი თედო ჟორდანია აღიმართა და მარტოდმარტომ ჩაშალა მათი ბნელი გეგმები.

თედო სემინარიაში ასწავლიდა ცნობილ მოღვაწეებს: ეპისკოპოსებს – ლეონიდეს (ოქროპირიძე), დავითსა (ბურდულაძე) და ანტონს (გიორგაძე), მათ გარდა: ნოე ჟორდანიას, თედო სახოკიას, ფილიპე გოგიჩაიშვილს, კორნელი კეკელიძეს, იოსებ ჯუღაშვილსა და სხვებს.

ეპისკოპოსი ლეონიდე
ოქროპირიძე
(1861-1921)

ეპისკოპოსი დავითი
კაჭახიძე
(1872-1935)

მიტროპოლიტი ანტონი
გიორგაძე
(1866-1918)

ნოე ჟორდანია
(1868-1953)

თედო სახოკია
(1868-1956)



ფილიპე გოგიჩაიშვილი
(1872-1950)

კორნელი კეკელიძე
(1879-1962)



იოსებ ჯუღაშვილი
(1879-1953)

შორსმჭვრეტელმა თედომ მოახერხა და ნაბიჯ-ნაბიჯ გააცნო ახალგაზრდებს მივიწყებული ქართული მწერლები, ხალხური სიბრძნე, ქართული ჰანგები და ყოველივე კარგი, რაც ქართველი ერის საუნჯეა.

ხალხურმა სიმღერებმა და საეკლესიო საგალობლებმა ჩვენამდე რომ მოაღწია, ეს თედო ჟორდანიას დამსახურებაცაა. იგი ერთ-ერთი ქომაგი ბრძანდებოდა, რომელიც გულისტკივილით ამბობდა: „ხალხური სიმღერები ზღვაა უფსკერო, და თუ დროზე არ მივხედეთ და არ გადავარჩინეთ, დაგვეღუპება“.

ხელოვნების ამ დარგთან დაკავშირებით ბრწყინვალე ცნობას გვაწვდის მწერალი თედო დავითის ძე ჟორდანიას შვილი, სეხნია თედო, რომელსაც შემდგომში მოვიხსენიებ თედო უმცროსის სახელით. თედო უმცროსი წერს: „მამამ მოსკოვიდან გამოიწერა საუკეთესო გრამაფონი. ქუთაისისა თუ გურია-სამეგრელოს გუბერნიის სკოლების მეთვალყურის თანამდებობაზე მუშაობის დროს თან დაჰქონდა გრამაფონი და იწერდა იმჟამად არსებულ საუკეთესო მომღერლების მიერ შესრულებულ ძველებურ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც ფოლკლორის უძვირფასეს ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

ბერშუეთში, სადაც ჩვენი მამული იყო, და მის ირგვლივ სოფლებში, მამამ კარგად გამოიკვლია იქ მცხოვრები მომღერლები და ჩაიწერა მათ მიერ შესრულებული სიმღერები. იმჟამად განთქმული მომღერალი იყო გვრიტო წიკლაური.

მამამ სიმღერების ჩაწერის შემდეგ მოიწვია ნაცნობი გლეხები და გააცნო გვრიტო მომღერლის მიერ შესრულებული ურმული. ეს იყო სასწაული. გლეხები ოთახში ეძებდნენ მომღერლებს. ბოლოს გაჩერდნენ გრამაფონთან. პირჯვარს იწერდნენ და განცვიფრებულნი ამბობდნენ: „აი, დიდება შენ, ღმერთო, სად დამალულა ჩვენი გვრიტო, ბიჭო, შენ არსად ჩანხარ და შენი ხმა კი ისმის, გამოდი, სად ხარ“.

თედო ჟორდანიას, როგორც საქართველოს საეკლესიო ისტორიის მკვლევარს, უდიდესი შრომა აქვს გაწეული. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი შრომა, მათ შორის:

„დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის ლავრისადმი“,
„ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“,
„ვაჰანის ქვაბთა“,
„აფხაზეთის კათალიკოსები“. ...



დიმიტრი ბაქრაძე
(1826-1890)

რაფიელ ერისთავი
(1824-1891)

ექვთიმე თაყაიშვილი
(1862-1953)

თედო ჟორდანიამ საფუძველი ჩაუყარა სამუზეუმო კოლექციების შექმნას. სრულიად უანგაროდ და გატაცებით ემსახურებოდა იგი ქართული ეროვნული საუნჯის გადარჩენის საქმეს იმ ჯგუფთან ერთად, რომელშიაც შედიოდნენ: რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

მისი დიდი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „ქრონიკები“, სადაც მოცემულია მასალები უძველესი დროიდან; მან გაარკვია ბურუსით მოცული მრავალი საკითხი და წარმოადგინა მთელი რიგი ახალი დებულებანი. თავისი სიტყვა თქვა ძველი ქართული მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.









თედო ჟორდანიას ხელნაწერი – „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“, თხზულებანი და წიგნი „ქრონიკები“.

განუსაზღვრელია თედო ჟორდანიას ღვაწლი ქართულ ხელნაწერთა აღწერის საქმეში. იგი შესანიშნავად იცნობდა საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერებს, მან მუზეუმს შესწირა 100 ხელნაწერი წიგნი.

ერისა და მამულისათვის თავდადებულ ადამიანთა დიდი პატივისმცემელი თედო ჟორდანია თევდორე მღვდელზე, რომელმაც მეფე ლუარსაბი (1603-1616) სიკვდილს გადაარჩინა და იხსნა საქართველო უბედურებისაგან, წერს: „ერისა და მეფისათვის თავის განწირვა ისეთი იშვიათი და

თან სამაგალითო ღვაწლი არის, რომ კაცობრიობის ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელია“.

ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, თედო სახოკიამ გადაიღო ერთ-ერთი ეკლესიის წარწერა, რომლის ქარაგმებიც თედო ჟორდანიამ ამოიკითხა. იგი იყო მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, დღედაღამ თავდადებული და დაუღალავი მშრომელი. თვითონაც აღნიშნავდა: „არა ვიცი რული თვალთა და არცა განსვენება ხორცთა“. ელენე ტარსაიძესა და თედო ჟორდანიას ექვსი შვილი ჰყავდათ. ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი: გიორგი, თედო, ერეკლე, იოსები, კონსტანტინე და თამარი. ყველა ღმრთისა და ერის მოყვარული.

თედო ჟორდანია, ელენე ტარსაიძე, სიმამრი –
დავით ტარსაიძე და შვილები მარცხნიდან:
თამარი, თევდორე, ერეკლე (გოგოს სამოსში), გიორგი და იოსები
(კონსტანტინე ამ დროს არ არის დაბადებული).

ეს დიდებული ოჯახი თბილისში ჯერ ენგელსის ნომერ 47-ში (ახლანდელ ლადო ასათიანის) ცხოვრობდა, შემდეგ სასანგრეთა 5 ნომერში და ბოლოს, სასამართლოს ქუჩაზე. ამ სახლს დიდი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის დამსახურების აბრა ამშვენებს.

თედო ჟორდანიას ოჯახს სტუმრობდნენ სახელგანთქმული მამულიშვილები: აკაკი წერეთელი, ზაქარია ფალიაშვილი, სოსიკო მერკვილაძე, თედო სახოკია, ნიკო ლომოური, გიორგი ზდანოვიჩი, ივანე გომართელი, იოსებ იმედაშვილი, ფილიმონ ქორიძე, მოსე ჯანაშვილი და სხვა მრავალი.



აკაკი
წერეთელი
(1840-1915)

ზაქარია
ფალიაშვილი
(1876-1933)

ნიკო
ლომოური
(1852-1915)

გიორგი
ზდანოვიჩი
(1855-1917)



ფილიმონ
ქორიძე
(1829-1911)

იოსებ (სოსიკო)
მერკვილაძე
(1854-1934)

ივანე
გომართელი
(1876-1938)

იოსებ
იმედაშვილი
(1876-1952)

მოსე
ჯანაშვილი
(1875-1920)

მთის მგოსნის ვაჟა-ფშაველას სტუმრობას ასე აღწერს თედო უმცროსი ჟორდანია: „დაირეკა ზარი და მე გავეშურე კარის გასაღებად. დავინახე მამაჩემის ახლო მეგობარი – სოსიკო მერკვილაძე ჩემთვის უცნობ პიროვნებასთან ერთად, რომელიც ჩაცმული იყო ძველ გაცრეცილ ჩოხაში, თავზე წამოხურული ჰქონდა დაკონკილი ყაბალახი და ფეხთ ეცვა ჯარისკაცის ტლანქი ჩექმები. მამაჩემი შემოვიდა სასტუმრო ოთახში და გაოცდა, როდესაც გაიგო, რომ ჩვენი სტუმარი იყო თანამედროვე ქართული მწერლობის სიამაყე – ვაჟა-ფშაველა. მამა მხურვალედ მიესალმა და სიხარული გამოსთქვა მისი სტუმრობის გამო. ვაჟა-ფშაველამ ასე დალოცა ჩვენი ოჯახი: „განუსაზღვრელი ბედნიერება, დოვლათი და ყოველ კეთილ საქმეში გამარჯვება ამ ოჯახს; ეს ალბათ თქვენი ვაჟკაცებია... აი, ყოჩაღ, გაიზარდეთ სახელოვანი მამულიშვილები, მამულისა და დედ-მამის გასახარებლად“...

ვაჟა-ფშაველა
(1861-1915)

ვაჟას ამ ოჯახში მოსვლის მიზანი დაკავშირებული იყო ტყეში აღმოჩენილ ციხესიმაგრის ნანგრევებთან. საჭირო იყო ცნობების მოძიება ამ ნანგრევებთა შესახებ და იმიტომაც მოიყვანა სოსიკო მერკვილაძემ ვაჟა-ფშაველა მამაჩემთნ, რომ დახმარებოდა. მათ შორის საკმაოდ ვრცელი საუბრის შემდეგ ვაჟა-ფშაველამ შუშაბანდში მოთავსებულ გალიებს შეხედა, რომლებშიც ნაირ-ნაირი ფრინველები გვყავდა და შეგვაქო: „ძალიან სასიამოვნოა, რომ არ შეგიწყვეტიათ ბუნებასთან კავშირი. ყოჩაღ, ჩემო პატარებო“. ამ დროს გაისმა მერცხლების ჭიკჭიკი და ვაჟას ყურადღება მიიქცია კატის გამოჩენამ, რომელიც მოწადინებული იყო მიახლოებოდა მერცხალს.

დერეფნიდან კატის გაძევებით გართულებსა და გაფანტულებს ვაჟამ დაგვიძახა და გვითხრა: მომიტანეთ ალბომი, კატისადმი მიძღვნილ ლექსს ჩაგიწერთო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინვე მივურბენინეთ ახალი ალბომი, რომელშიც ჩაწერა:

მერცხლის სიმღერა

„დავჩეკე წვრილი ბარტყები,
დაიზრდებიან მალეო,
იფრენენ, იჭიკჭიკებენ,
ლაღად დღესა თუ ხვალეო.
კატავ, შე ამოსაგდებო,
ცოტახანს დამაცალეო!..
რა გინდა? რას მეპარები?
დედა ვარ შამიბრალეო!“

სასანგრეთა ხუთ ნომერში დიდი ეზო გვქონდა, ვაჟამ მოინდომა იქ გასეირნება, ეზო ძალიან მოეწონა და გვითხრა: თქვენ ადგილას მე აქ ვარდებს დავრგავდი, კარგი ვარდის ბუჩქის მოშენებისთვის საჭიროა გარეული ვარდის ან ასკილის ფესვები ჩაიყაროს, რომელზედაც შემდეგ დაემყნება ჯიშიანი ვარდიო.

ვაჟა შეგვპირდა, შემდგომში რომ ჩამოვიდოდა ჩარგლიდან ჩვენთან, თვითონვე ჩამოგვიტანდა ასკილის ფესვებს ტყიდან.

გავიდა რამდენიმე კვირა და ერთ მშვენიერ დღეს ვაჟა-ფშაველა ისევ გვესტუმრა, რომელსაც ყველანი გულის ფანცქალით მოველოდით. მან მამაჩემს დაუბრუნა წაღებული მასალები და მოუტანა დამატებითი ცნობები ნანგრევებთან დაკავშირებით. ვაჟა-ფშაველამ დანაპირები შეგვისრულა, ჩამოგვიტანა ასკილის ფესვები, ნამყენებისთვის ნერგები, რომლებიც თავის ხელით ჩარგო. ამ ფესვებზე დამყნობილი ვარდები ისე ლამაზი იყო, რომ მის სანახავად მოდიოდნენ მეზობლები.

ამის შემდეგ ჩვენ ქუთაისში გადავედით საცხოვრებლად და ამ დიდებულ მგოსანს, სამწუხაროდ, აღარ შევხვედრივართ“.

თედო (უმცროსი) და გიორგი ჟორდანიები

ამ მოგონების ავტორი თედო უმცროსი (1888-1965) გახლავთ, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტი. მუშაობდა მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში წლების მანძილზე. დაამთავრა ოდესის საარტილერიო სასწავლებელი (1915-1916 წწ.), შემდეგ გაიწვიეს არმიაში, საიდანაც გაგზავნეს ფრონტზე ჩრდილოეთში, შემდეგ გადაიყვანეს ფინეთში.

მოსკოვში მოღვაწეობის დროს გვიამბობს თედო უმცროსი: ვსტუმრობდით საქართველოს ბოლო მეფის გიორგი მეთორმეტის შვილიშვილს – ოლღა ილიას ასულ გრუზინსკაიას (ოლღა ბაგრატიონი), რომელიც პეტერბურგიდან მოსკოვში გადმოვიდა საცხოვრებლად სხვადასხვა გარემოების გამო. მას ჰქონდა საკმაოდ კარგი მამული მოსკოვის მახლობლად ცნობილ აგარაკზე ზვენიგოროდის მაზრაში. ოლღა ილიას ასული წელიწადში ერთხელ იხდიდა პანაშვიდს წინაპრების მოსახსენებლად და შემდგომ მართავდა წვეულებას. ერთხელაც, ეს იყო 1909 წელს, ამ წვეულებას დავესწარით მე და ჩემი ძმა გიორგი ჟორდანია.

ოლღა გრუზინსკაია (ბაგრატიონი)
(1846-1913)

ოლღა ილიას ასულთან დაახლოებულნი იყვნენ და მასთან ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადოების წარჩინებული პიროვნებები: ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი და სხვები; აგრეთვე თვითტომობის ორგანიზაციაში გაერთიანებული სტუდენტები: ლადო და გრიშა ჯაფარიძეები, ალექსანდრე კვიტაშვილი.

ალექსანდრე
სუმბათაშვილ-იუჟინი
(1857-1927)

მიხეილ
ზანდუკელი
(1889-1969)



ალექსანდრე
ჯავახიშვილი
(1875-1973)

ოლღა ილიას ასულთან აღმოჩნდა და ჩვენ ვნახეთ გიორგი სააკაძის ოჯახიდან გამოტანილი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, მას თანდართული ჰქონდა „დედის ანდერძი“, განსაკუთრებულად საგულისხმო რამ, რომელიც ტკბილ ჰანგებთან ერთად ბავშვს შთააგონებდა კეთილშობილებას და გონიერ აზრებს.

სამშობლოში დაბრუნებული თედო უმცროსი ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ის არის რამდენიმე საინტერესო და პოპულარული შრომის ავტორი: „ქამა სოკოს ხელოვნურად მოყვანა“, „საველე პრაქტიკის ორგანიზაცია“, „ზოოლოგიის სწავლების მეთოდიკა“, „ბუნებისმეტყველების პრაქტიკუმი სკოლაში“. დამზადებული აქვს არაერთი რელიეფური რუკა, თედო უმცროსმა გამოსცა ხატვის შესწავლისთვის სახელმძღვანელო ალბომი.

„ქუთაისში საცხოვრებლად რომ გადავედით, – წერს თედო უმცროსი, – დედამ მოგვაწყო კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში. გვასწავლიდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯომარჯიძე. საუკეთესო პედაგოგიური მიდგომა ჰქონდა, ჩვენ ის ძალიან გვიყვარდა, ჩვენს სისუფთავეს ამოწმებდა ყოველდღე.

გიმნაზიაში, სადაც მე და ჩემი ძმები ვიყავით, უფროს კლასებში სწავლობდნენ: სერგი დანელია, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, საშა ჯანელიძე, შემდგომში კათედრის გამგე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც ძალიან ცელქი და მოუსვენარი იყო. ჩვენ გვქონდა ბუნებისმეტყველების კაბინეტი, სადაც ნაირსახეობის ცხოველები და მწერები გვყავდა, რომლებსაც ვუვლიდი მე. ერთ დღეს ჩემი ლამაზი ხვლიკები აღარ დამხვდნენ. კაბინეტის ყველა კუნჭული დავათვალიერე, ვერსად ვნახე. თურმე ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მოიპარა ხვლიკები, რომლებსაც კუდზე მოაბა „შპარგალკა“ და იმ ოთახის ჭუჭრუტანაში შეაძვრინა,

სადაც გამოცდა მიმდინარეობდა. ბავშვებმა მოხსნეს და გადაწერეს გამოყვანილი ამოცანები. ძალიან გაბრაზებული ვიყავი ხვლიკების მოპარვის გამო და მე მას თავში წავუთაქუნე.



სერგი
დანელია
(1888-1963)

ვლადიმერ
მაიაკოვსკი
(1873-1930)

ალექსანდრე (საშა)
ჯანელიძე
(1888-1975)

განვლო წლებმა და ისევ შევხვდით ერთმანეთს ყირიმში. მაიაკოვსკი უკვე ცნობილი პოეტი იყო. ორთავემ ძალიან გავიხარეთ. მწერლებთან მიმიპატიჟა, დიდი სიხარულით მოვიგონეთ გიმნაზიაში გატარებული წლები და ბოლოს მითხრა: მოდი და ახლაც ჩამაფარე თავშიო. ბევრი ვიცინეთ.

ჩვენთან ერთად უფროს კლასებში სწავლობდნენ: შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, შემდგომი დროისათვის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები. განსაკუთრებული სიახლოვე გვქონდა სერგი დანელიასთან. ის იყო უნიჭიერესი, შვიდ წელიწადში დაამთავრა ექსტერნად გიმნაზია. ამავდროულად მოსწავლეებსაც ამზადებდა და იმ შემო-

სავლით ირჩენდა თავს. სერგი ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდა. მამაჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთხელ ეპისკოპოს კირიონთან (შემდგომში საქართველოს რეპრესირებული კათალიკოს-პატრიარქი) ყოფნის დროს ჩამოვარდა მასზე საუბარი, მეუფე კირიონმა დიდი დახმარება გაუწია, ხელი შეუწყო მას და თავდაპირველად ხარკოვის უნივერსიტეტში მოეწყო, შემდეგ გადმოვიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. ჩვენ ერთად დავდიოდით ფსიქოლოგიის პრაქტიკაზე პროფესორ ჩელპანოვის ლაბორატორიაში.

ეპისკოპოსი კირიონი
საძაგლიშვილი
(1855-1918)



დიმიტრი
უზნაძე
(1886-1950)

შალვა
ნუცუბიძე
(1888-1969)

„ქუთაისში ცხოვრების დროს, იგონებს ისევ თედო უმცროსი, დედა თავის მშობლიურ სოფელ ბერშუეთში წავიდა. იმ დროს რამდენიმე სოფელს მხოლოდ ერთი ექიმი ემსახურებოდა. რასაკვირველია, ვერ აუდიოდა მომსახურებას და ამიტომ გაჭირვებული გლეხები, ვინმე რომ ავად გაუხდე-

ბოდათ, დედას თხოვდნენ დახმარებას. მას მუდამ ჰქონდა საჭირო წამლები, ძალაუნებურად ნაწილობრივ შეისწავლა დაავადებებიც. ამ საქმეში დედაჩემს დიდ დახმარებას უწევდა ჩვენი ნათესავი ექიმი სამსონ თოფურია, რომელმაც მოამარაგა იგი მნიშვნელოვანი ლიტერატურით.

ერთ დღეს, ძალიან ცუდ ამინდში, დედას სთხოვეს მახლობელ სოფელში წასვლა ავადმყოფის დასახმარებლად. დედა მაშინვე წავიდა, ის გადაარჩინა, მაგრამ თვითონ ისე გაცივდა, რომ ექიმებმა, სამწუხაროდ, ვეღარ შეძლეს მისი ხსნა. ყველა ზომა მიიღეს, გორიდან გამოიძახეს ექიმები, მაგრამ ავადმყოფობამ რთული სახე მიიღო და გარდაიცვალა.

მამაჩემმა თადარიგი დაიჭირა, რათა ერთბაშად არ გაგვეგო ეს სამწუხარო ამბავი. დაურეკა ახლობელს – სილიბისტრო ჟორდანიას, რომელსაც უნდა ჩამოვეყვანეთ გორში, სადაც მამაჩემის ახლო მეგობარი, მწერალი ნიკო ლომოური ცხოვრობდა. მას უნდა მოემზადებინა ნიადაგი ჩვენთვის ამ ამბის გასაცნობად.

ჩვენდა მოულოდნელად, ნიკო ლომოური რკინიგზის სადგურში დაგვხვდა. მაშინ რა ვიცოდით, რომ გასამხნევებლად იყო მოსული ოჯახის წევრებთან ერთად. წაგვიყვანეს თავის ბინაზე. არასდროს დამავიწყდება მათი ჩვენდამი გულთბილი დამოკიდებულება. უპირველესად, კარგად გაგვიმასპინძლდნენ, ტკბილად და მომხიბლავად გვესაუბრებოდნენ; როგორ დავაჟკაცებულხართ, მე კიდევ ისევ სულ პატარები მეგონეთ. თქვენისთანა ვაჟკაცებთან რისა უნდა ეშინოდეს თედოს, დიახ, ჩემო პატარებო, თქვენ ახლა მხარში უნდა ამოუდგეთ მამათქვენს და ყოველი გაჭირვება, რაც იწვევს დარდს, შეუმსუბუქოთ, თუ ასეთი რამ შეემთხვევა, ხომ ასეა, ჩემო პატარა ვაჟკაცებო. ჩვენ თანხმობის ნიშნად თავი დავხარეთ. ნიკო ლომოურმა თავი აუწია ჩემს უფროს ძმას-გიორგის და თვალებში ჩააცქერდა. ვეც-

დებით, როგორც ჩვენს ძალ-ღონეს შეეფერებაო, უპასუხა მან. მამათქვენი შეიძლება შეწუხებული დაგხვდეთ დედის ავადმყოფობის გამო, იმედია თქვენ გაამხნევებთ. მის სიტყვებში ჩვენ უკვე ვიგრძენით დედის ავადმყოფობა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, რომ გარდაცვლილი იქნებოდა.

ერთი ეს მითხარით, გააგრძელა საუბარი ნიკო ლომოურმა, დედათქვენი რომ ოდესმე სადმე წავიდეს და სახლი დატოვოს თქვენს ანაბარა, თქვენ შეძლებთ თუ არა თქვენი თავის მოვლას, ისწავლით თუ არა კარგად. მერე გიორგის მიუბრუნდა და ჰკითხა: დაეხმარები თუ არა შენს ძმებს გაკვეთილების მომზადებაში...

ჩვენ ბერშუეთში ჩვეულებრივ მივემგზავრებოდით ხოლმე მიხა ახალბედაშვილის ფაიტონით. ვიდრე მას ველოდებოდით, ნიკო ლომოური ცდილობდა ჩვენს გართობას. რამდენიმე ხანში ფაიტონიც მოვიდა და ჩვენც გავემგზავრეთ სილიბისტრო ჟორდანიასთან ერთად ბერშუეთში. წასვლის წინ ეს გვითხრა: აბა, ვინძლო მამას მოუაროთ, უთხარით ჩემს მაგივრად, რომ ყოჩაღად იყვეს.

გზაში დაიწყეს დედის მდგომარეობის გაღრმავება, თანაც ცრემლებიც ერეოდათ. ბერშუეთში მისვლამდე უკვე მივხვდით ჩვენს უბედურებას და სახლთან მიახლოებისას საშინელი ტირილიც მოგვესმა, თავზარი დაგვეცა ყველას.

მახსოვს მამაჩემი როგორი დამწუხრებული იდგა და დაცქეროდა დედას. ამ ამბავმა ძალიან დაგვამწუხრა; საზოგადოების დიდი ნაწილი გვეფერებოდა, გვკოცნიდნენ, გვეხვეოდნენ. მთელი სოფელი გვერდით დაგვიდგა. დედა დაასაფლავეს ეკლესიაში ეგზარქოსის კურთხევით. დიდძალი ხალხი ესწრებოდა დასაფლავებას. მამაჩემმა დედაჩემის პატივისაცემად ძალიან დიდი ქელეხი გადაიხადა.



ბერშუეთის სამების ეკლესია

დედა უაღრესად კეთილშობილი ადამიანი იყო და ცდილობდა ჩვენშიც გაეღვიძებინა დაჩაგრულებისადმი სიბრალულის გრძნობები. დღესასწაულებზე, რასაც ჩვენთვის ამზადებდა, იმასვე ამზადებდა ჩვენი უბნის გაჭირვებული ოჯახებისთვის, ამიტომ მას ქველმოქმედის სახელი შეარქვეს.

იმ ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობდით ხშირად ტუსაღებს გამოატარებდნენ ხოლმე ბორკილებით. დედას ჩავაცივდით, ეჩვენებინა ჩვენთვის საპყრობილე. მან შეგვისრულა სურვილი და მართლაც, წაგვიყვანა. იქ ძალიან შთამბეჭდავი სურათი ვნახეთ: ერთი ქალი იყო სამი ბავშვით, პატიმრისთვის უნდა გადაეცათ სანოვაგე. მისმა შვილმა, პატარა ბავშვმა ატირე-

ბულმა ამოიღო ჯიბიდან კანფეტი და მსახურს უთხრა, ეს მამაჩემს მიშიკოსგან გადაეციო. ამის ხილვამ შეგვზარა.

მამაჩემმა ერთხელ გამიზნულად მიგვიყვანა იმ ადგილზე, სადაც ეს ამბავი მოხდა, მიგვითითა შენობაზე და ჩუმად გვითხრა: ეს ციხე კი არა ტაძარია, აქ წირვა-ლოცვა უნდა ტარდებოდეს და გალობის ხმა ისმოდეს ღმერთის სადიდებლად. თქვენ მოესწრებით იმ დღეს, როდესაც ეს ყოველივე აღდგება. ოღონდ ბევრი უნდა ვილოცოთ, ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვას და აგვისრულებს სურვილს.

ჩვენ მართლაც მოვესწარით იმ დღეს, როდესაც უგუნურთა მიერ ციხედ გადაკეთებული ტაძარი დაუბრუნდა თავის დიდებას, სადაც ყოველდღე წირვა- ლოცვა აღევლინებოდა და ღმრთის სადიდებელი გალობა ისმოდა.

ერთმა პატიმარმა თავი მოიკლა, თურმე ძალიან დიდი გაჭირვება ჰქონია, მახსოვს დედაჩემი როგორ ეძებდა მის ოჯახს, რომ დახმარებოდა. ასეთი ბუნების ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი შვილი ვყავდით, სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ავადმყოფის დახმარებაზე უარს როგორ ეტყოდა გაჭირვებულ ადამიანს, იგი ხალხის სიყვარულს შეეწირა.

ჩვენს დასახმარებლად მამამ თეკლათის მონასტრიდან გამოიწვია მონაზონი ელისაბედ გვაზავა, რომელიც შემდგომში უვლიდა ჩვენს ოჯახს. გონებრივ განვითარებას მამაჩემი განაგებდა.

ჩვენთან ხშირად დადიოდა ქუთაისში, დედაჩემის სიცოცხლის დროსაც, ერთი უაღრესად განათლებული მასწავლებელი, გვარად ნიკოლსკი, რომელმაც მამას გააცნო სამხედრო საექიმო აკადემიის პროფესორ ფეოდოროვის მეუღლე – ელენე ნიკოლოზის ასული ხლებნიკოვა, რომელიც პეტერბურგიდან გადმოსახლებული იყო კავკასიაში, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. ის იყო ძალიან განათლებული ადამიანი, მაგრამ მთავრობა სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის უფლებას არ აძლევდა, იგი გვიტარებდა

კერძო გაკვეთილებს. ჩვენ ძალიან გვიყვარდა მისი გაკვეთილები. ბევრ საინტერესო ამბავს გვიამბობდა სწავლის პროცესში თავის ცხოვრებიდან. მის სახლში იკრიბებოდნენ რუსეთის ისეთი მოწინავე პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, დოსტოევსკი და სხვა მრავალი კეთილგონიერი მოღვაწე, ამ ოჯახთან საკმაოდ დაახლოებული იყო ნიკო ნიკოლაძე, ის როდესაც საპყრობილიდან გაათავისუფლეს, პირველად მათ ოჯახში მივიდა სანახავად. (დაპატიმრებული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის, რისთვისაც პეტერბურგში ცხოვრება აუკრძალეს და უნივერსიტეტიდანაც გარიცხეს). ასე ახასიათებს მას ელენე ნიკოლოზის ასული: „ნიკო ნიკოლაძემ თავისი საქმიანობით დაამტკიცა, რომ არის სამშობლოსთვის თავდადებული და ადამიანებზე უაღრესად მზრუნველი მამულიშვილი“.

რადგან ასეთ შეფასებას აძლევს სხვა ერის წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძეს, საჭიროდ მივიჩნიე, რომ ორიოდე სიტყვა ჩვენც დავამატოთ და პატივი მივაგოთ ამ უდიდესს მამულიშვილს.

საქართველოს ძლიერებისთვის ნიკო ნიკოლაძის აღსრულებული უამრავი კეთილი საქმეებიდან მოვიხსენიებ მხოლოდ რამდენიმეს:

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქალაქ ფოთისა და მისი ნავსადგურის აშენების საქმეში.

მისი მეოხებით, 1867-1874 წლებში მილიონერ ინჟინერ კალაშნიკოვთან ერთად გაიყვანეს ფოთი-თბილისის რკინიგზა. ეს იყო ამიერკავკასიაში პირველი, მანამდე რკინიგზა არ არსებობდა.

ნიკო ნიკოლაძის დიდი მონდომებით დაიწყო ხაშურსა და მოლითს შორის წიფის გვირაბის მშენებლობა, სწორედ მან მიმართა რუსეთის მიმოსვლის გზათა სამინისტროს, რის საფუძველზედაც მიიღეს მშენებლობის ნებართვა.



ნიკო ნიკოლაძე
(1843-1928)

ნიკო ნიკოლაძის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა მისი ავტორობით წიგნი „სომხურ-ქართული ურთიერთობანი“.

ამ დიდებულ მამულიშვილს ქართველმა ერმა „დიდი ნიკო“ უწოდა და ილია ჭავჭავაძის გვერდით მიუჩინა ადგილი.

ელენე ხლებნიკოვას დააკისრა მამამ ჩვენი რეპეტიტორობა და აგრეთვე მას უნდა მიექცია ყურადღება გიმნაზიაში ჩვენი სწავლის მსვლელობისთვის.

თედო ჟორდანიას შვილებიდან უფროსი იყო გიორგი (1885-1937), რომელმაც დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პირველკურსელმა სტუდენტმა დაწერა სტატია „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია“, რომელიც დაიბეჭდა ბროშურის სახით 1907 წელს. მეფის ცენზურამ აკრძალა და მთელი ტირაჟი ამოიღო. მიუხედავად ამისა, მან კიდევ დაბეჭდა ეს ბროშურა.

გიორგი ჟორდანია ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის წრე, რომელიც დაამტკიცა საიმპერატორო უნივერსიტეტის საბჭომ, ამ წრემ იარსება პირველ მსოფლიო ომამდე.

გიორგი ჟორდანია
(1885-1937)

1912 წელს თბილისში დაარსდა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო გიორგი ჟორდანია. საპატიო წევრები ბრძანდებოდნენ: ეპისკოპოსი კირიონი, შემდგომში საქართველოს რეპრესირებული კათალიკოს-პატრიარქი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, კონსტანტინე ბალმონტი, და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები, თედო ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ია კარგარეთელი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კოტე მარჯანიშვილი, მიხეილ ჯანაშვილი და სხვა მრავალი მამულიშვილი. უაღრესად საინტერესო მუშაობას ეწეოდა ეს საზოგადოება. ისმენდნენ მეტად მნიშვნელოვან მოხსენებებს.

1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) საქართველოს სამოციქული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა და წარმოთქვა: „მირონის მადინებელო სვეტო ცხოველო, შენ სცხე ჩვენგან დაწყებულ საქმეს მირონი და მიეც გამარჯვება საქართველოს თავისუფალ ეკლესიას, ამინ“.

აკაკი
შანიძე
(1887-1987)



კონსტანტინე
ბალმონტი
(1867-1942)

გიორგი
ახვლედიანი
(1887-1973)

კოტე მარჯანიშვილი
(1872-1933)

მარჯორი უორდროპი
(1869-1909)

ოლივერ უორდროპი
(1867-1912)

თედო ჟორდანია
(1854-1916)

ია კარგარეთელი
(1867-1939)

საქართველოში დაბრუნებულმა გიორგიმ ხელი მოჰკიდა ადვოკატურას, ამავდროულად მუშაობდა ლათინური ენისა და სამართლისმცოდნეობის მასწავლებლდ. მან შექმნა საგანგებო ფონდი, ეხმარებოდა გაჭირვებულ მწერლებს. მისი ძალისხმევით მოსკოვში 1932 წელს დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. კომპოზიტორმა მასზე დაწერა: „შენა ხარ ქართველი კაცი და დიდი საზოგადო მოღვაწე, ასე გიცნობს შენ, მთელი ქართველი საზოგადოება“.

გიორგი ჟორდანიას ცხოვრების მნიშვნელოვან წლებთან დაკავშირებულ საინტერესო და, ამავდროულად, სამწუხარო ცნობას გვაწვდის მისი შვილიშვილი – რევაზ ჟორდანია, იგი ნიუ-იორკის აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდე-

ნტი, მრავალი საზღვარგარეთული სამეცნიერო საზოგადოების წევრი, თანაავტორებთან ერთად სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, წიგნში „მოგონებეთა კონა“, წერს: „1935 წელს გიორგი ჟორდანიამ გახსნა ერთი ბნელით მოცული საქმე. იქ აღმოჩნდა მრავალი „მკვდარი სული“. ბევრი სთხოვეს თავი გაანებეო, მათ შორის სანდრო ახმეტელსაც უთხოვია, მაგრამ მან საქმე დაამთავრა, ყველანი ჩასვეს. ამის გამო მას ბევრი მტერი გაუჩნდა. გიორგი ჟორდანია იძულებული იყო მოსკოვში გადახვეწილიყო. ისე გული ციმბირისკენ უწევდა. გულისთვის რომ დაეჯერებინა, იქნებ კიდევ დიდხანს ეცოცხლა...

1937 წლის 8 აგვისტოს მოსკოვში დააპატიმრეს, 11 აგვისტოს იქვე დაჰკითხეს და თბილისში გადმოაგზავნეს. ოჯახის წევრებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. მხოლოდ ასეთი შეტყობინება მიიღეს; გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია ავად გახდაო. ოჯახმა გვიან გაიგო, თითქოს ის 1947 წელს „თირკმელის ანთების შედეგად“ გარდაიცვალა. სინამდვილეში 1937 წლის 22 ნოემბერს თბილისში ისევ დაჰკითხეს, „სამეულმა“ გამოუტანა განაჩენი 2 დეკემბერს და იმ დღესვე დახვრიტეს (აღმასრულებელი – სერჟანტი ატაშიანი. გიორგი ჟორდანიას, პეტრე ოცხელისა და ვახტანგ აბაშიძის საქმე, ნომერი 13085. ეს ატაშიანი ფიგურირებს სანდრო ახმეტელის საქმეშიც. სულ ამ დროს საქართველოში დაიხვრიტა 13276 ადამიანი. დაინგრა 1214 ეკლესია-მონასტერი).

გიორგი ჟორდანია იძიებდა რეპრესირებული პატრიარქის – კირიონის საქმესაც, მაგრამ მან ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, რადგან იგი ნაადრევად გამოასალმეს სიცოცხლეს“.

გიორგი ჟორდანიას შვილი გივი ჟორდანია (1911-2000) ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მედიოლოგი გახლდათ.



გივი ჟორდანია
(1911-2000)

გივი ჟორდანიამ წარმატებით დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. მას ასწავლიდნენ ისეთი ცნობილი მასწავლებლები, როგორიც იყვნენ: მათემატიკოსი ვასო აბდუშელიშვილი, ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე. გივი ჟორდანიამ იცოდა ფრანგული, გერმანული, ლათინური ენები. უკრავდა ფორტეპიანოზე ბრწყინვალედ, კარგი სპორტსმენი გახლდათ. შემოკრებილი ჰყავდა დიდებული მეგობრები: მათემატიკოსი გიორგი ჭოღოშვილი, ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძე, რეჟისორი დოდო ალექსიძე. ისინი ცხოვრების ბოლომდე მეგობრობდნენ. გივიმ სწავლა გააგრძელა მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში. მან ცოლად შეირთო პოლონელი ბარბარა პავლოვსკაია, იგი იყო ხელოვნებათმცოდნე, მეცნიერების კანდიდატი.

მათ შეეძინათ სამი ვაჟი: სამთავე თავთავის დარგში აკადემიკოსები: რევაზი, ალექსი და ვახტანგი.

გივი ჟორდანია, მეუღლე ვარვარა, შვილები –
რევაზი და ვახტანგი, შვილიშვილები – ლევანი და გიორგი,
რძლები – ლია და ნანი

გივი ჟორდანიას გამოცემული აქვს შემდეგი შრომები:

„საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობები რიშელიეს დროს“ (2 ტომი);

„მარტვილობა მესიისა“ – ილიას მკვლელობის შესახებ;

„მეხურელნი“ – უძველესი საქართველოს შესახებ;

„დაბრუნებული საუნჯე“ – ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ;





„თამარ მეფის ერთი შესაძლო საქმროს შესახებ“;

„ძმები უნდილაძეები სპარსეთის მეფის კარზე“.

მოღვაწეობდა ქართულ ენციკლოპედიაში.

85 წლის ასაკში გივი ჟორდანიამ ისწავლა იტალიური ენა და თარგმნა იტალიურიდან წიგნი: „კათოლიკური მისიები საქართველოში“.

არის 200-ზე მეტი სტატიის ავტორი.

უკვე ხანდაზმული მეცნიერი ღმერთს შესთხოვდა: ღმერთო ისე არ დამსაჯო, რომ საწოლს მიმაჯაჭვოო და ეს სურვილი შეუსრულდა. 89 წლის ასაკში ქობულეთში დილით შვილთან, ცნობილ აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორ ალექსი ჟორდანიასთან ერთად გაისეირნა, ზღვაში მარტომ შორს შესცურა, თევზივით ცურავდა, თვალს მიეფარა, შვილმა ველარ შეხედა. როგორც ჩანს, გულმა ველარ გაუძლო და ზღვაშივე გარდაიცვალა ისევე, როგორც ბიძამისი იოსებ ჟორდანია.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში, საგვარეულო სასაფლაოზე: თედო, იოსებ, და ვახტანგ ჟორდანიებთან ერთად. გივი ჟორდანიასა და თედო ჟორდანიას მოღვაწეობის აღმნიშვნელი აბრა, ერთ შენობას ამშვენებს.

ელენე ტარსაიძის ნიჭი და მიდრეკილება მუსიკისადმი გენეტიკური მემკვიდრეობით გადაცემული ნაშიერთა შორის ბევრს აღმოაჩნდა, მათ შორის ალექსი ჟორდანიას შვილს, რომელსაც ბიძამისის სახელი – ვახტანგი ჰქვია და

რომელიც სამგზის მსოფლიო კონკურსის ლაურეატია მუსიკაში (ფორტეპიანო).

ვახტანგ (ვატო) ჟორდანია

დასაწყისი ბრწყინვალეა. ღმერთმა ინებოს და მსოფლიო აღიარება იმ დონეზე, რა დონეზედაც ბიძამისს ჰქონდა, მანაც ჰპოვოს.

განსაკუთრებით ბავშვობიდანვე რომ სახელი გაითქვა და შემოქმედების მწვერვალს მიაღწია, ეს გახლდათ ვახტანგ გივის ძე ჟორდანია. ღმრთისაგან უსაზღვრო ნიჭიერებით შემკულს შეზღუდულ გარემოში მოუწია ცხოვრება. მან დაამთავრა თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოს სპეციალობით, შემდეგ პეტერბურგის კონსერვატორიაში გააგრძელა სწავლა სადირიჟოროზე. მსოფლიოში ცნობილი დირიჟორის – ევგენი მრავინსკის ასისტენტი იყო. ამ დროს მოიპოვა გერმანიაში პრესტიჟული კონკურსის ლაურეატის წოდება.

ვახტანგს უცხოეთის ბრწყინვალე ორკესტრები იწვევდნენ, სთხოვდნენ დირიჟორობას, მაგრამ შეზღუდული ქვეყნის, შეზღუდული გონების ადამიანები პასუხობდნენ – ავად არისო.

ერთ დღეს ცნობილ მევიოლინეს, ლაურეატ ვიქტორია მულოვას შესთავაზეს ფინეთში საგასტროლოდ წასვლა.

ვიქტორია მულოვა

მისი აკომპანიატორი გახდა ავად და მის მაგივრად წაიყვანა ვახტანგ ჟორდანია. მიუხედავად სუკის მიჩენილი წარმომადგენლისა, რომელიც მათ ერთ წუთსაც არ ტოვებდა უმეთვალყურედ, მოახერხეს და ასეთი სცენა გაითამაშეს, ვახტანგმა ისე დაათრო ვიქტორია, თავს ველარ აკონტროლებდა, ხელებს იქნევდა, დახტოდა, ფეხებს აბაკუნებდა. ვახტანგმა მოიხმო მიჩენილი კაცი და აჩვენა, რაც ხდებოდა. ამ დროს შეხვედრა იყო დანიშნული, რომელსაც აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ. სხვა გამოსავალი არ არის, უთხრა აგენტს ვახტანგმა, ან ამასთან დარჩი და მე წავალ, ან შენ წადიო. ვიქტორია ისე იქცეოდა, შეეშინდა მასთან დარჩენა და წასვლა ამჯობინა. ამათ მეტი რა უნდოდათ, დრო იხელთეს, სასწრაფოდ გადალახეს საზღვარი და წავიდნენ აშშ-ში. იქ კი ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს მათ მსოფლიოში ცნობილმა მსტისლავ როსტროპოვიჩმა და „ტოლსტოის ფონდმა“.

მსტისლავ როსტროპოვიჩი

კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ მაშინვე წაშალა მისი გვარი ფილმებში, დადგმებში, ტელეჩანაწერებში... და წასაშლელი არცთუ ისე ცოტა იყო.

ვახტანგ ჟორდანიამ მოკლე დროში მიაღწია დიდ გამარჯვებას იმ ქვეყანაში და მაშინვე დაიწყო ნანატრი გასტროლები მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში: იაპონია, კორეა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ევროპა, შორეული აღმოსავლეთი და სხვა. ვიდრე ვახტანგ ჟორდანია გასტროლებზე დადიოდა, თბილისში ოჯახის წევრებს კგბ მოსვენებას არ აძლევდა. მერე დაიშალა საბჭოეთი და გაიოლდა ურთიერთობები.

ვახტანგ ჟორდანია

1999 წელს ვახტანგი აირჩიეს სან-ფრანცისკოს მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსად. დაწესდა მისი სახელობის პრიზი. 2000 წელს ვახტანგ ჟორდანიამ დააარსა დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსი, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა. სამწუხაროდ, ვახტანგ ჟორდანიას სიცოცხლე მალე შეწყდა, გარდაიცვალა 2005 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში, წინაპრების გვერდით.

ვახტანგ ჟორდანიას კაცობრიობის წინაშე უდიდესი ღვაწლის შესახებ ამ მცირე მოგონებას დავამთავრებ მსოფლიოში ცნობილი დირიჟორის სიტყვებით:

„დიდი ქართველი დირიჟორი.
ვახტანგ, ნეტავ შენი ხელები მომცა“.

ევგენი მრავინსკი

ვახტანგის შვილი, გიორგი ვახტანგის ძე ჟორდანია, საკმაოდ ნიჭიერი დირიჟორი, აგრძელებს მამის გზას და როგორ დაიპყრო მუსიკის სამყარომ, იხსენებს ასეთ ეპიზოდს: 13 წლის ვიყავი მამამ ყაზანის სიმფონიური ორკესტრის გასტროლებზე წამიყვანა. სოლისტი ავად გახდა და მან ლექსო თორაძეს დაურეკა. ის მეორე დღესვე ჩამოვიდა.

1978 წელია, საბჭოთა კავშირში არის უსაშველო შიმშილი. ყოველივე ამის სრულყოფილად ხილვა შეგზარავდა. სიტუაციაც ისეთი იყო, როგორიც ცხოვრების დონე. სიმფონიური ორკესტრი შედგებოდა 100 კაცისგან. ხელმძღვანელობდა ყაზანის მთავარი დირიჟორი ნატან რახლინი, უმძიმესი ავადმყოფი. ორკესტრის შემადგენლობა ძალიან მტკივნეულად განიცდიდა მის ავადმყოფობას და ყოველნაირად ცდლობდა შეემსუბუქებინა მისთვის მდგომარეობა. მე მაშინ ვნახე სიყვარულისა და თანადგომის ისეთი ძალა, რომლის მსგავსსაც ვინატრებდი მუდამ.



ვახტანგ ჟორდანია



გიორგი ჟორდანია

ნატან რახლინის უდიდესი პატივისმცემლების მწუხარებამ და ცარიელმა დარბაზმა, სადაც ჩემი ჩათვლით მხოლოდ თერთმეტი კაცი ვიჯექით, ცუდ ხასიათზე დამაყენა. ვფიქრობდი ეს ყველაფერი იმოქმედებდა ორკესტრის წევრებზე, მაგრამ მოხდა სრულიად განსხვავებული რამ. რამდენიმე წამში გაისმა მუსიკის ჰანგები და პირველივე ბგერამ დამავიწყა ამქვეყნიური ყველაფერი. განვიცადე რაღაც ზღაპრულ ნეტარება, რომლის მსგავსიც ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა... ამ ჟამიდან განვლო რამდენიმე ათეულმა წელმა და მსგავსი აღარაფერი განმეორებულა. მაშინ გადავწყვიტე, გავმხდარიყავი მუსიკოსი. ჩემთვის მუსიკა გახდა ის, რის გარეშეც ცხოვრებას ვერ შევძლებ.

ჩემი მიზნის მიღწევა მამაჩემის, მსოფლიოში უდიდესი დირიჟორის დამსახურებაა. ნიუანსებში მისწორებდა ყველაფერს, მიმოწმებდა ყოველ ბგერას... მამაჩემი იყო ჩემი არა მხოლოდ მშობელი, არამედ პედაგოგი, დამრიგებელი და, რაც მთავარია, სულიერი მეგობარი. უდიდესი მადლობა ყოველივე ამისათვის მას.

მუსიკოსია სახელგანთქმული დიდი ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელი სალომე გიორგის ასული ჟორდანია. იტურბის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის მედალოსანი და ნიუ-იორკის არტისტის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული, რომელშიც პრიზად მოიგო 2-წლიანი თანამშრომლობა აი-სი-ემის მენეჯმენტთან. პრიზი მოიცავდა აგრეთვე ბერლინის ფილარმონიის დარბაზში სოლო კონცერტის გამართვას, რომელიც გაიმართა 2023 წლის 2 მარტს. სალომე ჟორდანია რეგულარულად მართავს კონცერტებს აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

სალომე ჟორდანია

მრავალი უდიდესი საზოგადო მოღვაწენი და მეცნიერნი შესძინა ჟორდანიების ოჯახმა კაცობრიობას, მაგრამ არანაკლები მიღწევები აქვთ დღესაც ამ ოჯახის წარმომადგენლებს მუსიკის სფეროში. რომლებიც ატკბობდნენ და ატკბობენ ადამიანთა სმენას დიდებული ჰანგებით.

იოსებ თევდორეს ძე ჟორდანიას დედმამიშვილებიდან სამმა: ერეკლემ, თამარმა და კონსტანტინემ ახალგაზრდა ასაკში გადაინაცვლა იმქვეყნად.

თამარ ჟორდნია

ერეკლე ჟორდანია

უმძიმესი ტვირთი დააწვა თავზე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თედო ჟორდანიას; ექვსი შვილის აღზრდა და სათანადო განათლების მიცემა, ყოველდღიური მეცნიერეული მუშაობა შრომებზე და სამსახური საშინლად დაჭაობებულ ფოთსა და ბათუმში, სადაც მალარიით ისე დასნეულდა, რომ სავალალო აღსასრული გარდაუვალი იქნებოდა, რომ არა ღმრთივმიმადლებული კეთილშობილებით ცნობილი ექიმი – მიხეილ გედევანიშვილი, რომელმაც სიკვდილს გამოგლიჯა ხელიდან. ამის შემდეგ მან კიდევ უამრავი კარგი რამ შესძინა საქართველოს.

მიხეილ გედევანიშვილი[1]
(1862-1922)

განლო ხანმა და მისი სხეული კვლავ დაუძლურდა, სამწუხაროდ, თავს ყურადღება ვეღარ მიაქცია და შედეგიც სავალალო აღმოჩნდა, 1916 წლის 16 ოქტომბერს კასპში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლო ჟამს ცხოვრობდა, ბაღში სასეირნოდ გამოსული მოულოდნელად დაეცა და აღესრულა. თედო ჟორდანიას სიცოცხლის ასეთი დასასრულის ერთერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მას მიჩენილი ჰყავდა ჯაშუში, რომელიც მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა და მთელი სიზუსტით მიჰქონდა შემკვეთამდე.

[1] მიხეილ გედევანიშვილის წვლილი განუზომელია ქართული მედიცინის განვითარებაში. მან დააარსა ქართველ ექიმთა პირველი სამკურნალო დაწესებულება – ფსიქიატრიული კლინიკა და ხელმძღვანელობდა მას. თბილისში ჩამოიტანა რენტგენის პირველი აპარატი, რომელიც რუსეთის იმპერიაში მხოლოდ საქართველოში იყო. ეს აპარატი მის შთამომავალთა ოჯახში ინახება. საკუთარი სახსრებით გამოსცა ილია ჭავჭავაძის თხზულებები.

გარდაიცვალა დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც მთელი ქართველი ერის გონიერმა ნაწილმა დიდი გულისტკივილით დაიტირა. მრავალი გამოსასალმებელი სიტყვიდან მხოლოდ რამდენიმეს მოგაწვდით.

ერთ-ერთი სკოლის წინამძღვარი მღვდელი ბესარიონ ვაშაძე თედო ჟორდანიას ასე აფასებს: „განსვენებულ თედოს იმერეთში თავისი მადლით, ბრძნული სიტყვით და მოქმედებით მრავალი ნაყოფიერი თესლი უთესია ქრისტეს ყანაში“.

დეკანოზი ნიკიტა მალაქიას ძე თალაკვაძე აღნიშნავს: „როგორც მეგრელთათვის არა მშობლიური ენა სამინისტროს სკოლებიდან უკვე დიდი ხნიდან იყო განდევნილი ქართულად სწავლებაც და ქართული ენაც. ამ ნიადაგზე რა შხამი და სიმწარე არ შეასვეს აწ განსვენებულ თედო ჟორდანიას“.

ხოლო მისი ნამოწაფარი კორნელი კეკელიძე წერს: „დღეს მიწას ვაბარებთ ყველასაგან ცნობილ მუშაკს, ჩვენი საისტორიო მწერლობის მესვეურს, თედო ჟორდანიას, რომლის მეოხებითა და თავგამოდებით ფესვი გაიდგა ქართულმა ენამ სასულიერო სასწავლებელში, თუმცა ასეთი თავგამოდება მას ძვირად დაუჯდა; მან დაჰკარგა ზედამხედველობა და გადმოყვანილ იქნა უბრალო მასწავლებლად. მაგრამ მისი აღტაცებული და აღფრთოვანებული ლექციები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩვენს ახალგაზრდებზე და მშობლიურ წარსულისადმი სიყვარულს უღვივებდნენ. მოსწავლეები მასში ჰპოებდნენ ნამდვილ გულშემატკივარ და მზრუნველ მამას. ის იყო ერთადერთი მედგარი დამცველი მათი ყველასგან გათელილი ინტერესებისა“.

უფლის მადიდებელი, ხალხისათვის თავდადებული, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ოჯახში დაიბადა იოსებ თევდორეს ძე ჟორდანია 1895 წლის 15 მაისს, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთების მახლობლად.

კეთილმორწმუნე წინაპრებისა და მშობლების მადლი მაშინვე გადმოვიდა მასზე და მის და-ძმებზე. იოსები იზრდებოდა მუსიკის ჰანგებში ჩაფლული ღმრთისა და ერის სიყვარულით დაპურებულ ოჯახში. თედო ჟორდანიას შვილები მუდმივად დაჰყავდა ეკლესიაში და სამოციქულოს აკითხებდა. ასეთმა გარემომ ჩამოაყალიბა ისინი ძლიერ, გონიერ, უდრეკ და საოცარი სიფაქიზით შემკულ ვაჟკაცებად.

1915 წელს იოსებ ჟორდანიამ წარჩინებით დაამთავრა გორის კლასიკური გიმნაზია.



იოსებ ჟორდანია
(1895-1962)

შემდეგ შევიდა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1923 წელს.

1936 წელს გამოქვეყნებული შრომების მიხედვით დისერტაციის დაუცველად მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. უმოკლეს დროში, ერთი წლის შემდეგ, 1937 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1938 წელს იოსებ ჟორდანია კონკურსით აირჩიეს კუიბიშევის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგედ. ამ პერიოდში იგი შეთავსებით მუშაობდა დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევ საოლქო ინსტიტუტის დირექტორად. სამამულო ომის წლებში კი, საბჭოთა არმიის მთავარ მეან-გინეკოლოგად.

მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამედიცინო მეცნიერების ახალი დარგი – სამხედრო გინეკოლოგია. ფრონტზე ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარდა მრავალი სამეცნიერო კონფერენცია.

იოსებ ჟორდანია იყო ახალი სამედიცინო დარგის – სამხედრო-საველე ქირურგიის შემქმნელი. 1942 წელს სათავეში ჩაუდგა არმიაში მომუშავე 8000-იანი ქალის სპეციალური მომსახურების ორგანიზაციას. ეს იყო ისტორიაში ერთადერთი სამსახური, რომელსაც იგი 1947 წლამდე ასრულებდა.

1944-1950 წლებში განაგებდა საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. ამავე კათედრის ბაზაზე მისი ინიციატივით დაარსდა ნაყოფიერებისა და უნაყოფობის პრობლემის შემსწავლელი სპეციალური ლაბორატორია.

სწორედ ამ წლებში მოხდა იოსებ ჟორდანიას ცხოვრებაში სამწუხარო ამბავი; გარდაეცვალა განუკურნებელი სენით დაავადებული მეუღლე – ადა ადრიანეს ასული გრიბოედოვა.

იოსებ ჟორდანია და ადა გრიბოედოვა

მამამისი იყო ბავშვთა ფსიქოლოგიის სკოლის ფუძემდებელი, ცნობილი ექიმი, ვლადიმერ ბეხტერევის მოწაფე, რუსი ერის დიდებული წარმომადგენელი ადრიანე გრიბოედოვი. იოსებს ადასთან შვილი არ ჰყოლია, მიუხედავად ამისა, სულაც არ ფიქრობდა მეორედ დაქორწინებაზე, რომ არა ერთი ეპიზოდი, რომელმაც შეცვალა მისი ცხოვრება ძირფესვიანად – გვიამბობს იოსებ ჟორდანიას თბილისში მოღვაწეობის დროს პირველი ასპირანტი ჯუნა ბაღათურია.

კრემლის საავადმყოფოში, რომლის მთავარი ექიმიც იოსებ ჟორდანია იყო, განუკურნებელი სენით დაავადებული ერთი დიდებული ქალბატონი იწვა, მას ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც თავს დასტრიალებდა, ლიდია ივანეს ასული ულანოვა, მოისეევის გუნდის მოცეკვავე. ავადმყოფმა დარწმუ-

ნებული იმაში, რომ იოსებ ჟორდანია, მისი კეთილშობილებიდან გამომდინარე, უარს არ ეტყოდა, სთხოვა, რომ მისი ქალიშვილისთვის ეპატრონა. იოსებმა იგი სახლში წაიყვანა, სათანადოდ შეამზადა და ბოლოს უთხრა რა განსაცდელიც ელოდა.

თხოვნა, რომლის მაგვარიც არცთუ ისე ხშირია, დაედო საფუძვლად სიყვარულს და დაგვირგვინდა მათი დაქორწინებით. ასე მოევლინა ქვეყანას ერთი წლის შემდეგ მათი შვილი კირილე იოსების ძე ჟორდანია, ვის შესახებაც თავის ძმიშვილს – გივი ჟორდანიას სწერდა: ჩემზე ბედნიერი კაცი მსოფლიოში არ მეგულებაო.

ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული იოსებ ჟორდანია თვალებში შესცინცინებდა თავის ვაჟიშვილს და თავგამოდებით მკურნალობდა უშვილო ქალბატონებს, რათა გაეხარებინა ისინი და ეგრძნოთ ბავშვის მოვლინებით გამოწვეული უდიდესი სიხარული.

ლიდია და კირილე ჟორდანიები

კირილე, ლიდია და იოსებ ჟორდანიები

იოსებ ჟორდანია კირილესთან ერთად

კირილე ჟორდანია

იშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ ქალს ჟორდანიას კლინიკაში მკურნალობა ჩაეტარებინოს და მას შვილი არ გასჩენოდა.

წარმატების ერთ-ერთი საფუძველი – ზუსტი დიაგნოსტიკაა. ზუსტი დიაგნოზის დასმა კი დამოკიდებულია მთელი სისტემის კვლევის ერთობლიობაზე – აღნიშნავდა უშვილობის თერაპიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თამარ საყვარელიძე. დედები გახდნენ ქალები, რომლებსაც 10, 14 და ზოგჯერ 17 წელიც კი არ ჰყავდათ ბავშვები.

მეთოდი მკურნალობისა, რაზედაც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა ჩვენი მოდგმა, ყოველმხრივ წარმატებით მთავრდებოდა. მარტო ციფრის დასახელებაც კი მეტყველებს იმაზე, რომ ინსტიტუტი მრავალმხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. იოსებ ჟორდანიას კლინიკაში ათიათასობით ქალი მკურნალობდა არა მარტო საქართველოში მცხოვრები, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული.

ამ უდიდეს მეცნიერს მიზნად ჰქონდა ქალის ახალგაზრდობის შენარჩუნება და ხანდაზმულობით გამოწვეული ცვლილებების შეჩერება. უფრო მეტიც, ადამიანთა მოდგმის სიცოცხლის ასაკის გახანგრძლივება. მასთან მოღვაწე მეცნიერთა აზრით, თუ მის ღვთივმიმადლებულ გონიერებით მიღწეულ მეცნიერულ გამოკვლევებს გავითვალისწინებთ, განუხორციელებული არაფერი დარჩებოდა, რომ დასცლოდა.

მცირერიცხოვანი ქართველი ერის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იგი საქართველოში მოსახლეობის ზრდის, ჩასახვის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის, უნაყოფო ქორწინების, კლიმაქსისა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

მიუხედავად რუსეთში გატარებული მრავალი ნაყოფიერი წლისა, მან ადამიანის რეპროდუქციის პრობლემის შესწავლის განხორციელება საქართველოს დედაქალაქში გადაწყვიტა, სადაც მისი მშობლების მრავალსულიანი ოჯახი ცხოვრობდა, რადგან საქართველო დაბალი შობადობის მაჩვენებლებით ხასიათდებოდა.

1957 წელს იოსებ ჟორდანიას ოჯახი მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა მოსკოვიდან თბილისში, რათა დახმარებოდა მშობლიურ ერს. მას განსაკუთრებული მხარდაჭერა აღმოუჩინა პროფესორმა ჯემალ ციციშვილმა. მათი ერთობლივი ძალისხმევითა და ღვაწლით თბილისში პირველად 1958 წელს დაარსდა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ერთადერთი იყო მსოფლიოში და, რომლის დირექტორიც სიცოცხლის ბოლომდე გახლდათ იოსებ ჟორდანია.

იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის შენობა



მაკრატელი, რომლითაც ინსტიტუტის გახსნისას
გაიჭრა ლენტი

დილის კონფერენცია. მარცხნიდან: იოსებ ჟორდანია,
მომხსენებელი ნინო ჩარაშვილი, სხედან:
თამარ საყვარელიძე, ანასტასია გვერდწითელი,
ნინო მაისურაძე

ეს იყო იმდროისათვის უდიდესი მიღწევა, რადგან თანამდებობაზე მოხვედრილი, ქართველი ერის გამრავლებაზე უსულგულოდ განწყობილი ადამიანები თითის ქნევითა და მუქარით ეუბნებოდნენ, საქართველოში ნორმალური დემოგრაფიული მდგომარეობაა და ნაციონალურ გამოხტომებს თავი დაანებეთო. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, მან ჯემალ ციციშვილთან ერთად, შეძლო დასახული მიზნის მიღწევა.

ამ დიდ გამარჯვებას კიდევ დაერთო სიხარული იმისა, რომ იოსებ ჟორდანიასა და ჯემალ ციციშვილის გვერდით დაუღალავად შრომობდა ახალგაზრდა ბრწყინვალე კოლექტივი ასეთი შემადგენლობით: თორნიკე ძიძიგური, თამაზ ბეგიაშვილი, თენგიზ ბოლქვაძე, ვაჟა ივერიელი, თამარ საყვარელიძე, ნინო მაისურაძე, ნინო ტაბატაძე, ლიანა თვალჭრელიძე, ვოლტამ პოლშინი, ეთერ მაჭავარიანი, ციცინო გაჩეჩილაძე, ზინა ერისთავი, ანასტასია გვერდწითელი, თამარ ახობაძე, გაიოზ ჩანტლაძე, გიორგი ცერცვაძე, თენგიზ მესხი, ლეილა ქუთათელაძე, ლეილა ტყეშელაშვილი, მარგალიტა ნიჟარაძე, ოთარ გოცირიძე, ჯუნა ბაღათურია, დოდო გვახარია, სიმონ ნადირაშვილი, ევგენია ბოჭორიშვილი, რაისა კალაშნიკოვა-პაპიტაშვილი, ციანა ნაზარიშვილი, ჯამბაკურ ბაქრაძე, რეზო ჟვანია, ცირა ჯანიაშვილი, ალისა ბუაჩიძე, რუსუდან კაპანაძე, ეთერ ბახტაძე, ქეთევან ჩიქოვანი, ნინო ბაბლიძე, ბიძინა მჭედლიშვილი, ნანული პეტრიაშვილი, დონარა დოლიძე, ლიდია ფხალაძე, თამაზ დოლიძე.

რეპროდუქტოლოგიის დარგის განვითარება საქართველოში ძირეულად უკავშირდება ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბების, განვითარებისა და არსებობის ერთიან ისტორიას.

საქართველოში ასეთი სამსახურის ქსელის განვითარებამ განაპირობა სამკურნალოდან პრევენციულ მედიცინაზე

გადასვლა. რეპროდუქციული ცხოვრების ჯანსაღი წესის ფართო პოპულარიზაცია უზრუნველყოფს დედისა და მომავალი თაობის ჯანმრთელობას.

დიდი მეცნიერის მიერ დასახული მიზანი და ამოცანები წინ უსწრებდა თავის ეპოქას და დღემდე რჩება ინსტიტუტის მოღვაწეობის ძირეულ პროგრამად. იგი მოიცავს ბრძოლას აბორტებისა და მათი გართულებების წინააღმდეგ, უშვილო ქორწინების მიზეზების გამოვლენას და მათი თავიდან აცილების გზების დასახვას, კლიმაქსისა და ქალის ორგანიზმის ნაადრევი დაბერების შესწავლას.

ლუპა, რომელსაც ხმარობდა
იოსებ ჟორდანია

იოსებ ჟორდანია ძალიან წუხდა, რომ თბილისში განსაკუთრებით ხშირი იყო გვიანი ქორწინება. სტატისტიკური მონაცემებით 30 წლის ზევით მამაკაცების 40%, ხოლო 35 წლის ზევით ქალების 35% დაუქორწინებელნი არიან. ყველაზე კარგი პერიოდი მედიცინის თვალსაზრისით ოჯახის შექმნისთვის არის 18-იდან 25 წლამდე. გვიანი ქორწინება ცუდად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე, რასაც ხშირად მოსდევს უნაყოფობა. უნდა აღზარდო 3 ან მეტი შვილი.

იოსებ ჟორდანიამ გასული საუკუნის 50-იან წლებში იდეოლოგიურად განჭვრიტა რეპროდუქტოლოგიის მნიშვნელობა, რითაც 30 წლით მაინც გაუსწრო თავის ეპოქას. აღსანიშნავია, რომ ამ სამედიცინო მიმართულების მომდევნო დაწესებულება ამერიკის ქალაქ ნორფოლკში მხოლოდ 1979 წელს გაიხსნა. იოსებ ჟორდანია, ამავდროულად, განაგებდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. 90-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია რამდენიმე მონოგრაფია გამოცემული ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. მისი შრომები ძირითადად, შეეხება ქალის ორგანიზმის მორფოლოგიურ თავისებურებათა, ენდოკრინული სისტემის მოქმედების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურის გაუმჯობესების, უნაყოფო ქორწინებისა და ბავშვთა ასაკის გინეკოლოგიის საკითხებს.

სახელმძღვანელო – „მეანობა“ მოკლე დროის მანძილზე სამჯერ დაიბეჭდა. გარდა საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისა, იგი ნათარგმნია ჩინურ და იაპონურ ენებზე. 1962 წელს მოსკოვში გამოვიდა მისი გინეკოლოგიის სახელმძღვანელო.









იოსებ ჟორდანიას მიერ დაწერილი სახელმძღვანელოები

1950 წელს იოსებ ჟორდანიას რედაქტორობით გამოვიდა მშობიარობის ბიომექანიზმისადმი მიძღვნილი შრომების კრებული. ამ საკითხზე დაწერილმა მისმა შესავალმა სტატიამ და მისი მოწაფეების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ბევრი ახალი რამ შემატა მეანობის ამ რთულ საკითხს. მისი რედაქტორობით ექიმებისთვის გამოცემულია გინეკოლოგიის ცნობარი და შედგენილია თავები „გინეკოლოგია და გინეკოლოგიური დაავადებანი“.

ძნელია აღწერო მეანობისა და გინეკოლოგიის დარგში მისი დამსახურება. საკმარისია აღინიშნოს, მის მიერ შედგენილი 30-მდე დიდი მნიშვნელობის მეთოდური წერილი, რომელიც აშუქებს ქალებისთვის საექიმო დახმარების ორგანიზაციის საკითხებს. იოსებ ჟორდანიამ მეცნიერთა შორის ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა მეთოდი (სქემა) ადამიანის ნერვული მოქმედების განსაზღვრისთვის და აღნიშნა ამ უკანასკნელის მნიშვნელობა პრაქტიკულ მედიცინაში. ეს შრომა თარგმნილია მრავალ ენაზე.

იოსებ ჟორდანია უდიდესი კლინიცისტი იყო, ბრწყინვალედ ფლობდა გინეკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და თერაპიის მეთოდებს. შესანიშნავი ქირურგი ამავდროულად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მის მიერ მომზადებულია 12 დოქტორი და 24 კანდიდატი. იგი იყო საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი, მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო კომისიის წევრი, მეანობისა და გინეკოლოგიის მრავალტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ერთ-ერთი ავტორი, ჰიტლერელთა ბოროტმოქმედების დამკვირვებელთა საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

საპრობლემო მოხსენებით გამოვიდა საერთაშორისო სამეცნიერო ონკოლოგთა კონგრესებზე: პრაღაში 1955 წელს; ნაყოფიერებისა და უნაყოფობის მიძღვნილ კონგრესზე ნეაპოლში 1956 წელს; მეან-გინეკოლოგთა კონგრესზე ტოკიოში 1957 წელს, სადაც აზიის ქვეყნები იღებდნენ მონაწილეობას; ამსტერდამში 1959 წელს, სან-ფრანცისკოში 1959 წელს, რიო-დე-ჟანეიროში 1962 წელს. ჰერონტოლოგთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესზე მოხსენებით გამოვიდა 1960 წელს. საკითხი ეხებოდა ქალისა და მამაკაცის უშვილობის ქირურგიულ მკურნალობას.

როგორც ცნობილია, აღნიშნა იოსებ ჟორდანიამ, 40 წლის შემდეგ ქალის სქესობრივი ფუნქცია სუსტდება და ნელ-ნელა იწყებს ქრობას, რაც არის ნაადრევი დაბერების მიზეზი. ჩვენ დაგვებადა აზრი, შეიძლება თუ არა საკვერცხეების სისხლძარღვთა მომარაგებით აღდგეს მათი ქრობადი ფუნქცია? ცდები ექსპერიმენტული ლაბორატორიის სამეცნიერო ექსპედიციამ ჩაატარა ბებერ და უნაყოფო ცხოველებზე. სისხლძარღვებით მდიდარი ბადექონი მიაკერა საკვერცხეს, რამაც გააძლიერა სისხლის მიმოქცევა სასქესო ორგანოებში და მისი ქრობადი ფუნქცია აღადგინა.

ექსპერიმენტული ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლებმა მოაწყვეს პირველი სამეცნიერო ექსპედიცია უდაბნოს მეცხოველეობის მეურნეობაში და ადგილზე ჩაატარეს ცდები ბებერ ცხოველებზე. ექსპედიციას კონსულტაციას უწევდა პროფესორი დავით მამამთავრიშვილი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი მეცნიერ-თანამშრომელი ოთარ გოცირიძე, მეცნიერები: გაიოზ ვასაძე, ზურაბ ჭილაძე... ნიჭიერი ახალგაზრდები დიდი ინტერესით და გულისყურით აწარმოებდნენ ახალ-ახალ ოპერაციებს, რითაც ფართო გზა ეხსნება ქირურგიას, რომელიც შეაჩერებს ნაადრევ სიბერეს.

დავით მამამთავრიშვილი
(1905-1980)

სასქესო სფეროს რეგულაციაში ნერვული სისტემის როლს სწავლობს ფიზიოლოგიის ლაბორატორია, ხელმძღვანელი მეცნიერი თორნიკე ძიძიგური, მეცნიერ-თანამშრომლები: ვოლტამ პოლშინი და ნინო მაისურაძე. მათ საინტერესო ცდები ჩაატარეს და ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწიეს.

ენდოკრინოლოგიის ლაბორატორია სწავლობს იმ პრობლემებს, რაც გავლენას ახდენს საკვერცხეების ფუნქციაზე. ხელმძღვანელი თენგიზ ბოლქვაძე, თანამშრომლები: ნუკრი ცერცვაძე, ასპირანტი ჯუნა ბაღათურია.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. იოსებ ჟორდანიას ახალმა იდეამ აღაფრთოვანა სწავლულთა წრე. ამერიკელმა ჟურნალისტებმა თხოვეს, რომ პრესკონფერენცია მოეწყო. ამის შესახებ მრავალ გაზეთში დაიბეჭდა სენსაციური სტატიები. მეცნიერები, რომლებმაც ამ მოხსენებას მოუსმინეს, ითხოვდნენ იოსებ ჟორდანიას კონსულტაციას, სურვილი გაუჩნდათ მსგავსი ინსტიტუტის დაარსებისა თავიანთ ქვეყნებში. აურაცხელ წერილში, დაწვრილებით ახსნა-განმარტებებს ითხოვდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით.

იოსებ ჟორდანია არჩეული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტად. საერთაშორისო სამედიცინო ნომენკლატურის კომისიის წევრად, მეან-გინეკოლოგთა მსოფლიო ფედერაციის წევრად.

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის საკითხების პოპულარიზაციის მიზნით ლექციები წაიკითხა: რომში, ტოკიოში, პრაღასა და ბოლონიაში.

1962 წელს აირჩიეს ჩეხოსლოვაკიის პურკინიეს სახელობის სამედიცინო საზოგადოების საპატიო წევრად.

სამწუხაროდ, ამ წელს უკვე წყდება იოსებ ჟორდანიას ამქვეყნიური პიროვნული მოღვაწეობა, მაგრამ რჩება უძლიერესი საფუძველი მისი იდეებისა, რომელთა გამგრძელებლები ცდილობენ მოწიწებით გაჰყვნენ დიდი მეცნიერის გაკვალულ გზას.

იოსებ ჟორდანიას შემდეგ ინსტიტუტს 1962-1975 წლებში ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ჯემალ რევაზის ძე ციციშვილი (1920-1983), დამაარსებლის თანამოღვაწე და მეგობარი. ამ ორი მეცნიერის მეგობრობის საფუძველი იყო პროფესიისადმი უდიდესი სიყვარული და კეთილშობილება, პაციენტებისადმი ერთგული დამოკიდებულება და უანგარო მომსახურება, რაც უხვად ჰქონდათ ორთავეს.

ჯემალ ციციშვილი
(1920-1983)

ჯემალ ციციშვილმა გააგრძელა იოსებ ჟორდანიას მიერ ინსტიტუტში დამკვიდრებული ტრადიციები, ჩაატარა სამეცნიერო სესიები, საკავშირო და რესპუბლიკური კონფერენციები. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის გაფართოება. იოსებ ჟორდანიას მიერ დასახული პრობლემა დღემდე ინსტიტუტის მოღვაწეობის საფუძვლად რჩება.

შეიქმნა ახალი ქვედანაყოფები და განყოფილებები: ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიის (ვოლტამ პოლშინი), ნაყოფის ფიზიოლოგიის (სიმონ ნადირაშვილი), გენეტიკისა და გამრავლების ბიოლოგიის (ავთანდილ დოლიძე), ჰერონტოლოგიისა და გერიატრიის (პროფესორი გრიგოლ ფიცხელაური), გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის (ედუარდ ვეინბერგი), ბავშვთა და მოზარდთა ენდოკრინოლოგიისა და გინეკოლოგიის (ეთერ კვიცარიძე).

ბევრი დაწერილა და თქმულა პროფესორ ჯემალ ციციშვილის განსაკუთრებულ კეთილშობილებასა და პროფესიონალიზმზე, მაგრამ ამჯერად მოგაწვდით კიდევ ერთ წერილს ამ დიდებული ადამიანის დაკრძალვისადმი მიძღვნილს დასტურად იმისა, თუ რაოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მან თავდადებული შრომითა და ღვაწლით ქართველი ერის წინაშე.

თელავის ექიმთა საზოგადოება წერს:

ბატონო ჯემალ,

„სიყვარულით მოცული მთელი თქვენი არსება განუსაზღვრელ სითბოსა და სიმშვიდეს გვანიჭებდა, ამიტომაც იყო, რომ უსაზღვროდ და უნაპიროდ გვიყვარდით.

თქვენ მობრძანდით თელავში, როგორც სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი, მაგრამ მრავალმხრივი ინტელექტის თვალსაწიერი მალე გასცდა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ზრუნვის ფარგლებს და შეუერთდა იმ დიდ მდინარეს, რომელიც თქვენნაირ უსაყვარლეს ადამიანებს სამუდამოდ ტოვებენ ხალხის მეხსიერებაში.

თქვენ ასეთი გამორჩეული ბრძანდებოდით, ბატონო ჯემალ, მაგრამ რა უბრალოდ და თავმდაბლად გეჭირათ თავი, როგორ უჩინრად იღვწოდით და იწვოდით, უსაზღვროდ გვეამაყებოდა, რომ ჩვენს გვერდით იდექით.

თქვენ, ცნობილი მეცნიერი, 100 სამეცნიერო შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, გამოჩენილი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იოსებ ჟორდანიას მეგობარი და თანამოაზრე, მისივე სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო გაერთიანების ხელმძღვანელი და წლების მანძილზე დირექტორი, რა სამწუხაროა, რომ აღარავის უწილადებთ თქვენს ღრმა მეცნიერულ ცოდნას, უმდიდრეს გამოცდილებას და განუსაზღვრელი სიყვარულით სავსე გულის სითბოს. ჩვენთან რჩება თქვენი თბილი ჩანაწერები, რომლებსაც ჩვენ რელიკვიასავით ვინახავთ და დავიწყების ბურუსს არ მივაკარებთ “.

ასე გამოხატა თელაველმა ხალხმა ამ დიდებული და უსაყვარლესი მეცნიერისადმი თავისი განწყობა.

მამის კვალს დაადგა ვაჟიშვილი ამ მეცნიერისა, მედიცინის დოქტორი რევაზ ციციშვილი, რომელიც 1993 წლიდან იოსებ ჟორდანიას სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მამოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

მსოფლიოში აღინიშნება ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალთა რიცხვის მკვეთრი ზრდა, მათ შორის საქართველოშიც. განყოფილების მუშაობის ძირითადი მიზანი დაავადების ნაადრევ სტადიაზე გამოვლენა და მკურნალობაა. ტარდება შემდეგი ტიპის გამოკვლევები: მამოგრაფია, ულტრასონოგრაფია, თერმოგრაფია, ციტოლოგია და, საჭირო შემთხვევაში, ქირურგიული მკურნალობა.

შემდეგი დირექტორი იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტისა 1975-1980 წლებში გახლდათ თენგიზ აპოლონის ძე მესხი (1923-1990). ის იყო ქუთაისის ერთ-ერთ ძირძველ, ცნობილ, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი პიროვნება. მამის – აპოლონ მესხის ოჯახს სტუმრობდნენ საზღვარგარეთისა და რუსეთის ქვეყნებიდან ცნობილი მეცნიერები: ფილატოვი, რუდენკო და სხვა მრავალი. მათ შორის ერთ-ერთი სტუმა-

რთაგანი იყო იოსებ ჟორდანია. სწორედ ამ ოჯახში გადაწყვიტა თავის ინსტიტუტში გადმოეყვანა აპოლონის შვილი – თენგიზი, რომელიც მაშინ პეტერბურგში მოღვაწეობდა.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ მესხი, რომელიც დაბადებიდან გარდაცვალებამდე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ, მეცნიერულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას, 43 ნაშრომის ავტორია. წლების მანძილზე მუშაობდა საკავშირო მეან-გინეკოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად, კონსტანტინე ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად, იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დირექტორად.

თენგიზ მესხი ხელმძღვანელობდა სტაციონარს 30 საწოლზე, რომელიც ცნობილი იყო კონსერვატიული გინეკოლოგიის განყოფილების სახელწოდებით, რომელმაც 1958 წელს თბილისში იოსებ ჟორდანიას ინსტიტუტის გახსნისთანავე დაიწყო ფუნქციონირება.

მთელი მისი მოღვაწეობა იყო კეთილსინდისიერი და გამორჩეულად თავდადებული პაციენტებისადმი. ამიტომაც უყვარდათ ისე ძალიან, რომ შვილებს თენგიზს არქმევდნენ. მამის კვალს გაჰყვა მისი ვაჟი – აპოლონ მესხი, რომელმაც ჟორდანიას ინსტიტუტში დაიწყო მოღვაწეობა.

თენგიზ მესხი
(1923-1990)

პროფესორ არჩილ ხომასურიძის შეფასებით, დიდია ნიჭიერი გინეკოლოგის თენგიზ მესხის დამსახურება. მისი დირექტორად მუშაობის პერიოდში დაინერგა ახალი სადიაგნოსტიკო მეთოდები, გამოიცა შრომათა კრებულები, მათ შორის „უნაყოფო ქორწინება“.

1980-1984 წლებში ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო პროფესორი ოლეგ ვიაზოვი. სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილე 1984 წლიდან კი, გახლდათ პროფესორი მიხეილ (ზურაბ) საბახტარაშვილი. დიდი ღვაწლი აქვს ზურაბ საბახტარაშვილს რეპროდუქტოლოგიის, როგორც ახალი სამედიცინო დარგის განვითარებაში. ბატონი არჩილ ხომასურიძე ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ ზურაბ საბახტარაშვილი იყო მისი მთავარი თანამებრძოლი, რომლის აზრსაც განსაკუთრებულად პატივს ცემდა.

ზურაბ საბახტარაშვილი
(1945-2013)

1984 წლიდან იოსებ ჟორდანიას ინსტიტუტს თითქმის 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროფესორი არჩილ გიორგის ძე ხომასურიძე. ამავდროულად, 1997 წლიდან იგი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის კათე-

არჩილ ხომასურიძე

დრის გამგე, სრული პროფესორი. 1998 წელს მან დააარსა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში რეპროდუქტოლოგიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2006 წლის ჩათვლით. 1997 წლიდან არჩილ ხომასურიძე არის რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი; 2002 წლიდან – საქართველოს რეპროდუქტოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი; არაერთი სამედიცინო

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან,
ნანა ხომასურიძე და არჩილ ხომასურიძე

ჟურნალის რედაქტორი და სარედაქციო საბჭოს წევრი; 1998-2003 წლებში ჟურნალ „რეპროდუქტოლოგიის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი; 1998-2002 წლებში იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი; 1996-2012 წლებში კი, საერთაშორისო პროგრამების (UNFPA, WHO) კოორდინატორი, დირექტორი და კონსულტანტი რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგში.

არჩილ ხომასურიძე გახლავთ 450 სამეცნიერო შრომის, ექვსი მონოგრაფიის, სამი გამოგონებისა და ათი სახელმძღვანელოს ავტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 54 საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაცია.

არჩილ ხომასურიძემ იოსებ ჟორდანიას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე აღნიშნა: სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად თავის განწირვა მართლაც რომ გმირობაა, მაგრამ იოსებ ჟორდანიამ არანაკლებ სასიქადულო საქმე გააკეთა სამშობლოს სადიდებლად და მედიცინის განვითარებისთვის. თუნდაც რად ღირს ის, რომ გასული საუკუნის 50-იან წლების ბოლოს იდეოლოგიურად განჭვრიტა რეპროდუქტოლოგიის მნიშვნელობა, რითაც მან 30 წლით მაინც გაუსწრო თავის ეპოქას. 1958 წელს, რეპროდუქციული პროფილის ინსტიტუტის დაარსება პირველად მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

მინდა გავიხსენო ჩემი ცხოვრების ორი ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია იოსებ ჟორდანიას გმირობასთან.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში მე უკვე ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ვიყავი, როცა ერთმა ჟურნალისტმა ტელეკამერების წინ დამისვა შეკითხვა; იმ კატასტროფის დროს თქვენ რომ ყოფილიყავით იოსებ ჟორდანიას ადგილზე, როგორ მოიქცეოდითო. გამიძნელდა პასუხის გაცემა, მაგრამ მოვიშველიე დიპლომატია და ვუპასუხე, რომ მე ჟორდანიასთან შედარებით მხოლოდ ის უპირატესობა მაქვს, რომ ცურვა ვიცი-მეთქი. ჩემმა პასუხმა მაშინ საკმაოდ დიდი ხმაური გამოწვია.

მე კი ბევრჯერ დავფიქრებულვარ დასმულ შეკითხვაზე და უნდა ვაღიარო, გამიჭირდა საკუთარი თავისთვის მაინც მეპასუხა გულღიად. ჩემი მცდელობა, პასუხი გამეცა იმ ძნელ და მოულოდნელ შეკითხვაზე მხოლოდ 25 წლის შემდეგ დასრულდა, როცა ვაღიარე, რომ ნამდვილად შევძლებდი ისევე მოვქცეულიყავი, როგორც ლეგენდარული იოსებ ჟორდანია.

აი, როგორ მუშაობს ლეგენდა.

პროფესორ იოსებ ჟორდანიას პირადად არ შევხვედრივარ, სტუდენტი ვიყავი ეს გმირობა რომ ჩაიდინა. ბედმა გამიღიმა და ჟორდანიას თანამებრძოლმა, ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა, ბრწყინვალე პიროვნებამ, პროფესორმა ჯემალ ციციშვილმა მომაქცია ყურადღება და მომცა საშუალება, მემუშავა იოსებ ჟორდანიას დასახული მიმართულებით. 1984 წელს გავხდი ამ ინსტიტუტის დირექტორი. თითქმის 30 წელი მივუძღვენი რეპროდუქტოლოგიის დანერგვას და განვითარებას საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოში. ვამაყობ, რომ ბოლომდე მივიყვანე მისი ჩანაფიქრები, რომლის განხორციელებაც მან ვერ მოასწრო. მარტო პროფესიონალიზმი არ კმარა ასეთი დიდი საქმის საკეთებლად. ქვეყნის მაშინდელი ლიდერის – შევარდნაძის ხელისშეწყობა რომ არა, მეც გამიჭირდებოდა საქმის კეთება. ამ ინსტიტუტის თანამშრომლების: ედუარდ ვეინბერგის, თენგიზ ბოლქვაძის, გიორგი ცერცვაძის, ზურაბ საბახტარაშვილისა, ჯენარო ქრისტესაშვილის, ნინო მაისურაძის და სხვათა თანადგომა ხომ ფასდაუდებელია.

ღმერთო ჩემო... თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა იმ დღიდან, როდესაც მე სრულიად ახალგაზრდა სამედიცინო ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებიდან ერთი თვის შემდეგ მივატოვე მშობლიური ოჯახი და გავემგზავრე მოსკოვში განათლების გასაგრძელებლად, რაც უნდა განმეხორციელებინა სრულიად მარტოს, ყოველგვარი დახმარების გარეშე. ამ მდგომარეობაში მამხნევებდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მე გაგზავნილი ვიყავი პროფესორ იოსებ

ჟორდანიას მიერ დაარსებული ინსტიტუტიდან, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობდა. ისე გამოვიდა, რომ ჩემი შემოქმედებითი ზრდა ოცი წელი გაგრძელდა, მაგრამ მე განვლე სახელოვანი, იმ დროისთვის მსოფლიოში საუკეთესო სკოლა, რაშიც მუდმივად გზას მინათებდა იოსებ ჟორდანიას პიროვნება.

ჩემთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოში დავბრუნდებოდი სწორედ იმ ინსტიტუტის დირექტორად, რომელიც დააარსა იოსებ ჟორდანიამ, მან ვერ მოასწრო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. ამ საქმეს მივუძღვენი ჩემი ცხოვრების თითქმის 30 წელი და გადამეტების გარეშე შეიძლება განვაცხადო, რომ ბოლომდე მივიყვანე მის მიერ დასახული იდეოლოგიის განხორციელება ქვეყანაში.

ჟორდანიას იდეოლოგია დღემდე მოქმედებს, რეპროდუქტოლოგია მუშაობს, როგორც დამოუკიდებელი დარგი და ის აღმავლობის გზაზეა, მთავარია არ გადავუხვიოთ და არ დავაკნინოთ ნაანდერძევი იდეოლოგია. ეს იქნება იოსებ ჟორდანიას ხსოვნის ძირითადი მემორიალური ქმნილება.

ეს უდიდესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დაიღუპა ატლანტიკის ოკეანეში 1962 წლის 21 აგვისტოს, როდესაც ბრუნდებოდა მეან-გინეკოლოგთა მესამე მსოფლიო კონგრესიდან.

1988 წელს ისევ ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა მეან-გინეკოლოგთა მერვე მსოფლიო კონგრესი. მე უკვე 4 წლის განმავლობაში ვიყავი ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორი და კონგრესში მეც ვმონაწილეობდი. როდესაც იგი დასრულდა და ღამის პირველ საათზე, ბოინგ 747-მა კურსი აიღო რიო-დე-ჟანეიროდან ამსტერდამისკენ, გამახსენდა იოსებ ჟორდანიას ტრაგიკული ეპიზოდი და მთელი ღამე არ მძინებია, თერთმეტი საათის ფრენის შემდეგ, თვითმფრინავი დაეშვა სხიპოლის აეროპორტში, შვებით ამოვისუნთქე, დავწყნარდი და მივხვდი, რომ მე იოსებ ჟორდანია არა ვარ.

საქართველო არის მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც რეპროდუქტოლოგია ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო დისციპლინა – აღნიშნავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლალი ფხალაძე. ეს მოხდა პროფესორ არჩილ ხომასურიძის და მისი მთავარი თანამებრძოლების, პროფესორ ზურაბ საბახტარაშვილის, პროფესორ ჯენარო ქრისტესაშვილის, პროფესორ ნინო მაისურაძის და ჟორდანიას ინსტიტუტის მთელი გუნდის ძალისხმევით, რაც ლოგიკური იყო, რადგან რეპროდუქტოლოგიის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა სწორედ საქართველოში. 1958 წელს, თბილისში, ცნობილმა გინეკოლოგმა, პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ დააარსა უშვილობის საავადმყოფო, რითაც დაახლოებით 30 წლით გაუსწრო თავის ეპოქას. ეს იყო მსოფლიოში პირველი ამ ტიპის სამედიცინო დაწესებულება. მხოლოდ 21 წლის შემდეგ დაარსდა მსგავსი ტიპის კლინიკა ამერიკის ქალაქ ნორფოლკში. ამგვარად, საქართველო პიონერია მსოფლიოში რეპროდუქტოლოგიის განვითარების თვალსაზრისით.

ლალი ფხალაძე, რამაზ ყურაშვილი და არჩილ ხომასურიძე,
საერთაშორისო კონფერენციაზე,
2023 წელი

ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს მისი სახელი მიენიჭა.

ჟორდანიას ინსტიტუტში მიმდინარეობდა არა მხოლოდ პრაქტიკული სამედიცინო საქმიანობა, არამედ სამეცნიერო მოღვაწეობა. 1959 წელს იოსებ ჟორდანიამ ჩაატარა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მოწვეული იყვნენ უცხოელი და საბჭოთა მეცნიერები. შეიქმნა ახალი ლაბორატორიები და განყოფილებები. ჟორდანიას ინსტიტუტი იყო დაწესებულება, სადაც პირველად ჩამოყალიბდა ანდროლოგიის, ჰორმონული დიაგნოსტიკის, ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიის, სამედიცინო გენეტიკის, ემბრიოლოგიის ლაბორატორიები, გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის, ანდროლოგიის (სტაციონარი და ამბულატორია), უშვილობის თერაპიის, ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის და კლინიკური სექსოლოგიის განყოფილებები.

პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად ჟორდანიას ინსტიტუტში ჩატარდა ლაპაროსკოპიული ოპერაცია (1986 წ.), დაარსდა კონტრაცეპციის განყოფილება (1986 წ.), ჩატარდა პირველი ინ-ვიტრო განაყოფიერება (2000 წ.), დაიწყო ქალებში საშვილოსნოს ყელისა და სარძევე ჯირკვლების სკრინინგის განხორციელება (1993 წ.) და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1997 წელს რეპროდუქტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო სპეციალობა, გამოეყო გინეკოლოგიას, დადგინდა მისი ნომენკლატურა და გრიფი – 14.00.50.

1998 წ. საქართველოს დიპლომის შემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიაში დაარსდა რეპროდუქტოლოგიის პირველი კათედრა. იმავე წელს დაიწყო ქართული სამედიცინო ჟურნალის – „რეპროდუქტოლოგიის“ გამოცემა.

1997 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი პროფ. არჩილ ხომასურიძე).

ჟორდანიას ინსტიტუტს წლების განმავლობაში მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირში მოთავე დაწესებულების სტატუსი,

რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკას და გასცემდა რეკომენდაციებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში.

1985 წლიდან ჟორდანიას ინსტიტუტმა საქართველოს რეგიონებში შექმნა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტების ქსელი. ჟორდანიას ინსტიტუტის მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით წლების განმავლობაში ხდებოდა კონტრაცეპტივებისა და ერთჯერადი ჰიგიენური საფენების უფასოდ დარიგება.

1988 წლიდან ჟორდანიას ინსტიტუტი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთადერთ სათანამშრომლო ცენტრს, სადაც ჩატარდა 10 მულტიცენტრული კვლევა. 1996 წლიდან დაიწყო რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში გაეროს მოსახლეობის ფონდისა და სხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელება: „UNFPA/WHO-GEO 1996 მხარდაჭერა რეპროდუქციული სამსახურების გაუმჯობესებისათვის“.

2001 წელს დაფუძნდა საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაცია (პრეზიდენტი პროფ. არჩილ ხომასურიძე), რომელიც 2007 წლიდან გაერთიანდა ნაყოფიერებისა და უნაყოფობის მსოფლიო ფედერაციაში (IFFS). მისი ეგიდით დღემდე ჩატარებულია 40-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია, მათ შორის საერთაშორისო. ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული 400-ზე მეტ საერთაშორისო კონგრესსა თუ კონფერენციაში.

სინგაპურში რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო კონგრესს ჟორდანიას ინსტიტუტიდან ესწრებოდა 42 თანამშრომელი, რაც უფრო მეტი იყო, ვიდრე დანარჩენი ყველა ქვეყნის წარმომადგენლები ერთად. ასევე რეკორდული იყო 2023 წ. ვენეციაში ადამიანის რეპროდუქციის მსოფლიო კონგრესზე პროფესორ არჩილ ხომასურიძის ხელმძღვანელობით ქართული დელეგაციის მონაწილეობა, რომელიც წარმოდგენილი იყო 136 ექიმით, მათ შორის იყო 20 ახალგაზრდა რეზიდენტი ექიმი.

რეპროდუქტოლოგია ტურბულენტულად განვითარებადი დარგია. მისი ძალისხმევით უშვილო ოჯახებში ყოველდღიურად ახალი სიცოცხლე იბადება. 2020 წელს რეპროდუქტოლოგია იურიდიულად საბოლოოდ გახდა სრულიად დამოუკიდებელი სამედიცინო დისციპლინა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ჟორდანიას ინსტიტუტის დაარსებამ და მოღვაწეობამ ბოლო 35 წლის მანძილზე.

ჟორდანიას ინსტიტუტის დამსახურებათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხელოვნური, მათ შორის კრიმინალური აბორტის დამარცხება. მხოლოდ 1987 წელს საქართველოში გაკეთდა 300 000-ზე მეტი ხელოვნური აბორტი. ჩვენს ქვეყანას მყარად ეკავა პირველი ადგილი მსოფლიოში აღნიშნული „ანტიმაჩვენებლის“ მიხედვით. თანამედროვე კონტრაცეპციის გამოყენებით ეს რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, 2009 წლისთვის 20 000-მდე დაეცა ანუ 15-ჯერ შემცირდა, ხოლო კონტრაცეპციის გამოყენებამ 0 %-იდან 70 %-ს მიაღწია. ეს გახლდათ ყველაზე სწრაფი ნახტომი აბორტიდან კონტრაცეპციამდე მსოფლიო ისტორიაში. თუ გავითვალისწინებთ კრიმინალური აბორტების შემდგომ დედათა მაღალ მოკვდავობის მაჩვენებელს, გასაგები ხდება თუ რამდენი სიცოცხლე გადარჩა.

დღეს იოსებ ჟორდანიას დაწყებული საქმე და იდეოლოგია გრძელდება ჟორდანიას და ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში.

2011 წელს ჟორდანიას ინსტიტუტი გაიყიდა და 2014 წლის 14 იანვარს ფუნქციონირება დაიწყო ახალმა რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტმა მისამართზე (თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.13, VII სართ.).

ახალი ინსტიტუტის დამფუძნებელია პროფესორი არჩილ ხომასურიძე. იმისათვის, რომ იოსებ ჟორდანიას დაწყებული საქმე გაგრძელებულიყო, ბატონმა არჩილმა გაყიდა

მამაპაპისეული სახლები, თითქმის ყველაფერი, რაც კი გაა-ჩნდა და საკუთარი სახსრებით იყიდა ფართი, ინვენტარი, ყოველგვარი სამედიცინო აპარატურა, რაც აუცილებელი იყო საექიმო საქმიანობის თავიდან დასაწყებად.

ინსტიტუტი დაკომპლექტდა ჟორდანიას ინსტიტუტის ინტელექტუალური გუნდით, რომელსაც მრავალწლიანი შეუფასებელი გამოცდილება აქვს რეპროდუქციულ მედიცინასა და გინეკოლოგიურ ენდოკრინოლოგიაში.

პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ორსულობის ჩვეული შეწყვეტა, გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგია (მენსტრუაციული ციკლის დარღვევა, ჭარბთმიანობა, აკნე, სიმსუქნე), კლიმაქსური სინდრომის მართვა ქალებსა და მამაკაცებში, გინეკოლოგიური და ენდოკრინული დაავადებები, ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგია, მამოლოგია, ანდროლოგია, უროლოგია, სექსოლოგია, კონტრაცეპცია.

პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაიტარონ მაღალი დონის კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევა (ჰორმონული, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური), ექოსკოპია, კოლპოსკოპია, პაპ-ტესტი.

დიდი ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესსა და ექიმთა მომავალი კადრების აღზრდას. ინსტიტუტი გახლავთ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის კლინიკური ბაზა, სადაც მიმდინარეობს სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული სწავლება. ინსტიტუტში ხორციელდება სარეზიდენტო პროგრამა „რეპროდუქტოლოგიაში“.

ინსტიტუტის თანამშრომლები არიან ევროპის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების, გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგთა

საერთაშორისო ასოციაციის, ნაყოფიერებისა და უნაყოფობის საერთაშორისო საზოგადოების, ევროპის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ემბრიოლოგთა ასოციაციის წევრები. რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში მომხსენებლის რანგში. ინსტიტუტი ჩართულია საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში.

ინსტიტუტის მთავარი ღირებულებებია პაციენტის ინტერესების დაცვა, პროფესიონალური და კეთილსინდისიერი მომსახურება.

პროფესორი არჩილ ხომასურიძე და მისი ექიმები ღირსეულად აგრძელებენ სახელოვანი ჟორდანიას ინსტიტუტის ტრადიციებს. დემოგრაფიული პრობლემები მსოფლიოს წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა ჩამოყალიბდა. 1992 წლიდან დაიწყო შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება, ხოლო 2002 წლიდან – მოსახლეობის შემცირება. აღსანიშნავია 1992 წლიდან მიგრაციის დონის მნიშვნელოვანი მასშტაბებიც, რაც დღესაც მაღალი რჩება. შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც დადებით გავლენას მოახდენს დემოგრაფიაზე.

მედიცინის როლის ხვედრითი წონა ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციაში არ აღემატება 15%-ს და შემოიფარგლება ქალისა და მამაკაცის უშვილობის პროფილაქტიკითა და მკურნალობით. თუ ვიმსჯელებთ ცალკეული კლინიკების მონაცემებიდან: მაგალითად, მარტო ჟორდანიას ინსტიტუტში ყოველწლიურად იბადებოდა 1000 ბავშვი მანამდე უშვილო ოჯახებში. დღეისათვის უშვილობის მკურნალობის შედეგად დაბადებული ბავშვების რიცხვი კოლოსალურია. ჟორდანიას ინსტიტუტის მნიშვნელოვან მისიად კვლავ რჩება ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება.

ამგვარად, იოსებ ჟორდანიას დაწყებული საქმე, რომელსაც დღეს აგრძელებს პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი იყო, არის და იქნება ხალხისა და ქვეყნის სამსახურში.

იმდენად ძლიერი და მედგარი აღმოჩნდა უდიდესი სწავლულის, უერთგულესი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ჩაყრილი საფუძველი უდიდესი ჩანაფიქრისა, რომ თანამოღვაწე ადამიანების ნაშიერთა შორის მრავალი გაჰყვა მის გზას. მათგან ერთ-ერთი თვით ამ დიდი შემოქმედის შვილი გახლავთ – კირილე იოსების ძე ჟორდანია.

კირილე ჟორდანია

კირილე ჟორდანია იოსებ ჟორდანიას 120 წლისთავისადმი
მიძღვნილ კონფერენციაზე

კირილე დაიბადა მოსკოვში 1953 წლის 16 მარტს. 1957 წელს იოსებ ჟორდანიას ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, რადგანაც მას გადაწყვეტილი ჰქონდა გაეხსნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1960 წელს კირილე შეიყვანეს თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1971 წელს.

ერთ ასეთ სამწუხარო ფაქტს იხსენებს იოსებ ჟორდანიას პირველი ასპირანტი და თანამოღვაწე ჯუნა ბაღათურია; „კირილე აბარებდა მისაღებ გამოცდებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. ბოლო საგანში არ ეყო ქულა და ამიტომ ვერ ჩაირიცხა. ამ დროს მოსკოვიდან ჩამოვიდა ერთი დიდი თანმდებობის პირი, რომელიც კარგად იცნობდა იოსებ ჟორდანიას და მოიკითხა კირილე. გაიგო რაც მოხდა და მისი მონდომებით გახდა კირილე მოსკოვის პიროგოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. სამწუხაროა, რომ გამოცდების მიმღებ კომისიაში ორი კაცი სწორედ, ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომელი იყო. თბილისში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსული ოჯახი ისევ გადავიდა მოსკოვში“.

კირილემ ჯერ დაამთავრა ორდინატურა, შემდეგ კი მოსკოვის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის ასპირანტურა. 1983 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1992 წელს – სადოქტორო დისერტაციები. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 25 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო შრომის და თანაავტორი თექვსმეტზე მეტი მონოგრაფიისა. კირილე იოსების ძე ჟორდანია არის მოსკოვის ნიკოლოზ ბლოხინის სახელობის ონკოლოგიური ცენტრის წამყვანი პროფესორი; „რეპროდუქციული მედიცინისა და ქირურგიის“ კათედრის პროფესორი; „რეპროდუქციული სისტემის სიმსივნის ონკოლოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარე; მთავარი რედაქტორი ჟურნალისა „ონკოლოგია“; რუსეთის ონკოლოგთა ასოციაციის წევრი.

2022 წელს კირილე ჟორდანია დაჯილდოვდა პიროგოვის სახელობის პრემიით

კირილე იოსების ძე არის სპორტის ოსტატი ცურვაში და რუსეთის სამედიცინო ინსტიტუტის ჩემპიონი.

დედასთან – ლიდიასთან ერთად იოსებ ჟორდანიას 90 წლის იუბილეზე იყო მოწვეული საქართველოში ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორის პროფ. არჩილ ხომასურიძის მიერ. 2015 წელს თბილისი მერიოტში გრანდიოზულად აღინიშნა იოსებ ჟორდანიას დაბადების 120 წლის იუბილე, რასაც მიეძღვნა სამედიცინო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობდნენ უცხოეთსა და რუსეთში მოღვაწე ცნობილი მეცნიერები, მათ შორის იყო კირილე ჟორდანიაც. შედგა ძალიან თბილი და ემოციებით დატვირთული საიუბილეო საღამო.

კირილე ჟორდანია უფროს ქალიშვილ
ანასთან და შვილიშვილთან ერთად

კირილეს ჰყავს სამი შვილი: პირველი ქორწინებიდან უფროსი ანა, პროფესიით ექიმია და მოსკოვში ცხოვრობს, იგი წარმატებული კარდიოლოგია, ჰყავს ორი შვილი – იოანე და მარია; ვაჟი გიორგი დაიბადა მოსკოვში და გაიზარდა ტალინში, თუმცა სულით და ხორცით ქართველია; გიორგის ჰყავს სამი შვილი – იზაბელა, კასპერი და არტური; უმცროსი ქალიშვილი მარია პროფესიით პედაგოგია, ინგლისელზეა გათხოვილი და ლონდონთან ახლოს ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობს. მარიას ჰყავს სამი შვილი – სოფია, არაბელა და ჰარი. კირილე ჟორდანიას მეორე მეუღლე ესტონელია, სპეციალობით გენეტიკოსი, ესტონეთის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ქალიშვილია.

2019 წლის აგვისტოში გიორგი და მარია ჟორდანიები ოჯახებთან ერთად სტუმრობდნენ თბილისს, მათ მოინახუ-

ლეს სახელოვანი ბაბუის ინსტიტუტი, ცრემლებს ვერ იკავებდნენ იოსებ ჟორდანიას ბიუსტთან, დიდუბის პანთეონში პატივი მიაგეს მის საფლავს.

იოსებ ჟორდანიას შვილიშვილები მარია და
გიორგი ჟორდანიები დედასა და ოჯახებთან ერთად

იოსებ ჟორდანიას განსაკუთრებით ახლო და თბილი ურთიერთობა ჰქონდა თავისი უფროსი ძმის – თედოს ოჯახთან. იოსებსა და თედოს შორის სხვაობა იყო 10 წელი და, ფაქტობრივად, თედომ გაზარდა იოსები. ამ ორ ძმას შორის იყო არაჩვეულებრივი ურთიერთობა. თედოს ჰყავდა 2 ქალიშვილი: უფროსი ნაირა და უმცროსი არიანა. არიანა იოსებსა და ადასთან ცხოვრობდა. ადა გარდაიცვალა 1941 წელს. არიანას იმდენად უყვარდა, რომ გაუკეთა საფლავი (მოსკოვში, გერმანულ სასაფლაოზე) და მერე წამოვიდა საქართველოში. პირველი ქალიშვილი რომ შეეძინა, დაარქვა ადა, მეორე ქალიშვილს – ელენე, რომელიც კირილესთან სწავლობდა ერთ კლასში. მათთან ერთად სწავლობდა დავით ბოლქვაძე, შემდგომში ელენე ჟორდანიას მეუღლე. ადას ჰყავს 1 შვილი და 5 შვილიშვილი, ელენეს – 2 შვილი და 6 შვილიშვილი.

ჯემალ ფერაძე (იოსებ ჟორდანიას ნათლული),
იოსებ ჟორდანია, არიანა ჟორდანია

არიანა, პატარა კირილე, პატარა ადა,
ლიდია ჟორდანიები

ელენე ჟორდანია, არჩილ ხომასურიძე, ადა ჟორდანია და პატარა
ქეთევან ჭოხონელიძე იოსებ ჟორდანიას საფლავზე

ადა ჟორდანია
ოჯახთან ერთად

ადა ჟორდანია, მისი ვაჟი – ერეკლე ჭოხონელიძე და
შვილიშვილები

ელენე ჟორდანია, მისი მეუღლე – დავით ბოლქვაძე,
შვილი ნინო და შვილიშვილები



ელენე ჟორდანიას ქალიშვილი ნინო ოჯახთან ერთად

ადა ჟორდანია იხსენებს, რომ იოსებ ჟორდანია ძალიან თბილად ექცეოდა ბავშვებს, არასდროს აძლევდა მათ შენიშვნებს და სხვასაც უკრძალავდა ბავშვებთან უხეშად მოქცევას. იყო უსაყვარლესი ბაბუა. ადას დედას იოსებ ჟორდანია ეძახდა „ლაპუშკას“. ბრაზილიაში გაფრენის წინ უთხრა: „ლაპუშკა“, თუ ვიცოცხლე, აკადემიკოსი რომ გავხდები, გამოვალ პენსიაზე და მე თვითონ აღვზრდი ბავშვებსო.

იოსებ ჟორდანიას სტალინმა აჩუქა აგარაკი ლიძავაში, მარშალ მალინოვსკის აგარაკის გვერდით, ასევე სტალინმა აჩუქა დრადჰარის ჯიშის ძაღლი. სტალინმა დაიბარა იოსები და უთხრა: „თქვენ ხართ სახე, რომელსაც უნდა მიბაძოს ხალხმა“ და მან პარტიაში შესვლა მოსთხოვა (იმ პარტიაში, რომლის მატყუარა მესვეურებმა 1937 წელს დაუხვრიტეს ძმა – გიორგი ჟორდანია 13575 ქართველთან ერთად და 10 წლის შემდეგ შეატყობინეს თითქოს თირკმელების ანთებით გარდაიცვალა, დაანგრიეს საქართველოში 1214 ეკლესია და მონასტერი).

იოსებ ჟორდანიას შთამომავლები

იოსებ ჟორდანიას შვილიშვილები
გიორგი და მარია

იოსებ ჟორდანიას შვილიშვილები მარია და
გიორგი ჟორდანიები დედასა და ოჯახებთან ერთად

იოსებ ჟორდანიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია თბილისში, ვერა ბალანი, კირილე ჟორდანია, არჩილ ხომასურიძე

გიორგი ჟორდანია და
არჩილ ხომასურიძე

იოსებ ჟორდანიას საფლავზე მისი შვილები და
შვილიშვილები

იოსებ ჟორდანიას შვილთაშვილი

იოსებ ჟორდანიას მოღვაწეობის დროს ინსტიტუტში შექმნილი ლაბორატორიები და განყოფილებები

1958 წელს დიდი სწავლულის ძალისხმევით დაარსებულ ინსტიტუტში შეიქმნა ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი პათოფიზიოლოგიის ლაბორატორია.

საქართველოს მასშტაბით ეს არის ამ სახეობის პირველი სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც ფართოდ გაიშალა მეცნიერული კვლევა რეპროდუქციული ფუნქციის ნეიროენდოკრინული მარეგულირებელი მექანიზმებისა. ამ ლაბორატორიას 1958-1962 წლებში სათავეში ჩაუდგა თორნიკე ძიძიგური, ხოლო 1963 წლიდან – ნინო მაისურაძე.

ლაბორატორია გადაიქცა სამეცნიერო-ექსპერიმენტულ ცენტრად, რომლის მეცნიერული კვლევა მიმართული იყო უშვილო ქორწინების პათოგენეზის თეორიული საფუძვლების დამუშავებისაკენ. მეცნიერული კვლევის სფეროს გაღრმავებამ განაპირობა ლაბორატორიის ბაზაზე ახალი ქვედანაყოფის – ექსპერიმენტული ლაბორატორიის – დაარსება, ხელმძღვანელი ვოლტამ პოლშინი.

1982 წლიდან პათოფიზიოლოგიის ლაბორატორიას შეუერთდა მორფოლოგიის ლაბორატორია ხელმძღვანელი ეთერ მაჭავარიანი, რის შემდეგაც ლაბორატორიას ეწოდა „რეპროდუქციული ორგანოების ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორია“, ხელმძღვანელი ნინო მაისურაძე.

1958 წლიდან იოსებ ჟორდანიას ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო სტაციონარმა 30 საწოლზე კონსერვატიული გინეკოლოგიის განყოფილების სახელწოდებით, იმ პერიოდში განყოფილებაში მუშაობდნენ მეცნიერ-თანამშრომლები: ზინა ერისთავი, რაისა კალაშნიკოვა-პაპიტაშვილი, ევგენია ბოჭორიშვილი, ციანა ნაზარიშვილი, ჯუნა ბაღათურია, დოდო გვახარია, რეზო ჟვანია, გოგი მიქაძე, ნინო ჩარაშვილი, მარგალიტა ნიჟარაძე.

1963 წლიდან განყოფილებას დაემატა 20 ქირურგიული საწოლი. შეიქმნა ქირურგიული ჯგუფი ინსტიტუტის დირექტორის ჯემალ ციციშვილის ხელმძღვანელობით. ჯგუფი მუშაობდა უნაყოფობის აღდგენითი ქირურგიის საკითხებზე. კერძოდ, საშვილოსნოს მილების მიკროქირურგიულ ოპერაციებზე.

1965 წლიდან გინეკოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა გამოცდილი მეცნიერი ანასტასია გვერდწითელი. ეს დიდებული ექიმი გვიან ღამემდე მუშაობდა და ახერხებდა, დღეში ასამდე პაციენტი მიეღო.

1976-1986 წლებში განყოფილებას ეწოდა რეპროდუქციული პათოლოგიის განყოფილება, მისი ხელმძღვანელი იყო თამარ საყვარელიძე.

1990-1992 წლებში განყოფილებას ხელმძღვანელობდა გიორგი ცერცვაძე, რომლის დროსაც შესწავლილ იქნა „კატრექსის მოქმედების მექანიზმი“ ანთებითი გენეზით გამოწვეულ უშვილო ქალებში.

1958 წელს საქართველოში იოსებ ჟორდანიას ინსტიტუტში პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში დაარსდა ექსპერიმენტული ანდროლოგიის ლაბორატორია, ქართული ანდროლოგიური სკოლის ფუძემდებლის თამაზ ბეგიაშვილის მიერ. „ანდროლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მამრის ორგანიზმში სქესით დეტერმინირებულ ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესებს

და ეძებს ამ პროცესების მართვის საშუალებებს“ – თამაზ ბეგიაშვილი.

1982 წელს, საბჭოთა კავშირში პირველად გაიხსნა კლინიკური ანდროლოგიის განყოფილება, რომელსაც გახსნის დღიდან ხელმძღვანელობდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ დოლიძე.

ბიოქიმიის ლაბორატორია ასევე ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე, 1958 წელს ჩამოყალიბდა. ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს იყვნენ: პროფესორი ლეილა ქუთათელაძე, ლეილა ტყეშელაშვილი, ნინო ტაბატაძე, ლამარა კანდელაკი. 1986 წლიდან კი ხელმძღვანელობდა ნანული პეტრიაშვილი.

პოლიკლინიკურ განყოფილებასთან არსებული რენტგენის კაბინეტი ფუნქციონირებს ინსტიტუტის დაარსების პირველი დღიდან. კაბინეტს 23 წლის განმავლობაში 1981 წლამდე ხელმძღვანელობდა ნოდარ ძნელაძე. პირველად საქართველოში ამ კაბინეტის ბაზაზე შემუშავდა და დაინერგა მეტროსალპინგოგრაფიისა და გინეკოგრაფიის მეთოდები. ამ აპარატის გამოგონებაში ნოდარ ძნელაძეს მიღებული აქვს საავტორო უფლება ნომრით: 730 199/31=16 1961 წელს.

ფიზიკური ფაქტორების გამოყენება ანთებითი გენეზის უშვილობის სამკურნალოდ და სარეაბილიტაციოდ დაიწყო ინსტიტუტის სტაციონარის გახსნის დღიდან, ხოლო დამოუკიდებლად ფუნქციონირება – 1962 წლიდან.

სამეცნიერო-სამედიცინო ბიბლიოთეკა

იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა შეიქმნა 1958 წელს. მისი ფონდი, ძირითადად, შემოწირული ლიტერატურითაა შედგენილი. სხვადასხვა ბიბლიოთეკები უგზავნიდნენ ჟურნალებს, ლექსიკონებს. ბიბლიოთეკის გამგე იყო დონარა დოლიძე.

დროთა განმავლობაში თანდათან კიდევ უფრო გაიზარდა როგორც სამამულო, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურის ფონდი. უცხოენოვანი ლიტერატურის თავმოყრაში, რომელთა შორის აღირიცხება უნიკალური წიგნები და ჟურნალები, დიდი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს არჩილ ხომასურიძეს, მას უსასყიდლოდ ჩამოჰქონდა უახლესი ლიტერატურა უცხოეთიდან.

ბიბლიოთეკის სიმდიდრეს წარმოადგენს ფონდში იმ ჟურნალების კომპლექტები, რომლებიც ინსტიტუტში დაარსების დღიდან ინახება და რომელთა მსგავსიც არ მოიპოვება ასეთი სპეციალიზაციის არც ერთ ბიბლიოთეკაში. იოსებ ჟორდანიას თანამოღვაწეების აზრით, ეს უნიკალური შემოწირულობანი მისი განუზომელი ავტორიტეტის, პროფესიონალიზმის, ადამიანებთან ურთიერთობისა და კეთილგანწყობის გასაოცარი უნარის გამო ხდებოდა.

ინსტიტუტის თანამშრომლები, ცენტრში ჯემალ ციციშვილი, იოსებ ჟორდანია, გაიოზ ჩანტლაძე

სხედან მარცხნიდან: ვახტანგ მდივანი, იოსებ ჟორდანია,
ჯამბაკურ ბაქრაძე, გაიოზ ჩანტლაძე
დგანან მარცხნიდან: ქეთევან ჩიქოვანი, თენგიზ ბოლქვაძე,
ნინო ჩარაშვილი, ნოდარ ძნელაძე, ჯუნა ბაღათურია,
ვალტამ პოლშინი, ოთარ გოცირიძე, ბიძინა მჭედლიშვილი,
ნანა პერელმანი

ნოდარ
ძნელაძე

ანასტასია
გვერდწითელი

თამაზ
ბეგიაშვილი

მარცხნიდან: ლიანა თვალჭრელიძე, დონარა დოლიძე,
ნინო მაისურაძე

მარცხნიდან: ნინო ტაბატაძე, დონარა დოლიძე,
ნინო მაისურაძე

მარცხნიდან დგანან: ევგენია ბოჭორიშვილი,
ნინო მაისურაძე, ვოლტამ პოლშინი

ჟორდანიას ინსტიტუტის
საოპერაციო

მარჯვნიდან: ლუიზა ჩიკვილაძე, ნოდარ ძნელაძე,
ნელი კაკაბაძე

პოლიკლინიკის მედდები მარჯვნიდან: ზის – ვერა ბურაევა,
დგას – მერი ჯიშკარიანი

მარჯვნიდან:
ციანა ნაზარიშვილი

მარცხნიდან: ევგენია ბოჭორიშვილი, ანასტასია გვერდწითელი,
რუფინა მირიმანოვა

ინსტიტუტის თანამშრომლები

მარჯვნიდან პირველი დგას ანა ვარდოსანიძე,
ზის – ევგენია ბოჭორიშვილი

ცირა ჯანიაშვილი

დოდო გვახარია

კლინიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი
ლიანა თვალჭრელიძე

მარცხნიდან: მიხელ ბოკუჩავა, მარგალიტა ნიჟარაძე,
ნინა ოპარინი, ალექსანდრე ოპარინი, იოსებ ჟორდანია

ოთარ გოცირიძე, ლუიზა ჩიკვილაძე, იოსებ ჟორდანია, გიზო ვასაძე,
ლილი ღვინიანიძე, რეზო იაშვილი – ექსპედიციაზე გარეჯის უდაბნოში

გიზო ვასაძე, ლუიზა ჩიკვილაძე, იოსებ ჟორდანია

იოსებ ჟორდანია და მინისტრი დავით მამამთავრიშვილი

ნელი კაკაბაძე, ნოდარ ძნელაძე, ნინო ჩარაშვილი,
ჯამბაკურ ბაქრაძე, ლუიზა ჩიკვილაძე, თენგიზ ბოლქვაძე

მარცხნიდან: ჯუნა ბალათურია, ცირა ჯანიაშვილი, მერი რუხაძე, ციანა ნაზარიშვილი, გივი ჩარექიშვილი

იოსებ ჟორდანია სტუმრებთან ერთად

იოსებ ჟორდანია შეხვედრაზე



მარცხნიდან: იოსებ ჟორდანია, ბიძინა მჭედლიშვილი, ნინო მაისურაძე, დონარა დოლიძე, ქეთევან ჩიქოვანი, გაიოზ ჩანტლაძე

ქართველ მეან-გინეკოლოგთა ელიტა,
ცენტრში – იოსებ ჟორდანია, მარცხნივ – კოტე ჩაჩავა, მარჯვნივ – ჯემალ ციციშვილი

მარჯვნიდან: ვოლტამ პოლშინი, რაისა კალაშნიკოვა,
ჯემალ ციციშვილი, გარი ფიცხელაური

ცენტრში ჯემალ ციციშვილი, უკანა პლანზე თენგიზ მესხი
და ნოდარ ძნელაძე

მარცხნიდან სხედან: ჯემალ ციციშვილი, კოტე ჩაჩავა,
დგას მარცხნიდან მეორე – ედუარდ ვეინბერგი

ცენტრში: ჯემალ ციციშვილი, მარცხნიდან პირველი
ეთერ კვიცარიძე, ბოლო – ნინო მაისურაძე



ამალია აგაჯანოვა, ჯული გირგიტოვა, ნუნუ ნიბლაძე,
ნანა პერელმანი, ინგა ქურდოვანიძე, ლუიზა ჩიკვილაძე
სიმპოზიუმის მონაწილეთა რეგისტარაციაზე

მარცხნიდან დგანან: მირანდა თოლორდავა,
თინა გელაშვილი, რუფინა მირიმანოვა, ლიდია ფხალაძე,
ნუნუ ნიბლაძე, სანა მარკაროვა შუაში – ედუარდ ვეინბერგი

მარცხნიდან: ციანა ნაზარიშვილი, დონარა დოლიძე,
ჟანა ოჩიგავა, თამაზ (ბუჭუ) კერესელიძე,
ლიდია ფხალაძე

მარცხნიდან: ოლეგ ვიაზოვი, ნანა ხომასურიძე,
ჯუნა ბაღათურია, ევგენია ბოჭორიშვილი

დგანან: თამაზ დოლიძე, თამაზ კერესელიძე;
სხედან: ცირა ჯანიაშვილი, ევგენია ბოჭორიშვილი,
ლიანა თვალჭრელიძე. წინა პლანზე: ედუარდ ვეინბერგი,
სანა მარკაროვა

ედუარდ ვეინბერგი და
ზურაბ საბახტარაშვილი

იოსებ ჟორდანიას ჰქონდა ღმრთით მიმადლებული ძალა, რითაც შეძლო ის, რასაც მილიონობით ადამიანიდან იშვიათად თუ შეძლებს ვინმე, ერთადერთი სიცოცხლე შესწირა უცნობ გოგონას.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შესახებ უშუალოდ გადარჩენილი თვითმხილველებისგან შემდეგი რამ შეიტყო იოსებ ჟორდანიას რეპრესირებული ძმის – გიორგის შვილმა პროფესორმა გივი ჟორდანიამ: „1962 წლის აგვისტოს რიო-დე-ჟანეიროში მეან-გინეკოლოგთა კონგრესის დამთავრების შემდეგ დელეგაცია, რომელსაც იოსებ ჟორდანია ხელმძღვანელობდა, უკან ბრუნდებოდა. თვითმფრინავის მეთაურმა პორტუგალიელმა ლასერდამ ორი საბედისწერო შეცდომა დაუშვა; სასტარტო ბილიკის დასასრულს ვერ აფრინდა, გაზს მოუმატა, თვითმფრინავი შეეჯახა გვერდით განლაგებულ ნატოს სამხედრო ბაზის კედელს, გაარღვია იგი და ზღვაში გუანაბარას ყურეში ნახევარი კილომეტრით შეიჭრა წყალში. თვითმფრინავი „ბოინგი“ იყო და ამოტივტივდა, ყველაფერი ადვილი მოსაგვარებელი იყო; მოვიდოდნენ მაშველები და ყველა გადარჩებოდა, მაგრამ მეთაურმა მეორე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, გამოუცხადა მგზავრებს „ვიღუპებით და თავს უშველეთო“. ყველა მგზავრს ჰქონდა მაშველი რგოლი, სასწრაფოდ ჩაიცვეს, კარს მიაწყდნენ და თვითმფრინავი გადაბრუნდა მარჯვენა მხარეს. მოახლოებული სიკვდილით რეტდასხმულმა მგზავრებმა ერთი პატარა უბილეთო გოგონა, რომელსაც არ ჰქონდა რგოლი, ლამის გადათელეს. იოსებ ჟორდანიამ შეამჩნია ბავშვი, თავისი რგოლი მისცა, ბავშვი იხსნა და თვითონ მის მაგივრად შეეგება სიკვდილს“.

მის ღვთიურ ქმედებას პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ მიუძღვნა ლექსი;

„მკერდშენგრეული ბოინგი მკვდარ ვეშაპივით ტოკავს,
ზღვა თავზე წაუხურია, როგორც კეისარს – ტოგა.
ჯგლერთა... ყვირილი... ჩოჩქოლი... და განწირულთა შიში
ჯერ კიდევ აუფეთქებელს ნაღმის წააგავს შიშინს.

ისვრის შტურმანი ბრძანებებს... მაშველ რგოლივით ისვრის,
ჟილეტს იცვამენ... ძებნა აქვთ სკამის ნატეხის, ფიცრის.
კარს აწყდებიან ზრიალით...ზღვაც იფოფრება სამტროდ,
ამ ცოდვის ორომტრიალში ძაღლი ვერ იცნობს პატრონს.
და როცა მთლად შეიშალნენ მოსალოდნელი საფრთხით,
ბავშვის ტირილი გაისმა, როგორც ჭყლოპინი ბარტყის.
უბილეთოა გოგონა და, უპირველეს ყოვლის,
არც ჟილეტი აქვს საბრალოს და არც მაშველი რგოლი.
ვიღაცამ რგოლი მოიხსნა, თავი გადასდო მსხვერპლად
და იმწამს შარავანდედი საკუთარ ხელით ეპყრა“.

ლექსი რუსულად თარგმნა პოეტმა
ანდრეი ვოზნესენსკიმ.

განვლო ხანმა იოსებ ჟორდანიას ტრაგიკული, მაგრამ გასხივოსნებული აღსასრულიდან და აირია ყველაფერი. სხვათა კარნახით მოუფიქრებელი, სამწუხარო და არაგონიერი ცვლილებების შედეგად სათავეში მოხვედრილმა და გაყიდვების სურვილებში ჩაფლულმა მესვეურებმა იმ შენობის გაყიდვა მოინდომეს, რომელშიაც იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი იყო განთავსებული, შენობისა, რომელშიაც მოღვაწეობდა ქართველი ერის გამრავლებისათვის თავდადებული, დაუღალავი მზრუნველი, უდიდესი სწავლული, ღმრთისგან კეთილშობილებით მოსილი, დიდებული წინაპრების სახელოვანი შთამომავალი იოსებ თევდორეს ძე ჟორდანია.

ეს ის დროა, როდესაც მტერმა შეძლო შეექმნა ქაოსი საქართველოში, რის შედეგადაც მივიღეთ, ერთი მხრივ, მამულის სიყვარულს მოკლებული მესვეურნი და, მეორე მხრივ, მთვლემარე ერი, თქვენი მონა-მორჩილის ჩათვლით. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, უნდა ჩაგვეკიდა ხელი ერთმანეთისთვის, შემოვჯარვოდით შენობას, რომელშიაც იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი იყო განთავსებული და, თუ მესვეურნი ვერ დაიოკებდნენ სურვილს, იქნებ მყიდველი დაფიქრებულიყო, იმაზე მეტ სიმდიდრეს რას იშოვის, ვიდრე ამ

შენობის შენარჩუნებით მოპოებული სიმდიდრეა. საკმარისი იყო ის შავი ტალღა გაბრუნებულიყო უკან, რომ შენარჩუნებული იქნებოდა შენობა, სადაც ადგილს ვერ ნახავ იოსებ ჟორდანიას ნაფეხურები რომ არ იყოს. მაშინ მართალი ვიქნებოდით ღმერთის, ერისა და იმ სწავლულის წინაშე, ვინც ადამიანებზე უსაზღვრო მზრუნველობითა და სიყვარულით მუდმივი ადგილი დაიკავა მედიცინის ისტორიაში. ვინც იქცა ლეგენდად და აალაპარაკა მსოფლიო, ვინც უნაპირო სიყვარული დაიმსახურა ხალხის წინაშე და ხალხმაც შეინარჩუნა იგი გარდაცვალებიდან ათეული წლების მანძილზე.

„ვინც პრემია დააწესა იმ ექიმებისთვის, რომლებიც აბორტის გაკეთებას გადაათქმევინებდნენ პაციენტებს (ჯუნა ბაღათურია)“.

„ვინც ღმერთის მოძულე მესვეურების დროს ფარულად ატარებდა ღვთისმშობლის ხატს და ვისაც პაციენტისგან ფული არასდროს აუღია (გიორგი ცერცვაძე)“.

ვინც „ისეთი ტაქტით მოგცემდა შენიშვნას, რომ გულს არ გატკენდა (ციანა ნაზარიშვილი)“.

„ვინც მუდამ მიისწრაფოდა თავისი უდიდესი გამოცდილება გადაეცა ახალგაზრდა ექიმებისთვის (ნინო ტაბატაძე)“.

ვინც ღვთისგან ბოძებულ მოკლე დროში ყველა უფლისმიერი განძი მოიპოვა და დაუტოვა არა მარტო ქართველ ერს, არამედ სრულიად კაცობრიობას.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მისი ღვაწლის დაფასება, რისთვისაც შენდობა უნდა ვთხოვოთ უფალს და ბნელ-ჟამობის დროს მისი მცნებების ფარულად შემსრულებელს, ჩვენს დიდებულ თანამემამულეს იოსებ თევდორეს ძე ჟორდანიას.

მოგონებები
იოსებ ჟორდანიაზე

ნინო მაისურაძე

„მრავალი შვილი საქართველოს მომავლის გარანტიაა“ ამ სიტყვებით მიმართა კოლექტივს ცნობილმა მეან-გინეკოლოგმა პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ, როდესაც იგი რუსეთში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს და 1958 წელს დააარსა ინსტიტუტი, რომელსაც თვითონვე ჩაუდგა სათავეში.

100 წელზე მეტმა დრომ განვლო იოსებ ჟორდანიას დაბადებიდან, მაგრამ ჩვენ, ინსტიტუტის კოლექტივს, არ შეგვიძლია პატივი არ მივაგოთ ამ ინსტიტუტის დამაარსებლის ნათელ ხსოვნას და არ გავიხსენოთ 15 მაისი, მისი დაბადების დღის ღირსშესანიშნავი თარიღი.

ის იყო მეცნიერი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ორგანიზაციული ნიჭით, ღრმა პროფესიონალიზმითა და გინეკოლოგიის თეორიული საფუძვლების ბრწყინვალე ცოდნით. იოსებ ჟორდანიამ საფუძველი ჩაუყარა უშვილობის პრობლემის თეორიულ-პრაქტიკულ იდეებს. მან შეიმუშავა ამ პრობლემის ტექნიკურ-სტრატეგიული გეგმა, რომელიც დღესაც გზას უკვლევს მის მიერ დაარსებულ და მისი სახელის მატარებელ ინსტიტუტს.

ლეგენდად ქცეულმა ტრაგიკულმა შემთხვევამ უდროოდ შეწყვიტა მისი ინტენსიური მოღვაწეობა – უნაყოფობასთან ბრძოლის სამოქმედო პროგრამა საქართველოში, რომლის ძირითადი არსი მოსახლეობის გამრავლების დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა იყო.

თუმცა 4 წელი მცირეზე მცირე დროა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ იოსებ ჟორდანიას მიერ ჩაყრილი საფუძველი მეტად მყარი გამოდგა. ახალგაზრდა კოლექტივი დიდი ინტერესით და პასუხისმგებლობით მოეკიდა თავკაცის მიერ დასახულ გეგმის განხორციელებას. ამიტომაც ინსტიტუტმა შორს გაითქვა სახელი, რაშიც დიდი დამსახურება მის ამჟამინდელ დირექტორს, პროფესორ არჩილ ხომასურიძეს მიუძღვის. მისი მცდელობით ინსტიტუტი ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრია. ინსტიტუტი აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო საშუალებებით. ფართოდ დაინერგა ლაპაროსკოპიული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდები. ექოსკენირება, რადიო-იმონოლოგიური კვლევა, რაც დიაგნოზის დაზუსტების საშუალებას იძლევა თანამედროვე კვლევის დონეზე.

არჩილ ხომასურიძის თაოსნობით გზა გაეხსნა ახალგაზრდობას საზღვარგარეთ წამყვან სამკურნალო დაწესებულებებში მისავლინებლად. ყოველდღიურად მტკიცდება კონტაქტი წამყვან სპეციალისტებთან, რაც საშუალებას აძლევს ინსტიტუტს ებრძოლოს ხელოვნურ აბორტებს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა იოსებ ჟორდანიამ.

საქართველოში არასტაბილური მდგომარეობის მიუხედავად, ინსტიტუტს ერთ დღესაც არ შეუწყვეტია ზრუნვა თავის პაციენტებზე, რაც აშკარა გამოხატულებაცაა შედარებით მაღალი შობადობისა. არჩილ ხომასურიძის ძალისხმევით პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოეყო

რეპროდუქტოლოგია, როგორც ცალკე დარგი ნომენკლატურითა და გრიფით. ინსტიტუტში თავმოყრილია იოსებ ჟორდანიას ტრადიციებზე აღზრდილი რამდენიმე თაობა, რომელთათვისაც ეს კერა ისეთივე მშობლიურია, როგორც საკუთარი. ეს კერა არ ჩაქრება, რადგან იგი ემსახურება ერის გამრავლების წმინდათაწმინდა საქმეს და იოსებ ჟორდანიას ნათელ ხსოვნას.

გიორგი (გივი) ცერცვაძე

1942 წლის ბოლოს ფრონტზე დაჭრილი სარატოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში ვიწექი, ტარდებოდა დიდი მიტინგი, ვისაც სიარული შეეძლო, მოგვცეს უფლება დავსწრებოდით. იმ დროს ფრონტზე უაღრესად დაძაბული მდგომარეობა იყო. სიტყვით გამოვიდა გენერალი, რომელმაც ნაწილობრივ დაამშვიდა აღელვებული ხალხი, აუწყა, რომ ფრონტზე მდგომარეობა ნელ-ნელა სტაბილურდებოდა. შემდეგ გამოვიდა იოსებ ჟორდანია, მაშინ ის იყო ჰიტლერელთა ბოროტმოქმედების დამკვირვებელთა საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. ვეებერთელა მოედანი ხალხით იყო გადატენილი. იქ ადამიანი არ იყო ისეთი, რომლის ოჯახის წევრიც ფრონტზე არ იბრძოდა.

მე გამაკვირვა იოსებ ჟორდანიას განსაკუთრებულმა ენერგიამ, ხალხზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების უდიდესმა ნიჭმა და უნარმა. მისი გამოსვლის შემდეგ უამრავი ახალგაზრდა ჩაეწერა მოხალისეთა სიაში.

მოსკოვის მთავარ მეან-გინეკოლოგი მუშობის დროს დიდ ყურადღებას უთმობდა ექიმთა დახელოვნების საკითხს. მისი იმდროინდელი ნაშრომები დღესაც არ კარგავს

ღირებულებას, სახელმძღვანელო „მეანობა“ ითვლება მნიშვნელოვან დამხმარედ ექიმთა საზოგადოებისთვის, რომელიც გამოცემულია საზღვარგარეთ.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც იოსებ ჟორდანიას გამოუვლენია დარღვევები რომელიმე ადამიანის მუშაობაში, მაგრამ არ გაუწირავს იგი და სამსახურიდან არ გაუნთავისუფლებია. იოსებ ჟორდანია თავისი მამაშვილური და კეთილი ურთიერთობით ყოველთვის აღწევდა მიზანს, ის ადამიანი შემდგომ ცდილობდა აღარ შემცდარიყო.

ასეთი ვაჟკაცური ნაბიჯები უხვად არის მის ცხოვრებაში. მსგავსი ბუნების ადამიანი სხვაგვარად ვერც შეძლებდა მოქცეულიყო იმ კატასტროფის დროს და არც გასაკვირია ის თავდადება, რომლითაც ლეგენდად იქცა.

იოსებ ჟორდანია ოცნებობდა, სარგებლობა მოეტანა თავისი სამშობლოსთვის და ეს ოცნება აღსრულდა, როდესაც თბილისში 1958 წელს გახსნა ქალთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც განაგებდა თვითონ და, რომელიც მის სახელს ატარებს. ამ დღიდან მე მქონდა ბედნიერება მეთანამშრომლა იმ დიდებული სწავლულისა და ვაჟკაცის გვერდით, რომელსაც პაციენტისგან ფული არასდროს აუღია და უღმერთობის დროს მალულად ატარებდა ღვთისმშობლის ხატს.

ჯუნა ბაღათურია

ექიმი გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი,
იოსებ ჟორდანიას პირველი ასპირანტი

იოსებ ჟორდანია ეკუთვნოდა იმ განსაკუთრებულ ადამიანთა რიცხვს, რომელთა შესახებ შეიძლება ილაპარაკო უსასრულოდ. მრავალჯერ გამოვსულვარ მასზე მოგონებებით. ამის უფლება მოვიპოვე, რადგან მე ვიყავი მისი პირ-

ველი ასპირანტი. სწავლის დროს წილად მხვდა ბედნიერება მესწავლა და მემუშავა იოსებ ჟორდანიას ხელმძღვანელობით, მაგრამ ყოველთვის მქონდა უკმარისობის შეგრძნება, რადგან ძნელია მოიხმო სიტყვა მისი ყველა დიდებული ღირსების ამსახველი მსოფლიო სამეანო-გინეკოლოგიური სკოლის წარმომადგენელზე, უდიდეს მეცნიერსა და პედაგოგზე, ადამიანზე, რომელმაც მთელი თავისი საუკეთესო წლები შესწირა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საქმეს.

მინდა მოვიგონო რამდენიმე ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან.

პირველი შეხვედრა დიდ მეცნიერთან ჩემი ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობით დაიწყო; შემდეგ მესაუბრა ხელოვნებაზე, ქართველ და რუს კლასიკოსებზე, საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ამიხსნა უნაყოფო ქორწინების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლის მნიშვნელობა. ბოლოს, ნება დამრთო ასპირანტურის კონკურსში მიმეღო მონაწილეობა. მისაღები გამოცდა მეან-გინეკოლოგიაში ბატონმა იოსებმა ჩაიბარა. ხუთი საკითხიდან ორისთვის წერილობით უნდა გამეცა პასუხი. პირველი საკითხი „კლიმაქსს“ შეეხებოდა, მეორე „მშობიარობის მექანიზმს“, დანარჩენ საკითხებზე ზეპირი საუბარი გვქონდა. ასე ჩავირიცხე, საბედნიეროდ, ასპირანტურაში, სადაც მკაცრად კონტროლდებოდა მის მიერ ყოველდღიური ჩემი მუშაობა.

სამი თვის სწავლის შემდეგ დამავალა საქართველოს დელეგაციასთან ერთად წავსულიყავი სანქტ-პეტერბურგში „კლიმაქსის“ პრობლემისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ჩემი მეუღლის წინააღმდეგობის გამო, ბატონ იოსებს ვთხოვე დელეგაციის სიიდან ამოველე. მან მთხოვა მეუღლის ტელეფონის ნომერი. მათ შორის შემდგარი საუბრის შემდეგ, რომლის შინაარსი დღესაც უცნობია ჩემთვის, მეუღლემ საჩუქრით გამაცილა

მატარებელზე. მივლინებიდან დაბრუნებისთანავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე მოისმინეს ჩემი მივლინების ანგარიში და დამიმტკიცეს სადისერტაციო თემა; „ნაადრევი კლიმაქსის დიაგნოსტიკისა და კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი“. ჩემთვის ნათელი გახდა სიმპოზიუმზე გაგზავნის მიზანი.

ბატონი იოსები იყო ამავდროულად საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის კათედრის გამგე. დღემდე ცნობილია ჟორდანიასეული დილის კონფერენციები, სადაც ხდებოდა 24-საათიანი მორიგეობის ანგარიშის მოხსენება საყურადღებო პაციენტის ისტორიის გარჩევით. მოიკითხავდა ყველა განყოფილებას, განსაკუთრებით საორგანიზაციო-მეთოდურ სექტორს, რომელსაც ევალებოდა ინფორმაცია მიეცა ჟორდანიასთვის 24 საათის განმავლობაში საქართველოს სამშობიაროებში რამდენი ბავშვი დაიბადა. ბატონი იოსები იყო საკმაოდ მკაცრი შემფასებელი. ხელოვნურ აბორტებთან ბრძოლის პიონერი გახლდათ. მან დააწესა ფულადი პრემია იმ ექიმებისთვის, ვინც პაციენტს გადააფიქრებინებდა აბორტის გაკეთებას.

შაბათობით (იმ დროს შაბათი სამუშაო დღე იყო) ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებთან ატარებდა საუბრებს, ამოწმებდა მათ პროფესიულ და თეორიულ მომზადების დონეს. პატივს სცემდა ქართველ კლასიკოსებს, უყვარდა ჩეხოვის შემოქმედება. მიუხედავად მრავალი ათეული წლების რუსეთში ყოფნისა, უყვარდა მშობლიურ ენაზე საუბარი. თავისი ვაჟიშვილი – კირილე – ქართულ სკოლაში შეიყვანა. ფეხაკრეფით იცოდა სიარული, სწრაფად შემოივლიდა ინსტიტუტის ყველა განყოფილებას. უყვარდა ფეხით სიარული, ცხოვრობდა მარჯანიშვილის მოედანზე, სამსახურში ფეხით დადიოდა.

ინსტიტუტში ხშირად ჩამოდიოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მეცნიერები, მსოფლიო საერთაშორისო

ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტები, ეწყობოდა პრეს-კონფერენციები, რომელშიც, როგორც წესი, მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერებიც. ბატონი იოსები 30 წლით უსწრებდა თავის ეპოქას. სადღეისოდ სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება იმ პრობლემების აქტუალობა, რომელსაც მან დაუდო სათავე, შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც დღესაც მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებიან ქვეყანას. ვინ მოთვლის რამდენი შვილის მომლოდინე ოჯახი გაუხარებიათ ჟორდანიას თანამოაზრეებს. უშურველად გადასცემდა კოლეგებს წლობით დაგროვილ უმდიდრეს სამეცნიერო გამოცდილებას. გვასწავლიდა უბრალოებას, თავმდაბლობას, ერის სიყვარულს, საქმისადმი ერთგულებას. აი, ასეთ ღირსეულ ადამიანად დარჩა იოსებ ჟორდანია ჩვენს გულებში.

ბოლო შეხვედრა მასთან 1962 წლის აგვისტოში, მოსკოვში, ონკოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე შედგა. მისი ბოლო დარიგება იყო, დრო მაქსიმალურად გამომეყენებინა დისერტაციის დასასრულებლად. ორ დღეში ბრაზილიის დედაქალაქ რიო-დე-ჟანეიროში მიფრინავდა. სამწუხაროდ, იქიდან იგი ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა. მართალია, სიცოცხლე იქ დატოვა, სამაგიეროდ, საქართველოს დაუტოვა ლეგენდა.

ციანა ნაზარიშვილი

ექიმი-გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი

ცხოვრება და მოღვაწეობა იოსებ ჟორდანიასი, როგორც დიდი მეცნიერისა, მის სიცოცხლეშივე შევიდა მსოფლიო საგანძურის ფონდში. ამაზე მეტყველებდა ინსტიტუტში ყოველდღიურად მის სახელზე შემოსული აურაცხელი კორესპონდენცია. საკმაოდ დიდ შეფასებას აძლევდნენ მას

მსოფლიოს უდიდესი სწავლულები, ამიტომაც სისტემატურად იწვევდნენ სხვადასხვა სიმპოზიუმზე.

ყველა მის გამოსვლაში, იყო ეს დილის კონფერენცია თანამშრომლებთან თუ უდიდესი ყრილობა, იოსებ ჟორდანიას მოსავდა ისეთი ხიბლი, რაც ამრავლებდა მის პატივისმცემლებსა და მიმდევრებს.

მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი მისი მოღვაწეობიდან: 1956 წელს მოსკოვში მიმდინარეობდა გინეკოლოგთა და პედიატრთა გაერთიანებული ყრილობა. კამათი შეეხებოდა ნაყოფის გაცოცხლებას. ბოლოს ის გამოვიდა ღიმილით და თქვა: ეს კამათი მომაგონებს იმ სიტუაციას, როდესაც ჩამოხრჩობილს უკეთებენ კორდიამინისა და კოფეინის ინექციებს, ჯერ კიდევ ბაწარზე დაკიდებულს. ხომ არ აჯობებდა, რომ ჯერ ბაწრიდან ჩამოგვეხსნა ეს საბრალო და შემდეგ მიგვეღო ზომები. მქუხარე ტაში არ გაჩერებულა დიდი ხნის განმავლობაში.

ასეთი გახლდათ ეს დიდებული ადამიანი, რომელსაც იუმორის გრძნობა თან სდევდა და მუდმივად ხელს უწყობდა ნაყოფიერ მოღვაწეობაში.

იყო საშუალო სიმაღლის, გამხდარი. საუბრობდა წყნარად, ცოტა ეძინა და ბევრს მოძრაობდა. ისეთი ტაქტით მოგცემდა შენიშვნას, რომ გულს არ გატკენდა. ყველა თანამშრომელს, დაწყებული დამლაგებლიდან, მიმართავდა სახელით და მამის სახელით.

პირადად მე უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 8 წლის განმავლობაში ვმუშაობდი მოსკოვში იოსებ ჟორდანიასთან ერთად კლინიკაში. იგი ისე შთაგაგონებდა, რომ, მიუხედავად ჩემი ახალგაზრდობისა, ვათენებდი და ვაღამებდი კლინიკაში.

მახსენდება პირველი ოპერაცია... ჩემი გვარი რომ წავიკითხე, შეშინებული შევვარდი იოსებ ჟორდანიას კაბინეტში. ვთხოვე ამ შემთხვევაში ამოეღო ჩემი კანდიდატურა, რადგან

არ ვთვლიდი თავს მზად ასეთი სერიოზული საქმისთვის. არასდროს დამავიწყდება მისი შემოხედვა და წარმოთქმული მოკლე ფრაზა; ნუთუ თქვენ ასეთი უყურადღებო ექიმი იქნებით? წაიკითხეთ თუ არა გვარი თქვენი ასისტენტის? ასისტენტი თვით იოსებ ჟორდანია ბრძანდებოდა.

უდიდეს დროს ხარჯავდა ყოველდღიურად ახალგაზრდა კადრების პროფესიული დონის ასამაღლებლად. სამშობლოს უდიდესი სიყვარულით ჩამოვიდა იგი თბილისში და, მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, შეძლო და გახსნა ინსტიტუტი, რომელსაც ხშირად უწოდებენ „ადამიანის სიცოცხლის სამჭედლოს“. ახლა მთელ მსოფლიოში ძგერს გულები, რომლებიც შესაძლებელია არ ყოფილიყო.

როგორც კინოეკრანზე ისე ვხედავ მის გვერდით გატარებულ ყოველ წუთსა და საათს. მახსენდება ჩვენი პირველი სესიები, „ნაყოფიერებისა და უნაყოფობის საზოგადოების“ სხდომები, რომელიც აერთიანებდა ყველა პროფესიის გამოჩენილ ადამიანს, და მასთან დაკავშირებული გასვლითი სესიები (მე ვიყავი ამ საზოგადოების ტექნიკური მდივანი). იოსებ ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ ყველა ოქმი გადავეცი ჯამბაკურ ბაქრაძეს, ამ საზოგადოების გენერალურ მდივანს.

დიდებული მეცნიერის სიცოცხლის დასასრული ისეთივე გმირული იყო, როგორიც მთელი მისი ცხოვრება.

იოსებ ჟორდანიას მოკრძალებული საფლავი ჩვენთვის არის ის წმინდა ადგილი, სადაც შეგვიძლია მივიდეთ და ღმერთისადმი ლოცვა აღვავლინოთ.

ქედს ვიხრი სახალხოდ მისი პიროვნების წინაშე და ვმადლობთ უფალს, რომ მოგვივლინა ადამიანი, რომელმაც არ დაიშურა ძალა და ენერგია თითოეული ჩვენგანის სათანადო დონის პროფესიონალ ექიმად ჩამოყალიბებისთვის.

ჯული გირგიტოვა

ექიმი-ლაბორანტი

პროფესორი იოსებ ჟორდანია იყო უაღრესად კეთილშობილი პიროვნება. პირველად მას შევხვდი 1960 წელს, როდესაც მივედი სამუშაოდ ინსტიტუტში. პირველი შეკითხვა იყო, ჩეხოვი თუ იცითო, დააზუსტა – თუ წაგიკითხავთ მისი მოთხრობებიო. მერე, როგორც გავიგე, ყველას მსგავს შეკითხვას უსვამდა.

ძალიან უყვარდა თავისი ცოლ-შვილი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი მეუღლე – ლიდია და შვილი – კირილე, მოსკოვში ცხოვრობდნენ. თვალები უბრწყინავდა, როდესაც კირილეზე ლაპარაკობდა. ბატონი იოსები ხშირად უგზავნიდა მეუღლეს ყვავილებს თბილისიდან მოსკოვში და მე მთხოვდა მათ შერჩევას. შემდეგ მძღოლს მიჰქონდა აეროპორტში. ალბათ მოსწონდა ჩემი არჩეული ყვავილები.

თანამშრომლებს, რომლებმაც არ იცოდნენ რუსული, სთხოვდა, რომ რუსულად ელაპარაკათ, თვითონ ცდილობდა, რომ სულ ქართულად ესაუბრა. ყველა თანამშრომელს გვერდში ედგა. თუ შენიშვნას მოგცემდა, მალევე იცოდა უკან დახევა, გულს არ გატკენდა.

ძალიან განვიცადეთ მისი დაღუპვა.

ნინო ბაბლიძე

რეპროდუქტოლოგი, გინეკოლოგი

თბილისში არის ინსტიტუტი, რომელიც ღვაწლმოსილი მეცნიერის – იოსებ ჟორდანიას სახელს ატარებს. ეს არის ინსტიტუტი, სადაც მრავალ ოჯახს გაუმყარდა საძირკველი

და გამრავლდა. მრავალი ქალი ეზიარა დედობის დიდ სიხარულს.

სწორედ იოსებ ჟორდანიას ძალისხმევითა და ჯემალ ციციშვილის ხელშეწყობით 1958 წელს დაარსდა საქართველოს დედაქალაქში ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელი სიცოცხლის ბოლომდე იყო იოსებ ჟორდანია. მე წილად მხვდა ბედნიერება შრომის წიგნაკში პირველი ჩანაწერი ამ დიდებული პროფესორის ხელისმოწერას რომ დაემშვენებინა.

იოსებ ჟორდანია იყო დიდად განსწავლული, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული და უდიდესი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება. საოცრად ფაქიზი თანამშრომლებთან და ასეთივე მიდგომით ჰყავდა შერჩეული უკლებლივ ყველა, თავისი პროფესიონალური და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით. მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი: თანამშრომელმა ქალბატონმა მიმართა თხოვნით, გაეფორმებინა მისთვის უხელფასო შვებულება რამდენიმე ხნით ოჯახური მდგომარეობის გამო. იოსებ ჟორდანიამ გამოიძახა ეს თანამშრომელი, დაინტერესდა მისი მდგომარეობით, გამოჰკითხა, თუ რატომ სჭირდებოდა შვებულება და როცა გაიგო, რომ შვილის ავადმყოფობას შეეხებოდა საკითხი, უთხრა: არ მოგცემთ უხელფასო შვებულებას, რამდენი დღეც დაგჭირდებათ შემიძლია გაგათავისუფლოთ, შვილს მიხედეთ, მალე გამოჯანმრთელდეს. თუ რამეში დაგჭირდეთ ჩემი დახმარება, არ მოგერიდოთო.

ღმერთმა ინებოს და ამ შეჭირვებულ დროშიც გვქონოდეს ერთმანეთის ასეთი სიყვარული, თანადგომა და პატივისცემის სურვილი.

კიდევ გავიხსენებ ერთ ფაქტს: ბატონი იოსების მდივნის შვებულებაში ყოფნის პერიოდში მომიხდა მისი მოვალეობის შესრულება. ძალიან ვღელავდი... ასეთი ბუმბერაზი მეცნიერის დავალებები უნდა შემესრულებინა. მა-

დლობა უფალს, ამ დავალებას გავართვი თავი. ერთ დღეს გამომიძახა და საჩუქრად გადმომცა მეანობაში მისი ავტორობით გამოცემული ახალი სახელმძღვანელო წარწერით „მომავალ ექიმს – ნინო ბაბლიძეს, ქალის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ნიშნად ერთად მუშაობისა – ავტორისაგან“. დღეს რელიკვიად ვინახავ ამ ჩემთვის ფასდაუდებელ საჩუქარს.

სასიკეთოდ დამმოძღვრა ბატონმა იოსებმა; ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის მატიანეს ექვსი წელი მაშორებს. ამ ინსტიტუტში ვაგრძელებ მუშაობას, ამჯერად უკვე ექიმ-რეპროდუქტოლოგად და დიდი სიყვარულით ვემსახურები იმ კეთილშობილურ საქმეს, რასაც ერის გამრავლება ჰქვია.

ცირა ჯანიაშვილი

ექიმი-გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი

იოსებ ჟორდანია ბრძანდებოდა განსაკუთრებული თვისებებით შემკული ღირსეული მეცნიერი, მკურნალი, პედაგოგი; გვასწავლიდა ადამიანებისადმი მზრუნველობას, პატივისცემას, პაციენტისადმი გულისხმიერებას. ექიმებისგან მოითხოვდა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ღრმა ცოდნას. თვალ-ყურს ადევნებდა საქართველოში შობადობის, ერის გამრავლების ყოველწლიურ მონაცემებს. ამ მიზნის განსახორციელებლად თბილისში 1958 წელს დააარსა ინსტიტუტი, რომელსაც განაგებდა წლების მანძილზე.

მისი ხელმძღვანელობით ყოველ წელს ტარდებოდა რაიონებში გასვლითი სესიები. ეს ღონისძიება ხელს უწყობდა უშვილო ქალთა და მამაკაცთა კონტიგენტის გამოვლინებას. უშვილო წყვილები შემდგომში ინსტიტუტში იტარებდნენ გამოკვლევებს და მკურნალობას.

იოსებ ჟორდანიას ხელმძღვანელობით იწერებოდა მეცნიერული შრომები ქალისა და მამაკაცის უშვილობის მიზეზების კვლევისა და მკურნალობის მეთოდების დანერგვის შესახებ. ეს შრომები დაბეჭდილია კრებულის სახით და ინახება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. იოსებ ჟორდანიას ხელმძღვანელობით ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე გაბედნიერდა არა მარტო საქართველოში მცხოვრები ოჯახები, არამედ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული უშვილო წყვილებიც. მისი ტაქტიანი შენიშვნები გვმატებდა გამოცდილებას, გვზრდიდა პროფესიონალებად. ფასდაუდებელია მისი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობა სამამულო ომამდე, ომის დროს და შემდგომ წლებში.

დედაჩემი იყო გინეკოლოგი და მოსკოვში მუშაობდა იოსებ ჟორდანიასთან. როდესაც მან თბილისში უშვილობის ინსტიტუტი დააარსა, დედამ სთხოვა ჩემი სამსახურში მიღება. ასე მოვხვდი ინსტიტუტში. ეს იყო ჩემთვის დიდი სიხარული, დიდი პატივი. თავდაპირველად მიმაბარა ექიმ თამარ საყვარელიძეს და მომცა გამოსაცდელი ვადა. მოგვიანებით დამავალა მემუშავა თემაზე საშვილოსნოს მიომები და უნაყოფობა. ვამაყობ იმით, რომ ამ დიდებულ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა. ვსწავლობდი მისი ხელმძღვანელობით, ვყალიბდებოდი, როგორც პიროვნება და ექიმი.

იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენს ვარცხნილობას და ჩაცმულობასაც.

ვერ დაივიწყებს ქართველი საზოგადოება და ინსტიტუტის თანამშრომლები მის ერთგულებას და სიყვარულს სამშობლოსა და ქართველი ერისადმი.

მან ქართულ ენაზე დაწერა სახელმძღვანელო „მეანობა“ და რუსულ ენაზე „მეანობა-გინეკოლოგია“. ამ წიგნებსა და

მეცნიერულ შრომებზე აღიზარდა მრავალი თაობა მეან-გინეკოლოგებისა.

მეტად მძიმე და მწუხარე იყო იოსებ ჟორდანიას დაკრძალვის დღე. იგი დასვენებული იყო თბილისის მედიცინის მუშაკთა სახლში. თანამშრომლები ერთმანეთს ვენაცვლებოდით საპატიო ყარაულში. ძაძებით შემოსილები ფეხით მივასვენებდით ამ ღირსეულ და საყვარელ მეცნიერს. ურიცხვი ადამიანი მოჰყვებოდა პროცესიას. რამდენიმე წუთით დავასვენეთ მისივე დაარსებულ ინსტიტუტთან. შემდეგ მივაცილეთ დიდუბის პანთეონში და მივაბარეთ ქართულ მიწას ადამიანი, რომელმაც ღირსეულად მოიხადა ვალი ერის წინაშე და ღვაწლმოსილი წავიდა ამ ქვეყნიდან. მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ნინო ტაბატაძე

ჰორმონული დიაგნოსტიკის ლაბორატორიის
ხელმძღვანელი

ჭეშმარიტად რჩეულთა ხვედრია, ერთი მხრივ, სიცოცხლეშივე გულწრფელი სიყვარულის, საყოველთაო აღიარებისა და თაყვანისცემის მოპოვება და, მეორე მხრივ, ამ ყველაფრის შენარჩუნება გარდაცვალებიდან ათეული წლების მანძილზე. სწორედ ასეთი რანგის საზოგადო მოღვაწე გახლდათ დიდი მეცნიერი, კლინიცისტი და დიდებული პედაგოგი იოსებ ჟორდანია.

ორიგინალური და ღრმად მოაზროვნე მეცნიერი, რომელიც იშვიათი ერუდიციით აშუქებდა ყველა საკითხს, რომელსაც მისი მადლიანი კალამი შეხებია. იგი მუდამ ცდილობდა სამეცნიერო მუშაობაში გამოეყენებინა შემოქმედებითი თანამეგობრობა და კონტაქტები სხვა ქვეყნის მეცნიერ-მოღვაწეებთან და სამეცნიერო მიღწევები

ფართო სამედიცინო საზოგადოების სამსჯავროზე გაეტანა.

სესიებზე წარმოდგენილი იყო ხოლმე ინსტიტუტის კოლექტივის მიერ შესრულებული სამეცნიერო შრომები, რომელთაც დამსწრე მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევდნენ და გამოიცემოდა კრებულის სახით სათაურით – „უშვილო ქორწინება“.

ასეთი სესიების ჩატარება იოსებ ჟორდანიას ხელმძღვანელობით ტრადიციად იქცა. ინსტიტუტის კოლექტივი ძირითადად, ახალგაზრდა ექიმებით იყო დაკომპლექტებული. შტატში ჩარიცხვამდე ყველა ექიმს გაესაუბრებოდა ხოლმე. ამის შედეგად ინსტიტუტში ძირითადად ნიჭიერმა ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი. ექიმები გარეგნული ეშხითა და სილამაზითაც გამოირჩეოდნენ, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ ხმამაღლა უცხოეთიდან ჩამოსულ ღვაწლმოსილ მეცნიერებს. ბატონ იოსებს ეს ძალიან სიამოვნებდა, რასაც მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებული ღიმილით გამოხატავდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ დიდებული მეცნიერის პედაგოგიური მოღვაწეობა. მეცნიერებასა და კლინიკის საქმიანობაზე უანგაროდ და გულწრფელად შეყვარებული, მუდამ მიისწრაფოდა თავისი გამოცდილება ახალგაზრდა ექიმებისთვის გადაეცა. მას არ ახასიათებდა უხვსიტყვაობა, მოხსენების დროს უაღრესად ზუსტად და ლაკონურად ჩამოყალიბებულ პოსტულატებს აწვდიდა მსმენელთ. ეს შემეცნების საზეიმო პროცესს წარმოადგენდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე გამახსოვრდებოდა.

მინდა გავიხსენო იოსებ ჟორდანიას, როგორც ადამიანის, აღმზრდელი პედაგოგის ხასიათის რამდენიმე შტრიხი. იგი იყო მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. უდიდესი ცოდნით შეიარაღებული მეცნიერი თანამშრომელთა აზრის მიმართ ყურადღებიანი და ანგარიშის გამწევი. იგი

პირადად კითხულობდა და ასწორებდა სამეცნიერო სესიაზე გასატან თუ შრომათა კრებულში დასაბეჭდ თითოეულ ნაშრომს. შემდეგ გასაუბრებას აწყობდა ავტორთან კეთილმოსურნე ატმოსფეროში. ასე ახდენდა შრომის საბოლოო ვარიანტის დადგენას.

ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა: სამეცნიერო შრომა, რომელიც პირველი სამუშაო წლის ბოლოს წარვადგინე, ბატონმა იოსებმა წაიკითხა, გამომიძახა და მითხრა: „შრომა კარგად არის დაწერილი, შენიშვნები არა მაქვს, მაგრამ ერთ-ერთი ცხრილის სათაური რას ნიშნავს არ მესმის“. მე დავიწყე ახსნა. მან მისმინა, მისმინა და ბოლოს მითხრა: „ახლა კი გავიგე, მაგრამ, როდესაც ნაშრომი გამოქვეყნდება, იქნებ ციმბირში წაიკითხონ, თქვენ ხომ იქ არ იქნებით, რომ აუხსნათ. ამიტომ ცხრილის სათაური ისე უნდა დაწეროთ, რომ მკითხველისთვის გასაგები იყოს“. ეს შენიშვნა ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო და ახლად დამწყებ მეცნიერებსაც ამას ვასწავლიდი.

იოსებ ჟორდანია ხშირად ატარებდა შემოვლებს ინსტიტუტში, როგორც კლინიკურ განყოფილებებში, ისე ლაბორატორიებში. თანმხლები პირის გარეშე. შემოვიდოდა ლაბორატორიაში მოულოდნელად, მისთვის დამახასიათებელი ჩუმი ნაბიჯით და ამოწმებდა თანამშრომელთა მუშაობას. ყველაფერს აქცევდა ყურადღებას, სამუშაო ადგილის მოწესრიგებას, თანამშრომელთა იერსახეს. მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: მისი ერთ-ერთი შემოვლის დროს ნახა თანამშრომელი, რომელიც ახალი მიღებული იყო, ექიმის ხალათი ღილებზე არ ჰქონდა შეკრული და თითებზე ბევრი ბეჭედი ეკეთა. მაშინ მე ბიოქიმიის ლაბორატორიას ვხელმძღვანელობდი. იგი უშუალოდ თანამშრომელს შენიშვნას არ აძლევდა. გამომიძახა და მითხრა: „ბატონო, როგორ შეიძლება ლაბორატორიაში, სადაც რეაქტივებთან გაქვთ საქმე, გახსნილი ხალა-

თით მუშაობა, და მეორეც, იმდენი ბეჭედი აქვს თითებზე ასხმული, ანალიზების კეთების დროს უხერხულობას შეუქმნის“.

ინსტიტუტის დაარსების პირველ წელს უცხოელი სპეციალისტების დელეგაცია გვესტუმრა, მათ მეგზურობას იოსებ ჟორდანია უწევდა. მე უნდა მომეხსენებინა მიმდინარე სამეცნიერო მუშაობის შესახებ. ძალიან ვღელავდი და, როგორც ჩანს, უნებლიედ ხელები ჯიბეში ჩავიწყვე. მომიახლოვდა სხვებისგან შეუმჩნევლად და ჩუმად, ქართულად ჩამილაპარაკა: „ხელები ამოიღე ჯიბიდან“. ასე გამომიყვანა დიდმა მეცნიერმა, დიდებულმა პედაგოგმა და აღმზრდელმა უხერხული სიტუაციიდან.

ლიდია ფხალაძე

ექიმი-გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი

ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობდი პროფესორ იოსებ ჟორდანიას. მართალია, ეს იყო ძალიან ხანმოკლე პერიოდი – სულ ერთი თვე, მაგრამ მისმა პიროვნებამ დიდი კვალი დატოვა ჩემს მეხსიერებაში.

1962 წლის ივლისში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჩემი დის რეკომენდაციით, დავიწყე მუშაობა ინსტიტუტის კლინიკურ ლაბორატორიაში. ჩემი უმცროსი და ვერა, 19 წლის გოგონა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო ბატონ იოსების პირადი ექთანი. შემდეგ სწავლა გააგრძელა სამედიცინო ინსტიტუტში და თერაპევტი გახდა. დიდი სიყვარულითა და სითბოთი საუბრობდა ოჯახში მის პროფესიონალიზმზე, კეთილშობილებაზე, სიკეთესა და ინსტიტიტის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან საქმიანობაზე. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ჩემთვის სასურველი გახდა ამ ინსტიტუტში პრო-

ფესორ ჟორდანიასა და სხვა დიდებულ ადამიანთა გვერდით მუშაობა.

პრაქტიკულად, მე ვიყავი ბოლო თანამშრომელი, ვინც მიიღო ბატონმა იოსებმა სამსახურში, ბრძანებაზე სწორედ მან მოაწერა ხელი. ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 1962 წლის აგვისტოში მოხდა ის საშინელი ავიაკატასტროფა, რაც თავზარდამცემი იყო ჩვენი მთელი კოლექტივისათვის.

კარგად მახსოვს შეკითხვა, რომელიც მან დამისვა პირველ დღეს გასაუბრებისას – „და თქვენ ჩეხოვი წაგიკითხავთ?“ შემდეგ შევიტყვე, რომ ძალიან უყვარდა ანტონ ჩეხოვი (ისიც ხომ ექიმი იყო) და, თურმე, ყველა ახალ თანამშრომელს ამას ეკითხებოდა.

ძალიან კეთილი და ადამიანური იყო, თან ძალიან მომთხოვნი. უძლიერესი გუნდი ჰყავდა, ბრწყინვალე ადამიანები და პროფესიონალები – ჯემალ ციციშვილი, თამაზ ბეგიაშვილი, ანასტასია გვერდწითელი, ნუნუ ლეონიძე, ნოდარ ძნელაძე და სხვები. საოცარი რიდი და პატივისცემა ჰქონდათ მის მიმართ თანამშრომლებს.

ციური გეგეშიძე

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის
თანამშრომელი

ასე, ალბათ, იშვიათად თუ დაწყებულა საიუბილეო წერილი სახელოვანი სწავლულის, მკურნალის, დიდებული პედაგოგისა და ღირსეული ადამიანისა. სხვა დღეებში ჯერ მის დამსახურებას გავიხსენებდით სამამულო მეცნიერების წინაშე და მერე იმ მოღვაწეობის განსაცვიფრებელ მიღწევებს გადავავლებდით თვალს, რამაც მსოფლიო დონის მეცნიერად აქცია. ახლა კი ის ფაქტი უნდა გავიხსენოთ ამ

ღირსეული ადამიანის ჩაფერფლის მიზეზი რომ გახდა, შესანატრი ჩაფერფლისა, რითაც სამარადისო ძეგლი დაიდგა თაობების ხსოვნაში.

ამ დღეებში მისი იუბილეა, ვინ იცის კიდევ რამდენ სასარგებლო საქმეს დააგვირგვინებდა ერის სასარგებლოდ, მაგრამ აბორგდა მისი რაინდული სული, სული კეთილშობილი ადამიანისა, წამიც და გონება დიდსულოვანმა გადაწყვეტილებამ გაანათა, იხსნა ბავშვი და თვითონ იქ, ბრაზილიის სანაპიროსთან ოკეანეში აღესრულა.

საქართველოსთვის თავდადებული ისტორიკოსისა და მწერლის, თევდორე ჟორდანიასა და ელენე ტარსაიძის შვილმა იოსებ ჟორდანიამ, სახელოვნად გააგრძელა წინაპრების ტრადიციული გზა. და, თუ მამამისმა, თევდორემ, ქართველი ერის თვითმყოფადობის მოსაპოვებლად, ბრძოლით, მასზე დამტყდარი აურაცხელი დამცირებითა და შეურაცხყოფით სიცოცხლე შეიმცირა, სამაგიეროდ, იოსებ ჟორდანიამ წამიერად დაუსვა წერტილი ადამიანის სიყვარულისთვის ღმერთისგან ბოძებულ ერთადერთ სიცოცხლეს.

ბევრი თქმულა და მომავალშიც ვიტყვით იოსებ ჟორდანიას მეცნიერულ ღვაწლზე. მთავრობისგან მას უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული. თბილისის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის ჟორდანიას სახელის მინიჭებაც მისი დამსახურების ნათელი გამოხატულებაა.

დიდუბის მიწამ გადააფარა კალთა მის ერთგულ შვილს და სამუდამოდ ჩაიხუტა გულში.

დიდი მეცნიერის საკმაოდ გახმაურებული ტრაგიკული დასასრული პოეტ შოთა ნიშნიანიძის შთაგონების წყარო გახდა; მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მაშველი რგოლი იმ სულმნათს შარავანდედად ადგას“.

ლუიზა ჩიკვილაძე

უფროსი ლაბორანტი

1958 წელს სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როდესაც ჩემმა ახლობელმა, რეზო ხუხუამ, რომელიც იყო ახლად გახსნილ ინსტიტუტში სამეურნეო ნაწილის გამგე, რეკომენდაცია გამიწია რეგისტრატორის პოზიციაზე. კადრებს თვითონ ბატონი იოსები არჩევდა და დიდ ყურადღებას აქცევდა გარეგნობას. ძალიან ვნერვიულობდი, რას მეტყოდა ბატონი იოსები, ყველა ძალიან გულშემამტკივრობდა, როდესაც შევედი მასთან ოთახში, შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა, შემომეგება და მაგიდასთან მიმაცილა. ჩვენი შეხვედრა გაგრძელდა ორი საათი. მან მითხრა, რომ ინსტიტუტში მუშაობა იწყებოდა რეგისტრატურიდან და მე ვიქნებოდი ინსტიტუტის სახე. შემდეგ კი გამომაცილა და მის მდივანს, ამალია აგაჯანოვას უთხრა, რომ იმ დღესვე გავეფორმებინე. ყოველ დილით ბატონი იოსები თვითონ იყო პაციენტი და თავის სახელზე მახსნევინებდა ისტორიებს, ასე მასწავლიდა ისტორიის გაფორმებას. ძალიან კარგად მახსოვს პირველი პაციენტი – თინა ამბოკაძე, რომელზეც ოფიციალურად გავხსენი ისტორია.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: 1960 წელს იოსებ ჟორდანიამ საქართველოში ჩაატარა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოწვეულნი იყვნენ მაღალი დონის სტუმრები უცხოეთიდან და საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. სტუმრებისთვის 100-კაციანი სუფრა გაიშალა ინსტიტუტში, რასაც პირადად მე ვუწევდი ორგანიზაციას. მაშინ 20 წლის ვიყავი. ძალიან ვღელავდით მეც და ბატონი იოსებიც. ბატონმა იოსებმა ითხოვა პირველი სადღეგრძელო. მან მიხმო და სტუმრებს უთხრა: აქ რასაც ხედავთ, სულ ამ პატარა გოგონას ხელებითაა გაკეთებულიო და ხელები დამიკოცნა.

ასევე განსაკუთრებულად მახსოვს ჩვენი ბოლო შეხვედრა. ბატონი იოსები რიო-დე-ჟანეიროში კონგრესზე მიემგზავრებოდა, ყველას სათითაოდ თვალზე ცრემლმორეული დაგვემშვიდობა, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ვეღარ დაბრუნდებოდა.

საოცარი ადამიანი იყო ბატონი იოსები. მან უდიდესი კვალი დატოვა პირადად ჩემი და ინსტიტუტის ყველა თანამშრომლის ცხოვრებაში.

ევგენია ბოჭორიშვილი

ექიმი გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი

მე წილად მხვდა ბატონ იოსებ ჟორდანიასთან ერთად მუშაობის ბედნიერება ინსტიტუტის დაარსების პირველივე დღიდან. ბატონი იოსები იყო ნამდვილი სწავლულის, კლინიცისტის, ხელმძღვანელის, საზოგადო მოღვაწისა და მოქალაქის განსახიერება.

მასთან ურთიერთობამ შემძინა ბევრი დადებითი ადამიანური თვისება. გავიდა მრავალი წელი, მაგრამ დღემდე დიდი სითბოთი და მადლიერებით ვიხსენებ ინსტიტუტში ერთად გატარებულ ბედნიერ, ნაყოფიერ პერიოდს. ბატონ იოსებს ჰქონდა ენციკლოპედიური ცოდნა. მისი ბევრი მოსაზრება, გამონათქვამი, შეხედულება ღრმად დარჩა ჩემს მეხსიერებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე და დღემდე ვიყენებ მათ სამსახურსა თუ ცხოვრებაში.

იგი თანამშრომელში ძალიან აფასებდა შრომისმოყვარეობას, მიზანდასახულობას, შრომისუნარიანობას. არაერთხელ მსმენია თუ როგორ ეუბნებოდა ბატონ ჯემალ ციციშვილს: „მომეცით ენერგიული, ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდები და მე მათ თავად გავზრდი მეცნიერებად“.

ბატონ იოსებს უხაროდა, როდესაც საქმეში ჩართულებს შემოგვისწრებდა, ამბობდა: „მუშაობა დუღს“, და თვითონვე პასუხობდა: „დუღს, დუღს“, რაც ნიშნავდა იმას, რომ ჩვენით კმაყოფილია (ასე იყო ჩვენს კაბინეტებში, ძიძიგურის, პოლშინის ლაბორატორიებში და ა.შ.). იგი მიიჩნევდა, რომ მეცნიერ-მუშაკს უნდა ჰქონდეს მტკიცე ხასიათი, ნება და ნათელი აზრები.

ერთხელ დილის კონფერენციაზე ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამოთქვა მოსაზრება, რასაც ბატონი იოსები არ დაეთანხმა და შეაწყვეტინა საუბარი. განაწყენებულმა თანამშრომელმა უთხრა: „თქვენ შემაწყვეტინეთ საუბარი ბატონო იოსებ და აზრი დავკარგე“. ბატონ იოსებს გაეღიმა და უპასუხა: „მეცნიერ-მუშაკს უნდა ჰქონდეს ბაგირებივით მყარი და არა აბლაბუდას ძაფებისებრი სუსტი აზრები, რომლებიც ნიავის დაბერვაზე წყდება“. იგი იყო არაჩვეულებრივი პედაგოგი და სამეცნიერო ხელმძღვანელი. ის შენიშვნები, რომლებიც მან მოგვცა წლების წინ, ჩემთვის ახლაც მნიშვნელოვანია.

ინსტიტუტის გახსნისთანავე ბატონმა იოსებმა ჩვენი განყოფილების თანამშრომლებს შემოგვთავაზა დაახლოებით 12 სამეცნიერო შრომის სათაური. მე წილად მხვდა ბაზალური თერმომეტრია, რომელზეც ვმუშაობდი მისი სიცოცხლის პერიოდში და მისი გარდაცვალების შემდეგაც რამდენიმე წელი.

ბატონი იოსები ხშირად გვეუბნებოდა: „ვინც დროულად არ შეასრულებს სამუშაოს, ჩაითვლება ინსტიტუტის შენობიდან ჩამოვარდნილ აგურად“. ამიტომ თითოეული ჩვენგანი მუშაობდა ძალ-ღონის უშურველად და ცდილობდა არ გამხდარიყო ის „ჩამოვარდნილი აგური“.

ასე იქმნებოდა ტრადიციები ჩვენს ინსტიტუტში: სექტემბერი – ახალი სასწავლო წლის დასაწყისი, ახალი სამეცნიერო გეგმებისა და სამუშაოს დასაწყისი იყო.

მე შემონახული მაქვს მისი ხელით გასწორებული პირველი სამეცნიერო ნაშრომი. მახსოვს, ბატონ იოსებს უნდა დაებრუნებინა ჩემთვის ჩემი სამეცნიერო ნაშრომი. ერთხელ შევდივარ მასთან კაბინეტში და მაგიდაზე ვხედავ წითელი ფანქრით გადახაზულ ჩემს ნაშრომს. შემატყო დარცხვენილობა და თითქოს ბოდიშის მოხდით მითხრა: „ევგენია, თქვენ გამოგივიდათ შესანიშნავი ნაშრომი. მე არაფერი შემიცვლია, არაფერი არ ამომიღია. უბრალოდ რაღაცები გადავაადგილე. თქვენ მოგიწევთ მხოლოდ რამდენიმე ცხრილის, ლიტერატურის მიმოხილვის, დასკვნის დამატება და ა.შ.“. შემდეგ კი დაამატა: „გთხოვთ, შეინახოთ ეს ნაშრომი, 20 წლის შემდეგ ძალიან დაგაინტერესებთ, როგორ წერდით. მეცნიერებაში კი ჯერ ახალბედა ხართ, სამარცხვინო არაფერი გაქვთ “.

სახლში მოვიტანე ნაშრომი. ჩემმა 9 წლის ვაჟმა, როდესაც დაინახა შესწორებები წითელი კალმით, შეჰყვირა: „დედა, შენ კი ამბობდი, რომ ხუთოსანი ვარო“. საბედნიეროდ, ბოლო გვერდზე ბატონ იოსებს შენიშვნის სახით მსხვილი ასოებით მიუწერია: „საერთო ჯამში კარგია, მაგრამ ავტორმა ბევრი უნდა იმუშავოს საკუთარ თავზე“.

მას ჰქონდა ძალიან დახვეწილი იუმორი, თუ რომელიმე თანამშრომელს უხასიათობას შეატყობდა ან ვინმეს ეწყინებოდა მისი შენიშვნა, ურჩევდა: ჩეხოვი წაიკითხეთო. ძალიან ტაქტიანი ადამიანი გახლდათ. თუ ვინმეს შენიშვნას მისცემდა, ამას ისეთი ფორმით აკეთებდა, რომ წყენა შეუძლებელი იყო. იმ დროს მოცემულმა შენიშვნამ ჩემს მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა მთელი ცხოვრების მანძილზე.

ყოველი პაციენტის კონსულტაცია ბატონ იოსებთან ერთად ჩვენთვის იყო გაკვეთილი. არასდროს მოგვახვევდა თავს ავადმყოფის დიაგნოზს ან დანიშნულებას, პირიქით, ყოველთვის აზრს გვეკითხებოდა: „თქვენი მოსაზრება,

ექიმო?“ „თქვენ როგორ ფიქრობთ?“, „პაციენტის მართვის თქვენი გეგმა?“ თუ მასთან შევიდოდით შეკითხვით, გვეუბნებოდა: „ჩემთან შემოდით მზა გადაწყვეტილებებით“, ანუ ის გვაიძულებდა გვეფიქრა, დამოუკიდებლად გვეაზროვნა, გვემუშავა, ის გვზრდიდა... ხშირად პაციენტს, რომელსაც ვუტარებდი კონსულტაციას, ბატონი იოსები ეუბნებოდა: „გაგიმართლათ! თქვენ გყავთ ჩვენი ინსტიტუტის საუკეთესო ექიმი“. მე, რა თქმა უნდა, ვამაყობდი მისი შეფასებით და პაციენტიც ბედნიერი იყო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის მარტო მე არ მაძლევდა ასეთ დახასიათებას. მადლიერი ვარ იმის გამო, რომ მეც და სხვებსაც გვინერგავდა თავდაჯერებულობას, გვარწმუნებდა საკუთარ ძალებსა და ცოდნაში.

ბატონ იოსებს უყვარდა მუსიკა, ქართული მელოდიები...

თენგიზ ბოლქვაძე

თავგანწირვა სიკვდილის ყურეში

1962 წელს, რიო-დე-ჟანეიროს აეროპორტიდან თვითმფრინავი, რომელშიც ქართველი პროფესორი იოსებ ჟორდანია იმყოფებოდა, რამდენიმე წამში ოკეანის ზედაპირზე აღმოჩნდა. ლაინერმა ჩაძირვა დაიწყო. სალონი პანიკამ მოიცვა. ისინი აშკარა სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი. მათ შორის იყო უბილეთო პატარა გოგონაც... პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ თავისი კუთვნილი მაშველი რგოლი მას დაუთმო და თავად განსაცდელს დაელოდა... 180 მგზავრიდან 14 დაიღუპა იოსებ ჟორდანიასთან ერთად.

ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, მაგრამ ალბათ, არ გვაწყენს, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ადამიანს, რომლის საქციელი დღევანდელი კი არა, იქნებ მა-

შინდელ სტერეოტიპებშიც კი არ ჯდებოდა. დიახ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც უპირველესია გონი და არა ინსტინქტი. იოსებ ჟორდანია კი სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება...

ეს უდიდესი მეცნიერი ბრაზილიაში მედიკოსთა მსოფლიო კონგრესზე იყო მიწვეული. დელეგაცია ექვსი კაცის შემადგენლობით უნდა გამგზავრებულიყო. აქედან ოთხი ამიერკავკასიის წარმომადგენელი, ორი კი რუსი იყო. დელეგაციას თავად ჟორდანია ხელმძღვანელობდა. მის გამგზავრებამდე მე ძალზე ცუდი წინათგრძნობა მქონდა და ვურჩევდი არ წასულიყო, დამიჯერა კიდეც. აეროპორტში მისულები რამდენჯერმე სახლში დავბრუნდით. მისი ვაჟიშვილი კირილე ეხუმრებოდა – მამა, თვითმფრინავი წყალში რომ ჩავარდეს, რას იზამ, შენ ხომ ცურვა არ იციო. თითქოს ბედის ირონია იყო მისი სიტყვები. კონგრესზე იოსებ ჟორდანია მაინც გაფრინდა... მას არ უყვარდა, როცა აცილებდნენ, სამაგიეროდ, დიდ სიხარულს განიცდიდა, სამშობლოში დაბრუნებულს რომ ეგეგებოდნენ ახლობლები.

ავად სახსენებელ დღეს, ვიდრე თვითმფრინავი ჩაიძირებოდა პროფესორი პლატონ შუშანია და იოსებ ჟორდანია ფრთას იყვნენ ჩაჭიდებულნი. პლატონი არწმუნებდა, რომ გადარჩენის შანსი კიდევ იყო – ტანზე გაიხადე, მომეჭიდე და ნაპირამდე მე გაგიყვანო, მაგრამ ჟორდანიას უარი უთქვამს შენც დაიხრჩობი და მეც. ჯობია, თავს უშველეო. ამასობაში, ლაინერმა ჩაძირვა დაიწყო. შუშანიას ისღა დარჩენოდა, მარტოს გამოეცურა ნაპირისკენ.

მერე რაც მოხდა, ყველამ იცით. პროფესორმა მაშველი რგოლი პატარა გოგონას გადასცა. ჟორდანიასთან ერთად სომეხი პროფესორი აგარონოვიც დაიღუპა, რომელმაც სკამზე მიბმა არჩია იმ იმედით, რომ მაშველი მიუსწრებდა. ზუსტად არავინ იცის ჟორდანიას ცხედარი ნაპირზე რო-

გორ აღმოჩნდა. იმ ადგილს, სადაც ეს საშინელება მოხდა, სიკვდილის ყურე ჰქვია.

1951-იდან 1958 წლამდე წყალტუბოში ვმუშაობდი. იქ ხშირად ჩამოდიოდა დასასვენებლად და სწორედ იმ წლებში გავიცანი და დავუახლოვდი. მას უშვილო მეუღლე ჰყავდა, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა.

მანამ, სანამ იოსებ ჟორდანია თბილისში გადმოვიდოდა სამუშაოდ, ქალის პათოლოგიის სამეცნირო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ჯემალ ციციშვილი ყველა ღონეს ხმარობდა მის გადმოსაბირებლად. მოსკოვში იოსებს ლაბორატორია ჰქონდა ჩამოყალიბებული, სადაც უშვილობის პრობლემებზე მუშაობდა. საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკიდან საქართველო მშობიარობის სიმცირით ბოლოდან მეორე ადგილზე იყო. ამიტომ, დაისვა ამ პრობლემის სასწრაფოდ გამოკვლევის საკითხი, რომლის სტრუქტურაც ჟორდანიამ მოსკოვში შეიმუშავა.

1958 წლის აგვისტოში ჟორდანია მოსკოვიდან თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ და ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. პირველად მან თანამშრომელთა მიღების კონკურსი გამოაცხადა და 65 თანამშრომელი მიიღო. მათ შორის მეც ვიყავი და უშვილობის გამოკვლევებზე დავიწყეთ მუშაობა. მის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიულ ლაბორატორიას ევროპაში ანალოგი არ მოეძებნებოდა

ჟორდანიამ ახალგაზრდა თანამშრომლები ბრიგადებად დაგვყო და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიგვავლინა შობადობის საკითხის შესასწავლად. მე განაწილებული ვიყავი ონი-ამბროლაურის რეგიონში. თითოეულ ჩვენგანს გვქონდა უფლება ყველა იმ საიდუმლო დოკუმენტებს გავცნობოდით, რომლებშიც უშვილობის მიზეზები იყო დაფიქსირებული. რაიკომის მდივანთან რომ მივედი და ვკითხე თუ რამდენი გმირი დედა ჰყავდა, არ იცოდა, ხოლო „გმირი“ მე-

წველი ძროხების რიცხვს ზეპირად გეტყოდა (იცინის). ონის რაიონში მრავალშვილიანი დედებიდან მხოლოდ ერთი იყო. რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ მასალები ჩამოვიტანეთ და მას გავაცანით, რის შემდეგაც სოციოლოგიური კონფერენცია მოიწვია და საზოგადოებას აუწყა ის სავალალო შედეგების მიზეზები, საქართველოში შობადობას რომ აფერხებდა. ამ კონფერენციაზე გამოსვლის შემდეგ, ჟორდანიას უამრავი მტერი გამოუჩნდა. ცდილობდნენ მისი მუშაობის ვითომ არასწორი მიმართულება დაემტკიცებინათ.

ერთხელ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან კომისია მოავლინეს ინსტიტუტში მუშაობის დარღვევების აღმოსაჩენად და ეს საკითხი, შემდეგ ბიუროს სხდომაზე გაიტანეს, სადაც ჟორდანია მწარედ გააკრიტიკეს. იოსებმა ამ კრიტიკის საპასუხოდ ისეთი დამაჯერებლობით ახსნა თავისი მუშაობის დადებითი მხარეები, რომ ბიუროს მდივანმა ვიქტორია სირაძემ ხელი ჩამოართვა თანაგრძნობის ნიშნად და გაამხნევა – თქვენ როგორც მიიჩნევთ საჭიროდ, ისე აწარმოეთ თქვენი ინსტიტუტის საქმიანობაო.

როდესაც რესტორნებში ბანკეტებზე ვიკრიბებოდით, ბატონ იოსებს ფულის გადახდას ვერავინ ვასწრებდით. ერთხელ მან სახლში მიგვიპატიჟა – ჩემმა მეუღლემ პირველად მოამზადა ხაში და გასინჯეთ გემრიელი თუ არისო. სუფრასთან დიდხანს შევრჩით. იგი გასულა სახლიდან და ჩვენზე ადრე მივიდა სამსახურში, ინსტიტუტში ყველაფერს თავისი დრო აქვსო.

ბატონ იოსებს მანქანა ემსახურებოდა, მაგრამ იმდენად უბრალო ბუნების და თავმდაბალი პიროვნება იყო, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობდა. მის მანქანას თანამშრომლები უფრო ხშირად ვიყენებდით, ბრწყინვალე პიროვნება იყო.

მშობიარობის პროცესში ყველაზე გართულებული შემთხვევა საშვილოსნოდან ატონიური სისხლდენაა. ჟორდანიამ

შეიმუშავა მეთოდი, რის შედეგადაც შესაძლებელია სისხლ-
დენა ისე შეჩერდეს, რომ საშვილოსნო შევინარჩუნოთ. მან,
ამავე დროს შექმნა სათესლე ჯირკვლების გაახალგაზრდა-
ვებისა და მისი დაკარგული ფუნქციის აღდგენის მოდელი,
რომლის ექსპერიმენტს ცხოველებზე აწარმოებდა. სწორედ
ეს გამოკვლევა წაიღო ბრაზილიაში მსოფლიო კონგრესზე.
ჟორდანიას მთავარი და უმთავრესი მეცნიერული მიღწევა
ის არის, რომ მან წინ გაუსწრო ახლანდელ თანამედროვე
მედიცინას და ჯერ კიდევ 1958-1959 წლებში ხელოვნური
განაყოფიერების იდეა წამოაყენა, რომლის განხორციე-
ლება მაშინ უკვე შესაძლებელი იყო. თუმცა, იმ დროისათ-
ვის კომუნისტი გინეკოლოგები ამ სახის განაყოფიერების
საჭიროებას უარყოფდნენ. ჟორდანია ასევე მუშაობდა
მამაკაცის უნაყოფობის პრობლემებზე და ძლიერი ექსპე-
რიმენტული კვლევების შედეგად მისი გამომწვევი მიზეზე-
ბის და მკურნალობის თეორია შეიმუშავა.

მოსკოვში იოსებ ჟორდანიას ჩამოსასვენებლად რომ
გავემგზავრე, იქ მის მეგობარ პროფესორ იგორ სიროკოტ-
კოსთან ოჯახში მივედი და როგორც კი ოთახში შევდგი
ფეხი, კედელზე ჩამოკიდებული ჟორდანიას გადიდებული
პორტრეტი შევნიშნე. მან ასეთი რამ მითხრა – პროფესორი
ჟორდანია რომ არა, მე დღეს მკვდარი ვიქნებოდიო და პორ-
ტრეტს კოცნა დაუწყო. თურმე, ბრაზილიაში წამსვლელ დე-
ლეგაციის წევრებს შორის ისიც უნდა ყოფილიყო და მათთან
ერთად უნდა გაფრენილიყო. მას ჟორდანიასთვის, როგორც
დელეგაციის ხელმძღვანელისთვის უთხოვია, რომ ცუდად
გრძნობდა თავს და ნება მიეცა სახლში დარჩენილიყო, რა-
ზეც ჟორდანიას თანხმობა განუცხადებია.

თბილისში რომ ჩამოვასვენეთ, აეროპორტში დიდძალი
ხალხი შეგროვდა. მაშინდელმა საქართველოს ცენტრა-
ლური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ

წამოაყენა იდეა ჟორდანიას დიდუბის პანთეონში დაკრძალვის შესახებ, რაც მის დამსახურებად მივიჩნიეთ და კმაყოფილნი დავრჩით.

იოსებ ჟორდანია გინეკოლოგიის დარგში არა მარტო ბრწყინვალე თეორეტიკოსი იყო, არამედ პრაქტიკოსიც. ამავე დროს, შესანიშნავი ექიმი და ქირურგი. რაც მთავარია, მსოფლიო დონის მეცნიერი. მის მიერ დაწერილი სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა და დღევანდელი ჩვენი თანამედროვე ინსტიტუტიც მის მიერ დანერგილი მეთოდებით მუშაობს.

ნანა ძნელაძე (ნოდარ ძნელაძის ქალიშვილი)

ექიმი რეპროდუქტოლოგი

მამაჩემი – ნოდარ ძნელაძე, იყო ჟორდანიას ინსტიტუტის ექიმი-რენტგენოლოგი. ამასთანავე, ის იყო იოსებ ჟორდანიას მეჯვარე და მისი შვილის – კირილეს ნათლია. მათი ოჯახის მეჯვარე იყო მარგალიტა ნიჟარაძეც, რომელიც ასევე ინსტიტუტში მუშაობდა. ცხადია, მამას ბატონ იოსებთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ბევრი საინტერესო ამბავი მაქვს მოსმენილი მისგან. როდესაც ბატონი იოსები რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა, ქართული ცოტა დავიწყებული ჰქონდა. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მშობლიურ ენაზე გამართულად საუბარი, ამიტომ დაიქირავა პედაგოგი, რომელიც მას ეხმარებოდა ქართული ენის გახსენებაში. ის კოლეგებსაც სთხოვდა, რომ შეესწორებინათ მისთვის შეცდომები.

იოსებ ჟორდანია იყო გენიალური ადამიანი, ჰქონდა გამორჩეული ხედვა. პროფესორი პავლე კინტრაია იხსენებდა, რომ ჟორდანია განსაკუთრებით გამოჰყოფდა გინეკოლო-

გიური ენდოკრინოლოგიის უნიკალურობას. ამბობდა, რომ ეს არც გინეკოლოგიაა და არც ენდოკრინოლოგია, ამიტომ უნდა იყოს დამოუკიდებელი დისციპლინაო. და მართლაც, წლების შემდეგ გინეკოლოგიურმა ენდოკრინოლოგიამ საფუძველი ჩაუყარა მედიცინის დამოუკიდებელ დარგს – რეპროდუქტოლოგიას.

მამა პროფესიით იყო რენტგენელოგი, მაგრამ რადგან ბატონ იოსებს მიაჩნდა, რომ საშვილოსნოს მილების რენტგენული კვლევა უნდა გაეკეთებინა ექიმს, რომელიც ერთდროულად იყო გინეკოლოგიც და რენტგენოლოგიც, ამიტომ გაატარა გინეკოლოგიის კურსიც.

იოსებ ჟორდანიამ ცურვა არ იცოდა და მამასთვის ჰქონდა ნათქვამი, რომ ყველაფერს ვისწავლი, ოღონდ ცურვას ვერაო, რაც, სამწუხაროდ, საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

ბოლოთქმა

ღმერთმა შექმნა ადამიანი და უბოძა თავისუფალი ნება – სურვილისამებრ აერჩია გზა ცხოვრებისა. დასაბამითგანვე უფლისა და მოყვასის ერთგულნი დაადგნენ სიმართლის გზას, ხოლო ღრმთისგან გაუცხოებულნი და სიყვარულისგან განძარცულნი – გზას ბოროტებისას.

სულით დაცემულმა ადამიანებმა გამოიწვიეს ჟორდანიების დიდებული ოჯახის წარმომადგენელთა გულისტკივილით გადანაცვლება იმქვეყნად.

უფლის მადიდებელი ბერი ათანასე ჟორდანია ქრისტეს მტრებმა მოწამლეს და გარდაიცვალა.

მწერალი, მამულიშვილი, სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი თევდორე დავითის ძე ჟორდანია გააწამეს და სიცოცხლის ბოლომდე ჯაშუში მიუჩინეს.

გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია, რომელიც ითხოვდა საქართველის დამოუკიდებლობას, დახვრიტეს.

ვახტანგ ჟორდანია ისე შეზღუდეს, რომ იძულებული გახდა სამშობლოდან გაქცეულიყო.

არადა, მართლმადიდებელი ქრისტიანების ამ დიდებულ ოჯახზე ისიც მეტყველებს, რომ ოთხი წევრი: თევდორე, გივი, ვახტანგ და იოსებ ჟორდანიები დაკრძალულნი არიან თბილისში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, ხოლო ელენე ტარსაიძე – ბერშუეთის სამების ტაძარში.

ისიც ითქვა, თითქოს იოსებ ჟორდანიას თავგანწირვა ბავშვის გადარჩენასთან დაკავშირებით არ შეეფერებოდა სიმართლეს.

რომც არ ყოფილიყო მის ცხოვრებაში ეს ეპიზოდი, არაფერი დააკლდებოდა ღმერთისგან ბოძებულ, მრავალი სათნოებით შემკულ ღირსეულ მეცნიერს, რომელიც იყო და დარჩა კაცობრიობის ისტორიაში განძად.

აქ საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი რამ; იოსებ ჟორდანიას თბილისში ჩამოყალიბებულ ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მკურნალობდნენ არა მარტო საქართველოში მცხოვრები ქალბატონები, არამედ საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულებიც, რომელთაც ათი და ჩვიდმეტი წელიც კი არ ჰყოლიათ შვილი და მკურნალობის შედეგად შეეძინათ.

იოსებ ჟორდანიას სახელზე მოდიოდა უამრავი სამადლობელი წერილი, მის მეცნიერულ მიღწევებზე გამოხმაურებები, რასაც ადასტურებს მისი ყველა თანამოღვაწე.

ამას დაემატა ათეული წლების მანძილზე მოსკოვში მოღვაწეობის დროს მიღებული სიყვარულით სავსე აურაცხელი წერილი, რომელიც იოსებ ჟორდანიას მეუღლემ, ქალბატონმა ლიდიამ თბილისში ინტიტუტის არქივს ჩააბარა, სად გაქრა ყოველივე ეს ისე, რომ დღეს იქ, სამწუხაროდ, ერთ წერილსაც ვერ ნახავ.

ჟორდანიების ჩინებულ ოჯახის წევრთა ღვაწლი არ დაივიწყა საზოგადოებამ და მათი სიყვარული ათეული წლების მანძილზე შემოინახა.

უფალმა თავის წიგნში ჩაწერა და სასუფეველი დაუმკვიდრა თევდორე, იოსებ, გივი, ვახტანგ ჟორდანიებსა და ელენე ტარსაიძეს. აგრეთვე, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ, კომუნისტებისგან 1937 წელს დახვრეტილ გიორგი თევდორეს ძე ჟორდანიას, რომლის გვამი სად არის დაფლული, ისიც არ იცის ჭირისუფალმა.

ყოვლადწმიდა სამებამ დაიცვას ამ დიდებულ მამულიშვილთა შთამომავალი, ყველა კეთილშობილ ადამიანებთან ერთად დალოცოს უფალმა და ღმრთისმშობლის კალთა გადააფაროს.

სიყვარულისთვის უფლისა

„ჩვენს სხეულს სიკოცხლეს ანიჭებს სული, სულს – ღმერთი,
როგორც სულს გაყრილი სხეული კვდება,
კვდება სულიც ღმერთს განშორებული“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმინდესი და უნეტარესი
ილია II

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მეათე ათეულს ვითვლი და მონასტერში მოღვაწეობის მესამე ათეულს ვასრულებ. ყოფიერებაზე ყოველდღიური დაკვირვებით დავინახე ის, რომ სამყაროში არსებული მთელი ძალა და სიმდიდრე რომ შეაერთო არ იქნება ისე ძლიერი, როგორიც სიყვარულია უფლისა და მოყვასისა. სიყვარული, რომელიც შეგაძლებინებს შეუძლებელს ამქვეყნად და მოგანიჭებს იმ ქვეყნად ნეტარებას უსასრულოს.

გამიჩნდა სურვილი შევუერთო წერტილდასმულ წიგნს თხოვნა მუხლმოდრეკილი, რომ ბავშვებს დაბადებიდანვე მივაწოდოთ სულიერი საზრდო. როგორც მათ სხეულს ვკვებავთ მუდმივად, ისევე თუ გამოვკვებავთ მათ სულს ჯეროვნად, მივიღებთ სიკეთით და სიყვარულით სავსე ადამიანს. უზომოდ ბედნიერ მამულიშვილს, რომელიც იქნება მადლობელი ღმრთისა და შემწე მოყვასისა.

ეს ყოველივე იმ წიგნს მიესადაგა, სადაც თევდორე ჟორდანიასა და ელენე ტარსაიძის ოჯახის წინაპართა და შთამომავალთა ღვაწლზეა საუბარი. წმინდა სამების მადლით ყველა თაობას მუდმივი კავშირი ჰქონდა ტაძართან, წირ-

ვა-ლოცვებში ღებულობდნენ მონაწილეობას, ამიტომაც შეძ-ლეს ამ დიდი ოჯახის წევრებმა მამულისა და მოყვასისთვის თავის შეწირვა და ისე გადაინაცვლეს იმ ქვეყნად.

სიყვარული უდიდესი ძალაა და უდიდესი ნეტარება.

გამაოცა დავით მეფსალმუნის გონიერებამ... ქრისტეს მოვლინებამდე ათი საუკუნით ადრე რომ იწინასწარმეტყველა უფლის ჯვარცმა, მათემატიკური სიზუსტით აღწერა, თუ როგორ განიყოფდნენ სამოსელს მათ შორის და კვართზე განიყრიდნენ წილს.

ეს საკვირველება იყო მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით უფლისა და მოყვასისა. ამ უდიდესი გრძნობით ეხსნება გონება ადამიანს და ხედავს როგორც წარსულს, ისე მომავალს. ეს არის განზომილება, რომელსაც ადამიანის გონება ვერ ჩაწვდება. რა ხდება ამ დროს ადამიანის ტვინის უჯრედებში სულიწმიდის ძალით, ამის ახსნა შეუძლებელია.

ჩვენი საყვარელი მამა გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი, გაგაოცებდა ისეთი სიზუსტით გეტყოდა წარსულს, მომავალში რას გააკეთებდი იმასაც გიწინასწარმეტყველებდა. ეს საოცარი სიბრძნე უფლის განუზომელი სიყვარულით იყო მინიჭებული.

რა განზომილებაა ეს ყოველივე ისეთი, რომელიც განიჭებს სულიერ ძალასთან ერთად, უდიდეს ფიზიკურ ძალას.

12 წლის ასაკში მამა გაბრიელს დანგრეული ტაძრიდან ლოდები გამოჰქონდა. ამ დროს გაიარა ერთმა სპორტსმენმა, რომელსაც ძლიერების გამო „მუხას“ ეძახდნენ და მას დახმარება სთხოვა. სწორედ „მუხამ“ განცვიფრებულმა თქვა: ეს პატარა ბიჭი ლოდებს ისე ატრიალებდა, როგორც ზღვის კენჭებს და მე ძვრა ვერ ვუყავიო.

უფალმა მოგცა თავისუფალი ნება – შენი სურვილის მიხედვით აირჩიო გზა ცხოვრებისა და განფინა შენ წინაშე გზები.

აირჩიე გზა უფლის სიყვარულისა, სამების მადლით გაძლიერდი თვითონ და განაძლიერე ბავშვები. თესე მათში მუდმივად სულიერება სიყვარულით ღმრთისა და მიიღებ საოცარ მოსავალს, ამაზე დიდი სათნოება რა უნდა იყოს.

ჟორდანიას ინსტიტუტი
მე-20 საუკუნის 80-იან წლებში

დილის კონფერენცია, ცენტრში
არჩილ ხომასურიძე

არჩილ ხომასურიძე და თეიმურაზ მიქაბერიძე რეგიონის
გინეკოლოგებთან ერთად

მარცხნიდან: ნინო ტაბატაძე, ნინო მაისურაძე,
ეთერ კვიცარიძე

მარცხნიდან: დონარა დოლიძე, ზურაბ გიორგაძე,
ნინო მაისურაძე

ჟორდანიას ინსტიტუტის
თანამშრომლები

ინსტიტუტის თანამშრომლები იოსებ ჟორდანიას
საფლავთან

თამაზ ბეგიაშვილი, თენგიზ ნიჟარაძე, მამუკა ჯანგავაძე,
ნინო კერესელიძე

მარცხნიდან: კიჭა არველაძე, შოთა ნიშნიანიძე,
ნინო კერესელიძე, თამაზ დოლიძე, ნუნუკა მუშკუდიანი,
დავით ოთხმეზური

მარცნიდან: თენგიზ ნიჟარაძე, თეიმურაზ მიქაბერიძე,
გია მიხელაშვილი, თამაზ დოლიძე

მარცხნიდან: მირანდა თოლორდავა,
თინა გელდიაშვლი, მანანა შადური, ვივი ბიბილაშვილი,
ნანა ჩოფიკაშვილი, მანანა ერისთავი, რუსუდან ძოწენიძე,
ლალი ცხოვრებაშვილი.
პირველ რიგში: მანანა საყვარელიძე და ირინა მარღანია

ჟორდანიას ინსტიტუტი 1990-2000 წლებში

ჟორდანიას ინსტიტუტის შენობა, კოსტავას 43

არჩილ ხომასურიძე ჟორდანიას ინსტიტუტის
თანამშომლებთან ერთად

მარცხნიდან: გულიკო ბურჯანაძე, თაისი იმნაძე, ევგენია ბოჭორიშვილი,
გულიკო ბექაია, ჯული გირგიტოვა, ნანული პეტრიაშვილი, ლიდია ფხალაძე

მარცხნიდან: გულიკო ბექაია, ევგენია ბოჭორიშვილი,
ჯუნა ბაღათურია, ცირა ჯანიაშვილი, თინათინ თინიკაშვილი

მარცხნიდან: ევგენია ბოჭორიშვილი, ნინო ბაბლიძე,
ჯული გირგიტოვა, თინათინ ფირცხალავა

მარცხნიდან: ნანა ჩოფიკაშვილი,
ევგენია ბოჭორიშვილი

მარცხნიდან: მაყვალა უშიკიშვილი, დონარა დოლიძე,
ლუიზა მაჭავარიანი, დოდო შევარდნაძე, ვივი ბიბილაშვილი,
თამარ გულბანი, გულიკო ბექაია, ირინე მარღანია

თენგიზ ბოლქვაძე

მარცხნიდან: ნინო მაისურაძე, თაისი იმნაძე,
დონარა დოლიძე

მარცხნიდან: გულიკო ფევსტვენიძე, კუსი ანჯაფარიძე,
თამარ ლაღიძე, ლალი ცხოვრებაშვილი,
ნანა სიჭინავა, ნინო მაისურაძე

მარცხნიდან: დავით ფერაძე, გია ცაგარეიშვილი,
ნატალია ხონელიძე

მარცხნიდან: ნაზი ესაძე, გიორგი ცერცვაძე,
მარინა ჯანგიძე, ნინო დგებუაძე, თამარ მაღულარია,
თამარ წერეთელი

ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის
თანამშრომლები

ქირურგიული განყოფილება
მარცხნიდან: არსენ გვენეტაძე, რამაზ ჩარექიშვილი,
ლალი ცხოვრებაშვილი, არჩილ ბაღათურია,
უკან პლანზე: ინგა კიწმარიშვილი და ნელი რეხვიაშვილი

ანდროლოგიის განყოფილება: დავით ოთხმეზური,
თამაზ დოლიძე, შოთა ნიშნიანიძე, გია ცქიტიშვილი

მარცხნიდან: ლალი ცხოვრებაშვილი, არჩილ ბაღათურია, ინგა კიწმარიშვილი, რამაზ ჩარექიშვილი, ვაჟა ჯაბადარი, პაატა ჩიკვაიძე

ექოსკოპიის კაბინეტი: დავით ფერაძე, ნინო სანიკიძე, მანანა საყვარელიძე, მადონა წიკლაური

ჰორმონული ლაბორატორია, ხელმძღვანელები:
ნუნუ ტაბატაძე და ნანა კვაშილავა

მამოლოგიის განყოფილება: ირინე მარღანია,
რევაზ ციციშვილი, მანანა ჩანტლაძე

კლინიკური ლაბორატორია
გულიკო ბექაია და მაია დევდარიანი

ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგე
ნანული პეტრიაშვილი

ბავშვთა და მოზარდთა განყოფილების გამგე
ჯენარა ქრისტესაშვილი შემოვლაზე

მარცხნიდან მეორე დალი ჩიჩუა, ლიდია ფხალაძე,
ნანა სიჭინავა ექიმ ქალთა მეორე მსოფლიო კონგრესზე,
სეული, სამხრეთ კორეა (1992 წ.)

სხედან: ნინო მაისურაძე, ზურაბ საბახტარაშვილი,
გულიკო საკანდელიძე, თაისი იმნაძე

მარცხნივ – კუსი ანჯაფარიძე,
რაისა კალაშნიკოვა, ნინო მაისურაძე, ცენტრში –
არჩილ ხომასურიძე, თამარ მაღულარია, შოთა ნიშნიანიძე,
ჯენარა ქრისტესაშვილი, მამუკა ჯანგავაძე

მარცხნიდან: ციანა ნაზარიშილი, ჯენარა ქრისტესაშვილი,
ჯუნა ბალათურია, ნუნუ ტაბატაძე, ჯული გირგიტოვა.
წინა პლანზე ევგენია ბოჭორიშვილი

მარცხნიდან: ლალი ფხალაძე, თინათინ თინიკაშვილი,
ხათუნა ყუფარაძე, ზურაბ ჭილაძე, არსენ გვენეტაძე,
არჩილ ხომასურიძე, პაატა ჩიკვაიძე, პაატა მაჭავარიანი,
ქეთი კოტრიკაძე, ნანა კოპლატაძე, თამარ ხომასურიძე,
ნანი მარსაგიშვილი, დოდო გორგოშიძე, როზა მანუშაროვა

ჟორდანიას ინსტიტუტის აივანზე
მარცხნიდან: მაკა გეგეჭკორი, თინათინ თინიკაშვილი,
ლალი ფხალაძე, თამარ გულბანი, ია ხიზანიშვილი,
თინათინ ფირცხალავა, მაყვალა უშიკიშვილი

90-იანი წლები, ჟორდანიას ინსტიტუტის
ახალგაზრდა თაობა

ქეთევან კოტრიკაძე, შორენა წიწილაშვილი, ნანა ძნელაძე,
მაკა გეგეჭკორი

მარცხნიდან სხედან: ნანა ჩოფიკაშვილი,
დოდო შევარდნაძე, ირინა მარღანია, მანანა ჩანტლაძე;
მეორე რიგში: დავით ოთხმეზური, ირაკლი ბერაძე

მარცხნიდან: თამუნა ლალიძე, დოდო შევარდნაძე,
თამარ ხოჯაშვილი, ევგენია ბოჭორიშვილი,
ნანა ხომასურიძე, თამარ ხომასურიძე, მანანა გუბელაძე,
ირაკლი ბერაძე, ლუიზა მაჭავარიანი. უკანა პლანზე:
მანანა ერისთავი, გია ცაგარეიშვილი

მარცხნიდან: დოდო (ბარბარე) გორგოშიძე,
თამარ გულბანი, არსენ გვენეტაძე, ქეთევან კოტრიკაძე,
თათია საბახტარაშვილი

ჟორდანიას და ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი 2014 წლიდან

ჟორდანიას და ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, 2014 წელი

იოსებ ჟორდანიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია,
2015 წელი

მარცხნიდან: არჩილ ხომასურიძე, ლიდია ფხალაძე,
ჯული გირგიტოვა

ინსტიტუტის თანამშრომლები არჩილ ხომასურიძის
75 წლის იუბილეზე

მარცხნიდან: ნინო რაჟამაშვილი, ირინე მარღანია,
ლალი ფხალაძე, თინათინ ფირცხალავა

მარცხნიდან: ლალი ცხოვრებაშვილი, ვივი ბიბილაშვილი,
ნინო დათოშვილი

სტუმრად ჯუნა ბალათურიასთან

ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლები
იოსებ ჟორდანიას საფლავზე

მარცხნიდან სხედან: ლალი ცხოვრებაშვილი, ვივი ბიბილაშვილი, რევაზ ციციშვილი, ნანა ჩოფიკაშვილი, ნატალია რუსაკოვა. მარცხნიდან დგანან: ნანა კვაშილავა, ლუდმილა ბარბაქაძე, ლალი ფხალაძე, ქეთევან ნატროშვილი, ნინო დავიდოვი, არჩილ ხომასურიძე, ნინო რაჟამაშვილი, ნინო დათოშვილი, ირინე მარღანია, თინათინ ფირცხალავა

ჟორდანიასა და ხომასურიძის ინსტიტუტის კიდევ ერთი აღიარება

2023 წლის 13-15 მარტს იტალიაში, ქალაქ ვენეციაში ადამიანის რეპროდუქციის საერთაშორისო აკადემიის ორგანიზებით გაიმართა ადამიანის რეპროდუქციის მე-19 მსოფლიო კონგრესი. კონგრესი გამორჩეული იყო იმით, რომ ქართული დელეგაცია წარსდგა მასშტაბურად – კონგრესს ესწრებოდა 131 ქართველი ექიმი: რეპროდუქტოლოგები, მეან-გინეკოლოგები, ენდოკრინოლოგები, მათ შორის 21 რეპროდუქტოლოგიის რეზიდენტი. პირველად მსოფლიო ისტორიაში მსგავსი უმაღლესი დონის კონგრესზე საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის მიერ ინგლისურ ენაზე ჩატარდა სიმპოზიუმი: „ჟორდანიას ინსტიტუტის დამსახურება მსოფლიო რეპროდუქტოლოგიაში“.

მარცხნიდან დგანან: თამარ დიაკონიძე, ეკა ჭანტურია, ლალი ფხალაძე, არჩილ ხომასურიძე, ანდრეა ჯენაზანი, ეკა კვირკველია, ანა ღვინიაშვილი, ნანა ქიზიყურაშვილი, რუსუდან სულაძე. სხედან: ანა ჯიბუტი, სალომე საბულუა, თეონა ლორთქიფანიძე, მონიკა მოსია, გიორგი წკრიალაშვილი

მარცხნიდან: მაია პაიჭაძე, არჩილ ხომასურიძე, ლალი ფხალაძე

მარცხნიდან: ქეთევან ნატროშვილი, ნინო მუსერიძე,
არჩილ ხომასურიძე, გიორგი არჩვაძე, თამარ მაღულარია,
მაია პაიჭაძე

საქართველოს დელეგაცია კონგრესზე ვენეციაში პროფ. არჩილ ხომასურიძის მოხსენების შემდეგ, 2023 წ.

საქართველოს დელეგაცია კონგრესზე ვენეციაში ნაციონალური სესიის
შემდეგ, 2023 წ.

ღმერთმა დალოცოს

არჩილ ხომასურიძე, ლიდია ფხალაძის,
ნინო მაისურაძის, ჯუნა ბაღათურიას,
ცირა ჯანიაშვილის და ლიანა თვალჭრელიძის

ოჯახები ფინანსური მხარდაჭერისთვის

მსოფლიოში ცნობილი ეთიოპიელების ქვეყნიერი დამსახურებულად დამკვიდრებული იოსებ ფოხრანია, სიცოცხლეშივე შვიდი მსოფლიო საგონებელის ფონდში.

თუ ჰამ სიკეთე ღმერთის ალმანურებისაგან მიუცია, ყველაფერი გაერთიანებული იყო მასში. უძლიერესი იყო ოთხივე მხარე მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში _ მეცნიერება და კეთილშობილება.

ბუმბერაზი მოღვაწის, იოსებ ფოხრანიას მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებას ვერ გავბედავ, ამიტომ ეს შეიქნება. ბავშვობიდან მხოლოდ იმ ალმანია მოსაზრებებს, ჩამოყალიბა თანდგომიათვის 1958 წლის დაარსება თბილისში ჯალის ფიზიოლოგიისა და ანატომიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ვინც მისი სახელის გამგრძელებელია და კარგად იცნობს მის იდეოლოგიას, ვინც მასთან ერთად მოღვაწეობდა და ანტიკვლისეული იხსენებენ მის მეცნიერულ მიღწევებთან ერთად კეთილშობილების გამომხატველ უამრავ ეპიზოდს.

ამავრეოულად, მოგაწვდი იოსებ ფოხრანიას შშობლებისა და მათ შთამომავლობა მოგონებებს, აგრეთვე მოკლე ცნობებს, ამ დიდი, სანდოვანი ოჯახის წევრთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.